ეროვნული
ბიბლიოთეკა

2-5981

# ბჭოთა მეკრძალი

9

1989

6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი მდივანი
გელა გერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
ანზორ გაბიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაზმაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორგენაძე

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсанашвили А. Г.
(научный редактор)
Габиани А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

# საბჭოთა სამართალი

№ 6

აგვისტო

1989 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ყოველთვიური მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება**

დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ . . . . . 3

**სსრ კავშირის კანონი** . . . . . 5

კანონის დანართი . . . . . 7

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ . . . . . 8

**თვალსაზრისი**

**ვ. ფარქოსაძე** — რესპუბლიკათა შორის ეროვნულ-ტერიტორიული ურთიერთობის საკითხისათვის . . . . . 18

**ო. გამყრელიძე** — სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში . . . . . 25

**საკავშირო პრესის ფურცლებზე**

სასამართლო და იუსტიცია . . . . . 29

**ზოგი რამ წარსულიდან, მაგრამ დღევანდელი თვალთახედვით**

**ბ. სავანელი** — დისკუსია თუ ავანტიურა . . . . . 32

**სასამართლო ექსპერტიზა: სიახლენი და პრაქტიკა**

**გ. ქოიავა** — სარკინიგზო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა . . . . . 39

**გ. კოზმანაშვილი** — ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციის საკითხისათვის . . . 43

**გ. ბახტაძე, ი. გალცევი, ვ. სიმონიშვილი** — კვალის ასაღები ახალი საშუალება . . 47

**პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში**

**კ. კობახიძე** — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის . . 50

**ნ. მეტრეველი** — „დიდი სჯულისკანონის“ იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა . . . . . 56

მხოლოდ ციფრები . . . . . 62

**ჩვენი იურიდიული კონსულტაცია**

**გ. შონია** — მებაღეობის ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი . . . . . 63

**სამართალი და ხალხური პოეზია**

**გ. შეთეკაური** — „სიმართლეს მივყვეთ, ძმობილნო...“ . . . . . 67

ინფორმაცია . . . . . 72

სამახსოვრო საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ . . . . . 73

**კრიმინალისტიკის ისტორიიდან**

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები . . . . . 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

**Постановление Верховного Совета Союза ССР**

О решительном усилении борьбы с преступностью . . . . . 3
Закон Союза ССР . . . . . 5
Приложение к закону . . . . . 7
Заключение следственной подкомиссии Комиссии Верховного Совета Грузинской ССР по расследованию обстоятельств, имевших место в г. Тбилиси 9 апреля 1989 года, о законности принятия решения по пресечению митинга в г. Тбилиси 9 апреля 1989 г. . . . . 8

**Взгляд**

**В. Паркосадзе** — К вопросу национально-территориальных отношений между республиками . . . . . 18
**О. Гамкрелидзе** — Сепаратистское движение в Абхазии . . . . 25

**На страницах союзной прессы**

Суд и юстиция . . . . . 29

**Кое-что из прошлого, по сегодняшним взглядом**

**Б. Саванели** — Дискуссия или авантюра . . . . . 32

**Судебная экспертиза: новшества и практика**

**Г. Коява** — Железнодорожная инженерно-техническая экспертиза . . 39
**Г. Козманашвили** — К вопросу компетенции автотехнической экспертизы . 43
**Г. Бахтадзе, И. Галцев, В. Симонишвили** — Новое средство отснятия следа 47

**Первые шаги в науке**

**К. Кобахидзе** — Уголовная ответственность за вымогательство . . . 50
**Н. Метревели** — Общий обзор юридической терминологии «Великого Номоканона» . . . . . 56
Только цифры . . . . . 62

**Наша юридическая консультация**

**Г. Шония** — Права и обязанности членов садоводческого товарищества . 63

**Право и народная поэзия**

**Г. Шетекаури** — «За правдой, братья...» . . . . . 67
Информация . . . . . 72
Памятка о наложении административного взыскания за нарушение правил дорожного движения . . . . . 73

**Из истории криминалистики**

Известные уголовные дела . . . . . 75

© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

**რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 103,**
**ტ. 95-88-49, 95-58-87**

გადაეცა წარმოებას 1.08.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.09.89 წ.
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 1790 ტირაჟი 40.500 უე 04705

**საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.**
**თბილისი, ლენინის ქ. № 14.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ

**ქვეყანაში** მკვეთრად გაიზარდა დამნაშავეობა, კერძოდ ორგანიზებული დამნაშავეობა. ეს მოსახლეობის სამართლიან შეშფოთებას იწვევს და გარდაქმნის მიმდინარეობას ართულებს.

დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ყველაზე მტკიცე ღონისძიებების მიღების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსრ კავშირში, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტები, რომლებშიც შევლენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ხელმძღვანელები, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე არჩეული ან მომუშავე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები. დროებითი კომიტეტების მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროს შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში — რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეებს, მხარეებში, ოლქებსა და ქალაქებში — სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

19103

დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტების საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონების უმკაცრესი დაცვა, დაეყრდნოს ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

ყველა სახელმწიფო ორგანო საწარმო და დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველნაირად დაეხმარონ დროებითს კომიტეტებს მათს მუშაობაში.

2. განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც რეალურ შესაძლებლობას შეუქმნის შინაგან საქმეთა ორგანოების და, უწინარეს ყოვლისა, მილიციის თანამშრომლებს მტკიცედ აღკვეთონ დამნაშავე ელემენტების მოქმედება. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ერთი თვის ვადაში სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით შეიმუშაონ კანონმდებლობის შესაბამისად მილიციის თანამშრომლებისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მიერ სისხლის სამართლის ელემენტებთან ბრძოლის კრიზისულ პირობებში საგანგებო ღონისძიებების

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენების წესი, მათ შორის იხმარონ იარაღი, როცა წარმოიშობა განსაკუთრებით საშიში სიტუაცია.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავების მსვლელობაში უახლოეს ხანს გაითვალისწინონ მილიციის მუშაკებისა და დამნაშავეობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში მონაწილე სხვა პირთა სიცოცხლისა და ღირსების ხელყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

3. უზრუნველყოფილ იქნეს მილიცია ტექნიკური საშუალებებით, რათა დაუყოვნებლივ იმოქმედონ მილიციის მოძრავმა პატრულებმა და სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაუყოვნებლივ გადაჭრას ავტომანქანებით, პორტატიული რაციებით, ვერტმფრინავებით, სხვა ტექნიკით და მოწყობილობით მილიციის აღჭურვის საკითხი.

გაიზარდოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების რიცხვი დამნაშავე ელემენტების მასობრივი ურჩობის შემთხვევებში საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

4. დაევალოთ საძიებო ორგანოებსა და სასამართლოებს განუხრელად დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები და მაქსიმალური სიმკაცრით განიხილონ ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვის, დატაცებისა და ქურდობის, გაუპატიურების, ნარკოტიკების ვაჭრობის, სპეკულაციის, ბრაკონიერობისა და სხვა დანაშაულობათა შემთხვევები. არ დაუშვან არავითარი შემწყნარებლობა საშიში დამნაშავეების, ორგანიზებული დამნაშავე ჯგუფების ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების, რეციდივისტების მიმართ.

5. აღნიშნულ ღონისძიებათა სისტემა დაწესდეს ორი წლის პერიოდისათვის, ამასთან სავალდებულოა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელთა ანგარიშები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წინაშე მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.**

**მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 4 აგვისტო.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

## სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მათი ორგანოების მიერ მიღებული სსრ კავშირის კანონებისა და სხვა აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ

**საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი** 1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ სსრ კავშირის კანონებს და სხვა აქტებს აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამომავალ „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები-ს“ მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი დღის ვადის შემდეგ, აგრეთვე გაზეთში „იზვესტია სოვეტოვ ნაროდნიხ დეპუტატოვ სსსრ“.

„უწყებებში“ იბეჭდება აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მიღებული აქტები.

**მუხლი** 2. ამ კანონის 1-ელ მუხლში აღნიშნული სსრ კავშირის კანონებისა და სხვა აქტების გამოქვეყნება „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და გაზეთ „იზვესტიაში“ წარმოადგენს ოფიციალურ გამოქვეყნებას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტები შეიძლება აგრეთვე გამოქვეყნდეს პრესის სხვა ორგანოებში, გადაიცეს ტელევიზიით, რადიოთი, ტელეგრაფით, დაურიგდეთ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

**მუხლი** 3. სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა ნორმატიული ხასიათის აქტები ძალაში შედის სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთდროულად „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ მათი გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ. იგივე აქტები, თუ „უწყებებში“ გამოქვეყნებამდე გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა, ძალაში შედის „იზვესტიაში“ გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ.

აქტების ძალაში შესვლის ამ მუხლში აღნიშნულ ვადებს არ იყენებენ იმ შემთხვევებში, როცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ აქტის მიღების დროს დადგენილია მისი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

**მუხლი 4.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომლებსაც არა აქვთ ზოგადი მნიშვნელობა, შეიძლება არ გამოქვეყნდეს და გაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა მათ გააცნონ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომლებზეც ვრცელდება მათი მოქმედება. ეს აქტები ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მათ მიიღებენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ დაუდგენია მათი მოქმედების სხვა ვადა.

**მუხლი 5.** „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ქვეყნდება სსრ კავშირისათვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია სსრ კავშირის სახელით და რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა აუტენტური ტექსტები უცხო ენებზეა შედგენილი, იბეჭდება „უწყებებში" ერთ-ერთ ენაზე, ამასთან ოფიციალურად უნდა იყოს თარგმნილი რუსულ ენაზე.

**მუხლი 6.** „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი" გამოდის ყოველ კვირაში და შედგება სამი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში იბეჭდება:

სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა აქტები;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დადგენილებები;

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის აქტები.

მეორე ნაწილში ქვეყნდება:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებები;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებები.

მესამე ნაწილში ქვეყნდება ინფორმაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს, პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, პალატების მუდმივი კომისიებისა და ყრილობის სხვა ორგანოების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევო კომისიის საქმიანობის შესახებ.

ცალკეული აქტები, დოკუმენტები და მასალები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოქვეყნდეს „უწყებათა" დანართში.

**მუხლი 7.** „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" გამოქვეყნებული აქტები თავსდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი რიგითი ნომრები. აქტების დანართები თავსდება იმავე მუხლებში, რომლებშიც მოცემულია თავად აქტები.

**მუხლი 8.** ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები დანართის თანახმად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.**

**მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 31 ივლისი.**

* * *

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 31 ივლისის კანონის დანართი

**მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგული სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ნუსხა**

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 19 ივნისის ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ 1980 წლის 6 მაისის ბრძანებულების რედაქციით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1958 წ, № 14, მუხლი 275; 1980 წ., № 20, მუხლი 374).

2. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1958 წ., № 1, მუხლი 22).

3. „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 6 მაისის ბრძანებულების 1-ლი მუხლი (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1980 წ., № 20, მუხლი 374).

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 6 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისათვის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობის ორგანიზაციის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1980 წ., № 20, მუხლი 375).

5. სსრ კავშირის 1980 წლის 25 ივნისის კანონი „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1980 წ., № 27, მუხლი 540). „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 6 მაისის ბრძანებულების 1-ლი მუხლის დამტკიცების ნაწილში.

---

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის**

# დ ა ს კ ვ ნ ა

## 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ

**1989 წლის** 4 აპრილიდან 9 აპრილამდე ქ. თბილისში მთავრობის სახლის წინ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლად მიმდინარეობდა არაფორმალურ გაერთიანებათა მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც წამოყენებული იყო მოთხოვნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლის შესახებ.

მიტინგის ხასიათის, დედაქალაქში იმ დროს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებანი და მათი შეფასება მოცემულია საგამოძიებო ქვეკომისიის წინასწარ დასკვნაში, რომელიც დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიამ მიმდინარე წლის 2 ივნისს (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1989 წლის 7 ივნისი). აღვნიშნავთ მხოლოდ ორ გარემოებას:

1. მიტინგი იყო უსანქციო, რასაც მოჰყვა ტრანსპორტის, ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

2. მიტინგს ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, დაკავშირებული არ იყო მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან მისი გამოყენების მუქარასთან საბჭოთა წეს-წყობილების დამხობის მიზნით.

მიტინგის აღკვეთის თაობაზე რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცველ ორგანოებში არსებული დოკუმენტების, მთელი რიგი თანამდებობის პირთა მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების, პრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოირკვა შემდეგი გარემოებანი:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე), რომლებსაც კანონის თანახმად უშუალოდ აკისრიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მათი წინადადებით მიტინგი უნდა აღეკვეთად გამთენიისას, როდესაც მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა რჩებოდა ხოლმე (100—200 კაცი), ხოლო შემდეგ დაეცვათ მოედანი და არ დაეშვათ ახალი მიტინგის გამართვა. საამისო ძალები, მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავდათ. ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით რომ, მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგდა მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები. ასეთ პირობებში კი დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ძალები აფხაზეთში იყო გაგზავნილი, ხოლო საქართველოში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყო.

ამიტომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების ნაწილების საქართველოში დაბრუნება, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) საკავშირო ორგანოების წინაშე აღძრა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ძალების გამოყოფის საკითხი. 7-8 აპრილს თბილისში გამოგზავნეს მილიციის და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის პოლკი — სულ 2089 კაცი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობის შესახებ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება არ გამოუცია და მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება მასთან არ შეთანხმებულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის, აგრეთვე ყოფილი მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის ინიციატივით, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა საბჭოთა არმიის გამოყენებას მიტინგის აღსაკვეთად, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განკარგულების საფუძველზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული ავიასადესანტო პოლკი 7 აპრილს ღამის მარშით შემოვიდა ქ. თბილისში, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ი. როდიონოვი 7 აპრილს ქ. ლენინაკანიდან დაბრუნდა თბილისში. მასთან ერთად დახმარების აღმოსაჩენად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი. ი. როდიონოვის განმარტებით, მას თავდაცვის მინისტრისაგან მიუღია დავალება, გარკვეულიყო რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაში და ემოქმედა სიტუაციის მიხედვით. ამასთან საბჭოთა არმიის ნაწილები გამოეყენებინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად. ოფიცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური დოკუმენტებით დასტურდება, რომ 8 აპრილამდე ი. როდიონოვი წინააღმდეგი იყო მიტინგის აღკვეთაში საბჭოთა არმიის მონაწილეობისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა შეკრებები, რომელზედაც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობისა და მისი ნორმალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე. შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ გაკეთებულა. ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ყოფილი გამგე (კ. აბულაძე), რომელსაც ევალებოდა საქმის წარმოების უზრუნველყოფა, ამ შეკრებებზე არ მიუწვევიათ. მათზე გამოთქმული მოსაზრებების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სახით გაფორმებას ჯ. პატიაშვილისა და ბ. ნიკოლსკის დავალებით საერთო განყოფილება შეუდგა 9 აპრილის შემდეგ, თუმცა დასრულებული სახე ვერ მისცა მათ. ბიუროს დადგენილებები მოკლებულია ოფიციალური დოკუმენტისათვის აუცილებელ ნიშნებს (გადასწორებულია თარიღი, დაუზუსტებელია ოქმის ნომერი და პარაგრაფი). რაც მთავარია, არ ახლავს ოქმები, რის გამოც დოკუმენტურად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ მონაწილეობდა საკითხის განხილვაში და რა პოზიცია ეჭირა. ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქში „საგანგებო წესების" შემოღების შესახებ. ამასთანავე, არ განუსაზღვრავთ ამ ღონისძიების განხორციელების კონკრეტული დრო და ფორმები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საგანგებო ზომების (კომენდანტის საათი) შემოღება შეიძლება აუცილებელი გამხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ მიტინგის აღკვეთის შემდეგ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა.

იმავე დღეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა როგორც კატასტროფული. თათბირის მონაწილეებმა (ა. ჯავახიშვილი, რ. ჩხეიძე, ე. გუგუშვილი, ნ. კიკვაძე) აღნიშნეს, რომ საჭიროა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა და დიალოგი. მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მზადყოფნისა, ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს მათ.

7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. აუცილებლად ვთვლით:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (საამისო სამართლებრივი საფუძველი არსებობს);

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებითი ძალების გამოყენებით შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები (კომენდანტის საათი);

3. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი.

4. საკავშირო და რესპუბლიკურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ იქნეს დაშვებული პუბლიკაციები, რომლებიც ართულებენ სიტუაციას".

დეპეშა მთავრდება შემდეგი წინადადებით: „პირველ, მეორე, მეოთხე პუნქტებზე გთხოვთ თანხმობას". ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე დეპეშის ტექსტის მითითებული ნაწილი არ გამოქვეყნებულა, რამაც შექმნა შთაბეჭდილება თითქოს საქართველოს დედაქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყველა ღონისძიება ცენტრის დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად განხორციელებულიყოს.

7 აპრილს საღამოს ბ. ნიკოლსკიმ დააყენა სამხედრო ძალით დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი, რასაც, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ი. როდიონოვის განკარგულებით ეს აქცია მართლაც განხორციელდა 8 აპრილს დაახლოებით დღის პირველ საათზე. რუსთაველის გამზირზე, მომიტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის თავზე გამოჩნდა სამხედრო ვერტმფრენები. ამ აქციამ უკუშედეგი გამოიღო. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ბ. ლობკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. კოჩეტოვი. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კოჩეტოვი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა სტადიაში მონაწილეობდა.

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ჯ. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და აფეთქება-საშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

საკითხის განხილვის მონაწილეებმა (შ. შოიშვილი, ს. გოგიბერიძე და სხვანი) საჭიროდ მიიჩნიეს ღია დიალოგი, მიტინგის მონაწილეთათვის გაზეთში, ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობის მიცემა და სხვა.

კრებამ მოიწონა რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის გადაუდებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც აქტივს გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ. ღონისძიებათა გეგმა ასეთ პუნქტებსაც ითვალისწინებდა:

— სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები (პ. 17);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მისცენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ლოზუნგებით და აწყობენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს (პ. 20);

— ნეგატიურ გამოვლინებათა აღკვეთის მიზნით შემუშავდეს სამართალდაცვითი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების საქმიანობის კონკრეტული სპეციალური გეგმა (პ. 21).

— საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის აუცილებლობის მიხედვით განხორციელდეს ღონისძიებანი საგანგებო წესების შემოსაღებად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მონაწილეობით (პ. 23).

ღონისძიებათა გეგმის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. აქტივის კრებას კი ეს დოკუმენტი ისე წარუდგინეს, თითქოს იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინასწარ განეხილოს და დაემტკიცებინოს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღონისძიებათა გეგმის მე-17 და 21-ე პუნქტები აქტივის კრებაზე არ წაუკითხავთ, ხოლო მე-20 და 23-ე პუნქტებმა აქტივის კრების მონაწილეთა განსაკუთრებული მხარდაჭერა პოვა. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა მხოლოდ პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა.

აქტივის კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, ახალგაზრდობისადმი, რომლის ტექსტი კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია. დავატეხოთ თავს“.

ეს მიმართვა რესპუბლიკის გაზეთებში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

საბოლოო სიტყვაში ჯ. პატიაშვილმა აქტივის მონაწილეებს სთხოვა კრების დამთავრების შემდეგ მიტინგზე მისვლა და თავისი შეხედულებისამებრ სიტყვით გამოსვლა. „და თუ შეუძლებელი გახდება ხალხის დამშვიდება, — თქვა მან, — მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა“, რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში“.

მიტინგზე პარტიული აქტივის კრების მონაწილენი სიტყვით არ გამოსულან.

აქტივის კრების მსვლელობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილს გააცნეს პოლიტბიუროს წინადადება ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის თბილისში დასახმარებლად გამოგზავნის თაობაზე. ჯ. პატიაშვილმა არ ჩათვალა ეს საჭიროდ, რის გამოც რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების დამატებითი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული. პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა სხდომები სამხედრო პირების მონაწილეობით. ზოგიერთის აზრით, ეს იყო თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. ამასთანავე, გაურკვეველია რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი, მისი კომპეტენციის ფარგლები და მუშაობის რეგლამენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობის პირთა გამოკითხვით და მათ მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების შეჯერებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის დადგენა, კერძოდ, 8 აპრილს პარტიული აქტივის კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზია, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი.

სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი და იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმაო იყო სამართლებრივი საფუძველი არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების პასუხისგებაში მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის. სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ისინი დაითხოვეს ისე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

იმავე სხდომაზე შემდეგ გადაწყდა მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით. ი. როდიონოვმა თავად იკისრა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელობა. სარდალმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, თითქოს უხერხული ყოფილიყოს შინაგან საქმეთა მინისტრს ეხელმძღვანელა საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის, ამასთან მას უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა ასეთ საქმეში და სამხედრო წოდებით ყველაზე უფროსი იყო იქ მყოფთა შორის.

ი. როდიონოვმა თავის თანაშემწეებად განსაზღვრა: საბჭოთა არმიის ხაზით — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ი. კუზნეცოვი, შინაგანი ჯარების ხაზით — შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი, მილიციის ხაზით — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე.

ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. ამასთან ითქვა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

შ. გორგოძემ ოპერაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა საათანადო სამართლებრივი აქტი. 8 აპრილს საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე. განკარგულებაში ნათქვამია, რომ „ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიიღო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ზომები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გააძევონ ყველა მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობენ არასანქციონირებულ მასობრივ ღონისძიებებში;

— გადაიკეტოს საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოქალაქეთა თავისუფლად მისვლა;

— არასანქციონირებული მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების მიმართ მიღებულ იქნეს კანონით დადგენილი ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური მოქმედებანი განხორციელდეს რესპუბლიკური ტელერადიო ცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სხვა ადგილებში".

მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესასრულებლად და ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ იმავე საღამოს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალათ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მთავრობის სახლისა და ტელევიზიის კომიტეტის ტერიტორიიდან მოშიმშილეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე უსანქციო მიტინგის ორგანიზატორებისა და აქტიურ მონაწილეთა დაკავება.

მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმა რაიმე სხდომაზე არ განხილულა. ი. როდიონოვმა კომისიაზე განაცხადა, რომ ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშავებინა ი. ეფიმოვს. თავად კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა. ოპერაციის დაწყების დროს — 9 აპრილის დილის 4 საათი, როგორც ი. როდიონოვი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები განმარტავენ, გადაწყდა თანამდებობის პირთა ვიწრო წრეში (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ი. როდიონოვი, კ. კოჩეტოვი).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე, ე. ი. როდესაც მიტინგის აღკვეთა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ, დეპეშაში აღნიშნულია, რომ „მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბული რჩება. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ძირითადი ლოზუნგი უცვლელი რჩება: სსრ კავშირიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიათა გაუქმება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას, ღებულობენ ზომებს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შემუშავებულია და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთის კონკრეტული გეგმა. ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი აპარატი ზუსტად ასრულებს თავის ფუნქციებს, აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში და მომიტინგეთა შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის".

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე და საერთოდ დედაქალაქში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების თვალსაზრისით არ მომხდარა. არც მთავრობის დაწესებულებებზე თავდასხმების ან მათი ხელში ჩაგდების ცდები ყოფილა. ერთადერთი რაც მოხდა, ის იყო, რომ მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა. სწორედ ამ გარემოებათა გამო მიტინგის აღკვეთის დაწყების წინ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან (ჯ. პატიაშვილი) მოითხოვა მისი გადადება. ამასთან დაკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ჯ. პატიაშვილსა და ი. როდიონოვს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე გაიმართა, ეს წინადადება არ გაიზიარეს.

9 აპრილს დილის 4 საათზე მიტინგის აღკვეთის ოპერაცია დაიწყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

იმავე დღეს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: „8 აპრილს 21 საათის შემდეგ მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ყველა ზომისა, მთავრობის სახლთან დაახლოებით 15 ათას კაციან მიტინგზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში მდგომარეობა ექსტრემისტების მიერ უკიდურესად გამწვავდა და უკონტროლო გახდა. ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები შეუდგნენ რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმების გამოცხადებას. ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენებით მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან გასათავისუფლებლად. კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ქვეგანაყოფები... წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი: 13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. ასზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება... ამჟამად მთავრობის სახლის წინ მოედანი განთავისუფლებულია მომიტინგეებისაგან და დაცულია ჯარების მიერ“. (დეპეშის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ).

ასეთია მიმდინარე წლის 9 აპრილის თბილისში მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებანი. მათი სამართლებრივი შეფასება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საფუძველს გვაძლევს მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების მხრივ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგის ძალის გამოყენებით აღკვეთის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქართველოში ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მცდარმა შეფასებამ და მათ მიმართ პოლიტიკურად მცდარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ფართო მასების, უმეტესწილად, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობის გააქტიურება, რომელიც უპირატესად მიმდინარეობდა უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების (მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა. შ.) გამოყენებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) მიიჩნია არაფორმალური გაერთიანებების, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდა, ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ აქციებად.

შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იდეოლოგიური მუშაობის უსუსურობისა და უნაყოფობის გამო (ნ. ფოფხაძე) რესპუბლიკის პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულმა ორგანიზაციამ, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შესძლეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება და ამიტომ დაადგნენ ძალის გამოყენების პოლიტიკას.

2. რამდენადაც თბილისში 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული არ იყო ძალადობის გამოყენებით საბჭოთა წეს-წყობილების დამხობასთან ან მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებებთან, ამდენად არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა საბჭოთა არმიის ნაწილებით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირების მიერ (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი) მიღებული გადაწყვეტილება მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო აქტია, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

3. მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის უხეში დარღვევით, რადგან მიტინგის აღსაკვეთად საბჭოთა არმიის ნაწილების გამოყენება ისე დაადგინეს, რომ საქართველოს დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებული არ ყოფილა სამხედრო ან საგანგებო წესები.

4. რადგანაც მიტინგის აღკვეთამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცია ბრძანებულება თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ, ხოლო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არ მიუღია შესაბამისი ბრძანება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ი. როდიონოვს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელად განესაზღვრა საკუთარი თავი.

ი. როდიონოვმა დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ თვითნებურად მიითვისა ხელისუფლება, რის გამოც აშკარად გასცდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

5. იმის გამო, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა გადაწყვიტეს, უხეშად დაირღვა შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად შინაგანი ჯარების გამოყენების დროს „აკრძალულია შინაგანი ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოებისათვის დაქვემდებარება“.

ზემოაღნიშნულმა თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, ხოლო ი. ეფიმოვმა, რომელიც მეთაურობდა თბილისში მყოფ შინაგანი ჯარების ნაწილებს, სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გამოიჩინა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულება (ზ. ჩხეიძე), რომლითაც მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ზომების განხორციელება დაევალა შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს, უკანონო აქტია, რადგან მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის მოვალეობების შესრულებისას შინაგანი ჯარები ექვემდებარება მათ უშუალო ხელმძღვანელობას და არა რესპუბლიკის მთავრობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ გადაამეტა ხელისუფლებას, აშკარად გასცდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

7. კანონიერების უხეში დარღვევაა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილ ღონისძიებათა გეგმით და მისი განხილვა პარტიული აქტივის კრებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი, კომპეტენტური ორგანო, და არა პარტიული აქტივის კრება.

ის ფაქტი, რომ პარტიული აქტივის კრებამ მოიწონა ღონისძიებათა გეგმის ეს პუნქტი, მიუთითებს პარტიული აქტივის წარმომადგენელთა მართლშეგნების არასათანადო დონეს, აგრეთვე ადასტურებს ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდების დაუფარავად გამოყენებას თანამედროვე პერიოდშიც.

8. რამდენადაც მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით მიიღეს და ამდენად იგი უკანონო აქტია, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, საქართველოს სსრ პროკურატურამ და სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურამ კანონით დადგენილი წესით განიხილონ და გადაწყვიტონ ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

9. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო პირთა თვითნებობის, ხელისუფლების გადამეტებისა და ქვეყნის შინაგან საქმეებში საბჭოთა არმიისათვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრების ფაქტების აღკვეთის მიზნით საჭიროა გადაისინჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 თავში მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რათა ზუსტად განისაზღვროს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი და კომპეტენციის ფარგლები.



19103

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა გადაისინჯოს ასევე საკანონმდებლო აქტები მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის წესის, შინაგანი ჯარების უფლებამოსილებების შესახებ, რადგანაც მათი გამოყენების პრაქტიკამ არ დაადასტურა ამ აქტების ეფექტიანობა. ამასთან, ისინი შეიცავენ მოქმედ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს.

**ჯონი ხეცურიანი,**

**საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**1.07.89.**

**დასკვნა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ 1989 წლის 12 ივნისს (ოქმი № 14).**

---

## თვალსაზრისი

# რესპუბლიკათა შორის ეროვნულ-ტერიტორიული ურთიერთობის საკითხისათვის

**ვალერიან ფარჯოსაძე,**

**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**სოციალისტური** სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარების ინტერესებისათვის კომუნისტური პარტია და ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნებათა შორის ურთიერთობის სახელმწიფო-სამართლებრივი სტატუსის დადგენას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში ეს პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობდა და ეროვნულ-პრობლემატური საკითხებიც დადებითად წყდებოდა, მაგრამ შემდგომ ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი დინამიზმი თანდათანობით საგრძნობლად შენელდა და მოიშალა. დაიწყო ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპებისაგან გადახვევა და პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდისათვის დამახასიათებელი კანონიერების უხეში დარღვევები, რამაც საგრძნობლად დაძაბა ეროვნებათა შორის დამოკიდებულების ატმოსფერო, დააგროვა გადასაწყვეტი საკითხები და უზარმაზარი ოაზისის ფარგლებში ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ძალის დაწოლით ჩაკეტა. სუბიექტივიზმმა, ვოლუნტარიზმმა და განსაკუთრებით უძრაობის პერიოდმა კიდევ უფრო შეაჩერა ეროვნებათა-შორისო ურთიერთობების მდგომარეობის განხილვისა და გადაწყვეტის მოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავი, შემოქმედებითი გზით სვლის ტემპი და უკიდურეს გამწვავებამდე მიიყვანა იგი.

1985 წლის აპრილიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური სისტემის გარდაქმნისა და სამეურნეო მექანიზმის ძირფესვიანი რეორგანიზაციის პერიოდი. გარდაქმნის ოპტიმალურმა პრინციპებმა, საჯაროობის განხორციელებამ და კანონიერების უზრუნველყოფისათვის ბრძოლამ შესაძლებელი გახადა ფართო სამსჯავროზე ყოფილიყო გამოტანილი წლების მანძილზე დაგროვილი ეროვნებათაშორისო ურთიერთობების გადაუწყვეტელი საკითხები.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა ის „მრგვალი მაგიდა", რომლის შემადგენლობაც გასული წლის სექტემბერში შეიკრიბა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, ხოლო შედეგები გამოქვეყნდა ამავე ინსტიტუტის ჟურნალ «Советское государство и право»-ს ამა წლის პირველ და მეორე ნომრებში.

„მრგვალ მაგიდასთან" მოწვეული იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკების იურისტი მეცნიერები და სპეციალისტები. ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ არც ერთი მათგანი გამომწვევად და კონფლიქტური ტონით არ ჩარეულა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შინაურ საქმეებში იმგვარად, როგორც ეს გააკეთეს ჩვენმა მეზობლებმა, აზერბაიჯანელმა პროფესორმა მ. ალისკეროვმა და სომეხმა დოცენტმა ნ. აივაზიანმა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, მაგრამ ისე გამოდის, თითქოს მათ რესპუბლიკებში ეროვნული ურთიერთობების საკითხი რიგზე იყოს, ამ მხრივ პრობლემები არ არსებობდეს და ახლა განიზრახეს ქართველებს „დაეხმარონ".

თუ აზერბაიჯანში და სომხეთში ეროვნული ურთიერთობა მოგვარებულია, მაშინ რას მივაწეროთ ის ამბები, რაც ამ რესპუბლიკებს შორის მოხდა და დღესაც არაა დამთავრებული, ჯერაც არ მოხსნილა კომენდანტის საათი, არ გაუქმებულა მთიანი ყარაბახის მმართველობის განსაკუთრებული წესი. ქართველობისადმი ასეთი „დახმარების" მიუღებლობა შესანიშნავად დაასაბუთა ამირან გომართელმა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე (1989 წ. მარტი, № 9). როგორც ცნობილია, ამ სტატიამ ქართველი საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დისკუსიის დროს სიტყვით გამოსულმა დოცენტმა ნ. აივაზიანმა თქვა: «Следует провести новое территориальное размежевание между союзными республиками с тем, чтобы проживающие по соседству населения той же нации могло воссоединиться со своей коренной нацией» («Сов. гос. и право», 1989 г., № 1, стр. 45).

ნ. აივაზიანს მიაჩნია, რომ ეროვნებათა შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარებისათვის საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების კუთვნილი ტერიტორიების ჩამორთმევა და იმ რესპუბლიკისათვის გადაცემა, ვისი ერიც „კომპაქტურად ცხოვრობს" ამ ტერიტორიაზე. მაგრამ ვინ და როგორ უნდა გააკეთოს ეს ჩამოგლეჯა და ტერიტორიის შეცვლა ამაზე იგი დუმს. სამწუხაროდ, იურიდიულ მეცნიერებაში ფეხშედგმულ კაცს „დაავიწყდა" სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე" (მუხ. 78). რომელი მოკავშირე რესპუბლიკა დაეთანხმება ან დაეხმარება ნ. აივაზიანს ამ „ორიგინალური" მოთხოვნის განხორციელებაში, ეს ჩვენ არ ვიცით. მითუმეტეს დღეს, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებები კოლოსალურად ფართოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დასამალია და ნ. აივაზიანი საქართველოს სსრ ტერიტორიისაკენ მიბრუნდა, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების დაპატრონების მადა გახსნია. სომხეთს უშუალოდ ეს რაიონები ესაზღვრება და სწორედ იქ არიან კომპაქტურად სომხები დასახლებულნი. რას იზამ, მადას ვერ დაუწუნებენ დოცენტს.

მაგრამ ისმება კითხვა: როგორღა გადავწყვიტოთ იმ სომხების საკითხი, რომლებიც „კომპაქტურად" ცხოვრობენ თბილისში, თელავში, გაგრაში, სოხუმში და საქართველოს სხვა რეგიონებში, რესპუბლიკის ტერიტორიის შუაგულში? ალბთ გვეტყვის მათთვის ავტონომიები შევქმნათო. კეთილი და პატიოსანი, მოვილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ. ასეთი მოთხოვნით ცალ-ცალკე რამდენი სომხური ავტონომია დაგვჭირდება, ესეც ხომ გამოსაანგარიშებელია.

ამ მოსაზრებას რომ გავყვეთ მაშინ, გადასაწყვეტია იმ ქართველთა ბედი, რომლებიც სომხებზე მეტნი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნაკლებნი მაინც არ ბინადრობენ ახალქალაქში და ახალციხეში. გამოვასახლოთ ისინი თავიანთი მამაპაპური ტერიტორიიდან თუ საჩუქრად დავუტოვოთ ახალქალაქში და ახალციხეში მცხოვრებ სომხებს?! ამ კითხვაზე პასუხს თვითონ იურისტი დოცენტის ნ. აივაზიანისაგან მოველით. ასე, რომ ერთმა დაუკვირვებელმა და სუბიექტივიზმით გაჟღენთილმა აზრმა ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა წარმოშვა და ჩიხში მიგვიყვანა. ამიტომ დასკვნა ერთია: ნ. აივაზიანის მიერ შემოთავაზებული წინადადება მცდარია, არაპერსპექტიული და არ გამომდინარეობს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ლენინური პრინციპებიდან.

ნ. აივაზიანი აყენებს აგრეთვე საკითხს, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერსა და ეროვნებას, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი სახელმწიფოებრივი ერთეულის სტატუსი, უფლება მიეცეთ გაერთიანდნენ საბჭოთა ავტონომიის ამა თუ იმ ფორმაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირში შეიქმნას 100-ზე მეტი ავტონომიური ერთეული. ჩვენ რა თქმა უნდა ერისა და ეროვნებების თვითგამორკვევის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ აქ დაფიქრებაა საჭირო, აჩქარება არაფერს არ მოგვცემს. ასე რომ მოხდეს ისტორიულად არსებული ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოების განმტკიცება აუცილებელია, მაგრამ ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების დანაწევრება ხელოვნურად პატარ-პატარა ავტონომიებად საზიანო იქნება. ასეთ შემთხვევაში ხომ გართულდება ამდენი ავტონომიური ერთეულების მართვა, დაიქსაქსება სსრ კავშირის ერთიანი ტერიტორია ნაწილ-ნაწილებად, კუთხე-კუთხეებად. ცნობილია, რომ დიდი ლენინი მტკიცედ უჭერდა მხარს ერთიანი ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უშვებდა ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას. ამავე დროს, ფედერაციას იგი თვლიდა არა მუდმივ, არამედ მხოლოდ გარდამავალ ფორმად მომავალი უნიტარიზმისაკენ.

1918 წლის მარტში ვ. ი. ლენინი გარკვევით წერდა: «Сплошь и рядом федерация при действительно демократическом строе, а тем более при советской организации государственного устройства, является **лишь переходным шагом** (ხაზგასმა ჩემია ვ. ვ.) к действительно демократическому централизму». (В. И. Ленин, П. с. с., т. 36, стр. 151).

აქ კომენტარი ზედმეტია.

როდესაც მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიების ხელახალ გადანაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაზე მსჯელობს ნ. აივაზიანი, რატომ ავიწყდება, რომ საქართველოში ჩამოსახლებული სომხების უმრავლესობა ისინი არიან, რომლებსაც უკიდურესი გაჭირვების ჟამს (ყოფნა-არყოფნის მძიმე განსაცდელში რომ ჩავარდნენ) მოწყალების ხელი ქართველმა ერმა გაუწოდა და ლტოლვილებად მოხეტიალეებს ქართულ მიწა-წყალზე მისცა დროებითი თავშესაფარი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართველებმა სტუმრად მიიღეს სომხები თავიანთ ოჯახში. თუმცა, მათ იგრძვნეს რა ქართველების ალალი გული და სტუმართმოყვარეობა, მათი უმრავლესობა მუდმივად დარჩა საქართველოში.

საერთოდ ცნობილია, რომ ქართველები უძველესი დროიდანვე მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ მეზობელ ხალხებთან და არათუ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მათ დასახლებას, არამედ ყოველმხრივ შესაძლებლობასაც კი უქმნიდნენ საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის დროიდანვე სახლდებოდნენ საცხოვრებლად საქართველოს ტერიტორიაზე ყივჩაღები, სომხები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ისიც ცნობილია, რომ ამ ხალხებს დიდი სამსახური გაუწევიათ ქართველთათვის ძნელბედობის დროს, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობაც მუდამ ერთგულად მფარველობდა მათ. ისტორიული წყაროები გვაუწყებენ: სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები საქართველოში უფრო უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე თავიანთ მშობლიურ მხარეში.

მას შემდეგ კი, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა სხვა ხალხებმაც ქართველთა ბედი გაიზიარეს. რუსეთის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლება მათაც წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ბუნებრივია, ისინიც ქართველებთან ერთად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

დიახ, საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული არა ქართული წარმოშობის ერების სასიცოცხლო ინტერესებსაც გამოხატავდა ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროექტი, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ითვალისწინებდა. დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენცია ი. ჭავჭავაძის პროექტით უნდა გავრცელებულიყო ქართველი და მისი მეგობრული ერებით დასახლებულ ტერიტორიაზე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმის ოლქში, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებში.

საყურადღებოა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეს პროექტი არა მარტო ქართველების, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერებისთვისაც მისაღები იყო, რადგან მათ ქართველებისაგან არასოდეს განუცდიათ შევიწროება. ეს ჰუმანური დამოკიდებულება სხვა ერების მიმართ ჩვენთან დღემდე არ შეცვლილა.

ჯერ XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ფაქტები გავიხსენოთ. მაშინდელი კავკასიის მეფისნაცვალისა და მთავარსარდლის ი. პასკევიჩის ინიციატივით 35000-მდე ლტოლვილი სომეხი ჩამოასახლეს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ხოლო ქართველების დიდი ნაწილი თურქეთში გადაასახლეს. ქართველთა აწიოკება დიდხანს გრძელდებოდა, მის მიწა-წყალს უცხო ტომის ხალხი ეპატრონებოდა და თავისი ნება-სურვილით განაგებდა. ამ პერიოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაატარა და საკმაოდ დასაბუთებული შრომაც დაწერა მკვლევარმა ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა, სადაც დაინტერესებულ პირს ბევრი სასარგებლო რამის წაკითხვა შეუძლია. ამჯერად ჩვენ უფრო უახლოესი პერიოდის გახსენება გვსურს.

პროფ. ვ. თოიძის მიერ შესწავლილი ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ 1915 წლის აგვისტოში ოსმალეთის ფრონტზე მომხდარი ამბების გამო ათეულ ათასობით სომეხმა მიატოვა თავისი მიწა-წყალი და მეზობელ ტერიტორიებს მიაშურა. საქართველომ ამ პერიოდში 30000-ზე მეტი სომეხი ლტოლვილი შეიფარა და დაასახლა კიდეც თბილისში, გორში, ბორჩალოში, ახალქალაქში, ახალციხეში და სხვა ადგილებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა სწორედ ეს იყო, რომ ამ პერიოდის საქართველო მართლაც მძიმე საბინაო და სასურსათო პირობებში აღმოჩნდა. სტუმართმოყვარე ქართველი ერი კი მაინც უდიდესი მოთმინებით იტანდა ამ არნახულ გაჭირვებას.

ქართველი ხალხისადმი მადლიერების გრძნობას ეს ხალხი არასოდეს ივიწყებს, მაგრამ სამწუხაროდ სომეხი და აზერბაიჯანელი იურისტები ნ. აივაზიანი და მ. ალისკეროვი საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს მაინც აქეზებენ მოითხოვონ სომეხი და აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის საკუთარი ავტონომიები. როგორც ჩანს, ისინი არაფერს ერიდებიან, ყურადღებას არ აქცევენ ტერიტორიას, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს და თავს ნებას აძლევენ „დაასაბუთონ" უცხო ტომთა მიერ მათი მითვისების შესაძლებლობა.

სომხეთში მიწისძვრის გამო გამოწვეული დიდი უბედურების დროს მათთან პირველები ქართველები გაჩნდნენ დასახმარებლად და ათასობით სომეხი მეზობელი შეიხიზნეს, თავშესაფარი მისცეს. მათგან ბევრი დღესაც ჩვენთან ცხოვრობს, ქართულ მიწა-წყალზე. ასევე გულით მიიღო ქართველმა ხალხმა მთიანი ყარაბახიდან გამოქცეული ლტოლვილები და თავის მიწაზე მისცა თავშესაფარი. ქართველების ზნე-ჩვეულებაში დიახაც, რომ ჩადუღაბებულია გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარების გრძნობა, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და სადაც სიკეთეა, იქ მტრობა ნამდვილად არც უნდა იყოს.

სამწუხაროა, რომ ამგვარად არ ფიქრობს ნ. აივაზიანი, თავისი აზრით მან ახალქალაქის, ახალციხის და შაუმიანის ტერიტორიალური საკითხი უკვე „გადაწყვიტა" და ალბათ მალე თბილისში, ველისციხეში და აფხაზეთში დასახლებული სომეხი მოსახლეობის ავტონომიასაც მოითხოვს. დიდი გულისტკივილით მე იმიტომ უფრო აღვიქვამ ჩემი კოლეგის გაუმართლებელ წინადადებებს, რომ ვიცი ნ. აივაზიანის აზრი მთელი სომეხი ხალხის აზრი არაა, მისი წინადადებები არ ემყარება მილიონობით სომეხის ნებას, და დარწმუნებული ვარ სომეხთა უმრავლესობა კეთილშობილური გრძნობით არის განმსჭვალული თავისი საიმედო მეზობლის, ქართველი ხალხის მიმართ. ისიც მჯერა, რომ ვერავინ შესძლებს ფეხქვეშ გათელოს ქართველებსა და სომხებს შორის არსებული უანგარო, მეგობრული დამოკიდებულება.

სუბიექტივიზმითა და უპასუხისმგებლობით იყო გაჟღენთილი აგრეთვე აზერბაიჯანელი იურისტის პროფ. მ. ალისკეროვის გამოსვლა ქ. მოსკოვში გამართულ დისკუსიაზე. მის მიერ შემოთავაზებული ფსევდომეცნიერული წინადადებები სავსებით სწორად გააკრიტიკა და მზის სინათლეზე გამოიტანა ამირან გომართელმა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ალისკეროვმა თავის შორს გამიზნული შოვინისტური ზრახვებით ყველაფერს გადააჭარბა. იგი აცხადებს: საქართველოში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელებისაგან აზერბაიჯანული ავტონომია უნდა შეიქმნასო. საქართველოში კი აზერბაიჯანელები კომპაქტურად დასახლებულნი არიან მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონებში, თბილისის შემოგარენში, მცხეთის რაიონის სოფ. ციხისძირში და ა. შ. ე. ი. თუ ალისკეროვს დავუჯერებთ, საქართველოში სულ ცოტა 3 აზერბაიჯანული ავტონომია მაინც უნდა შეიქმნას. ეს კი არავითარ კონსტიტუციურ პრინციპებს და სამართლებრივ სტატუსს არ შეესაბამება, რადგან ერთი პატარა რესპუბლიკის შიგნით სამი ერთგვაროვანი ავტონომიის შექმნა მართლაც წარმოუდგენელია. მითუმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც იქვე, გვერდით არსებობს ამავე ეროვნების მქონე მოკავშირე რესპუბლიკა, ვისთანაც დაუბრკოლებელი და ყოველგვარი კავშირურთიერთობა შეუზღუდავია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში კომპაქტურად ცხოვრობენ აგრეთვე სომხები, რუსები, ბერძნები, ლეკები, ებრაელები და სხვა ერები. თუ მ. ალისკეროვის პოზიციას გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიების გარდა კიდევ უნდა შეიქმნას უამრავი ავტონომიური ერთეული, ხოლო თვით აზერბაიჯანში კი რუსების, ქართველების, სომხების, დაღესტნელების და სხვა კომპაქტურად დასახლებულ ერთა ავტონომიები. საერთოდ ამ პრინციპით თუ ვიმოქმედებთ, მაშინ ასეთივე სახის ავტონომიური ერთეულები უნდა შეიქმნას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, რადგან საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა, ე. ი. ერთიანი საკავშირო სახელმწიფო უნდა დანაწევრდეს, დაიგლიჯოს, დაქუცმაცდეს ავტონომიურ ერთეულებად. და როგორი იქნება თითოეული მათგანის სამართლებრივი სტატუსი, დაფიქრებულა ამ საკითხებზე იურისტი პროფესორი მ. ალისკეროვი? ვფიქრობთ არა. მას აინტერესებს მხოლოდ ის, რომ მარნეულისა და ბოლნისის (და კიდევ სხვა რეგიონების) ავტონომიების შექმნისა და გაძლიერების შემდეგ მოხდეს მათი ტერიტორიულად აზერბაიჯანთან შეერთება. ძნელი მოსახვედრი არ არის, რომ მ. ალისკეროვმა აშკარად შეტოპა გაუმართლებელ სეპარატიზმში.

აზერბაიჯანელი პროფესორი იმასაც არ ითვალისწინებს, რომ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში ქართველები ცხოვრობენ და რაც ყველაზე მთავარია, თავიანთ მიწა-წყალზე ისინი ცოტანი არ არიან. რა ვუყოთ ამ ქართველებს? როგორ მოვექცეთ, ხომ არ ავყაროთ ისინი თავიანთი მამაპაპური ტერიტორიიდან, მერედა სად გადავასახლოთ?

სამწუხაროდ ჩვენ, ქართველები, გადაჭარბებულმა სტუმართმოყვარეობამ, ე. წ. ინტერნაციონალიზმმა მიგვიყვანა ამ სავალალო მდგომარეობამდე. ზოგიერთი თავხედი სტუმარი კი რბილად რომ ვთქვათ მართლაც უცნაურად იქცევა. ჰოი, საოცრებავ, კაცს გაჭირვების დროს შეიცოდებ, თავშესაფარს მისცემ და ისე გაგითამამდება, რომ საკუთარი სახლიდან დაგიპირებს გამოგდებას. კარგი სტუმრობაა მე და ჩემმა ღმერთმა. საერთოდ, პარადოქსია, აქეთ სომხები გვედავებიან ბოგდანოვკას, ახალქალაქს, ახალციხეს, იქეთ აზერბაიჯანელებს გახსნიათ მადა, საინგილო ხომ მივეცით, ახლა, გარდაქმნის ამ პირველ ეტაპზე, ჯერჯერობით მარნეული და ბოლნისი გვეყოფაო. დასავლეთში აფხაზები გვედავებიან თქვენი ტერიტორია უნდა წავიღოთ და გავიდეთ საქართველოდანო. ვაი, რომ, ქართველების უკითხავად ინაწილებენ მეზობლები და სტუმრები სისხლისფასად მოპოვებულ და დაცულ ჩვენი ერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა-წყალს. ეს მაშინ, როდესაც ქართველი ერის ბედის უკულმართობით გამოწვეული ისტორიული უსამართლობანი ისედაც ბევრი გვაქვს მოსაგვარებელი და პრინციპულ გადაწყვეტას მოითხოვს ქვეყანაში ეროვნულ ურთიერთობათა რეგულირების საკითხი, რომელმაც ფართო და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

მე იმის მომხრე ვარ, რომ ავტონომიის ესა თუ ის ფორმა შეიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე რესპუბლიკის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული სხვა ერის წარმომადგენლები ცხოვრობენ. ამ აზრიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს აჭარის, ნახიჭევანისა და მთიანი ბადახშარის ავტონომიები. ხომ არ შეიძლება, საქართველოში არსებობდეს ქართველებითვე დასახლებული აჭარის ავტონომია, აზერბაიჯანში აზერბაიჯანელებით დასახლებული ნახიჭევანის ავტონომია და ტაჯიკეთში ტაჯიკი ერით დასახლებული მთიანი ბადახშირის ავტონომია. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 22 წლის წინ გამოვთქვი აზრი, მაგრამ არავინ გამოხმაურებია მას. დღეს ამ პრობლემამ სრულიად სამართლიანად წამოიწია წინა პლანზე და მოსკოვის დისკუსიაზე, მეტად კვალიფიციურმა სახელმწიფო მცოდნე სპეციალისტმა პროფესორმა ზლატოპოლსკიმ თქვა, იქნებ ახლა მაინც დაიძრას ადგილიდან არასაჭირო ავტონომიების რეორგანიზაციის საკითხიო.

საერთო შენიშვნა გვინდა ვთქვათ მოსკოვის დისკუსიის იმ მონაწილეთა მიმართ, რომლებიც თვლიან, რომ სსრ კავშირში არსებული ყველა 53 ეროვნული ფორმირება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულია. სხვათაშორის, ასეთი აზრია დამკვიდრებული თითქმის ყველა სახელმძღვანელოში, მონოგრაფიაში თუ სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც დაბეჭდილი და გამოქვეყნებულია ჩვენს ქვეყანაში. ასეთი რამ ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებად ითვლებიან მხოლოდ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ხოლო ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები არიან მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიული და არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომელთაც ენის გარდა სხვა არავითარი სახელმწიფოებრივი ნიშანი არ გააჩნიათ.

გვინდა ერთ საკითხზეც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: სტატისტიკური მონაცემებით, მოკავშირე რესპუბლიკების ძირითადი მოსახლეობიდან სამშობლოს გარეთ ცხოვრობენ: სომხები 34,4 პროცენტი, ტაჯიკები 22,8 პროცენტი, ბელორუსები 20,0 პროცენტი, ყაზახები 19,3 პროცენტი, რუსები 17,3 პროცენტი, მოლდაველები 14,9 პროცენტი, აზერბაიჯანელები 14,0 პროცენტი, უკრაინელები 13,8 პროცენტი და ა. შ.: ყველაზე ნაკლებად თავიანთი ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ ცხოვრობენ: ქართველები, ლიტველები და ლატვიელები, შესაბამისად 3,5—6,2 პროცენტამდე.[1]

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და მათი კომპაქტურობის გაძლიერების მიზნით, უმჯობესი ხომ არ იქნება, რომ თავიანთ სამშობლოდან წასული პირები შეძლებისდაგვარად ისევ უკან დაბრუნდნენ საცხოვრებლად.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გამწვავდა ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ამიტომ ალბათ მართლაც დროული და გონივრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომი-

[1] Численность и состав населения СССР: по данным Всесоюзной переписи населения 1979 г. Статистический сборник ЦСУ СССР, М., 1984 г., стр. 138—141).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის გადაწყვეტილება ეროვნულ საკითხებზე სპეციალური პლენუმისა ვევის შესახებ. სწორედ ამით იწყება სხვადასხვა ერთა ურთიერთობის გარდაქმნის პროცესი, რაც გვჯერა გლობალური ძალისხმევით ჩატარდება. ალბათ იმის საჭიროებაც დადგება, რომ საბჭოთა ფედერაციისა და ავტონომიის სტატუსი შეიცვალოს, რათა მათი ფუნქციები სრულიად ახალი უფლებრივი მდგომარეობით განისაზღვროს.

# სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში

ოთარ გამყრელიძე

ქართველი ხალხის წინააღმდეგ საყოველთაო ლაშქრობაა დაწყებული. ყველგან ქართველის სისხლი იღვრება: თბილისშიც, ქვემო ქართლშიც, აფხაზეთშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, შორეულ ფერღანაშიც კი. საქართველოს, როგორც ყოველთვის, დღესაც ბევრი მტერი ჰყავს, შინაურიც და გარეულიც, და ყველა ერთიანად სწეწავს და ჯიჯგნის ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს.

1989 წელი ქართველთა გენოციდის წლად შევა ჩვენი ერის ისტორიაში. განსაკუთრებით ითქმის ეს აფხაზეთში ივლისის მოვლენების დროს ქართველთა ხოცვა-ჟლეტაზე. გენოციდი ნიშნავს ადამიანთა ამოხოცვას ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური მოტივით. ადამიანებს ჟლეტენ იმ მოტივით, რომ ისინი ამა თუ იმ ერის ან რასის წარმომადგენლები, ანდა, რომელიმე რელიგიის აღმსარებლები არიან. ასეა ეს ცნება განმარტებული სპეციალურ უცხო სიტყვათა ლექსიკონებში. ზუსტად ასე მოხდა აფხაზეთშიც.

აფხაზეთში, ქართველთა და აფხაზთა გარდა, მრავალი სხვა ერიც სახლობს: სომეხი, ბერძენი, რუსი და სხვ. ზოგიერთი ერის წარმომადგენლები აქ სულ ახალი ჩამოსახლებულები არიან. მაგრამ მათ არავინ არაფერს ერჩის. სანიშნედ, სამიზნედ მხოლოდ ქართველია ამორჩეული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვიღაც რუსი დედაკაცი ქართველების მისამართით ტელევიზიით საქვეყნოდ გაჰკიოდა, ვისაც აქაურობა არ მოსწონს, მატარებლის ბილეთს ავუღებთ და თავის რესპუბლიკაში გავისტუმრებთო.

რა ამბავია, რატომ ხდება ეს? პირდაპირ აღმაშფოთებელი ფაქტია, გაუგონარი ცინიზმია, როცა ქართველ კაცს თავისი მამაპაპური საცხოვრისიდან აყრას და გასახლებას უცხოტომელი უპირებს. გაუგონარია პრაქტიკულად ასეთი უუფლებო მდგომარეობა ჩვენი ხალხისა... ასეთი ვითარება, ისტორიული თვალსაზრისითაც თუ შევხედავთ, მეტად ძნელი წარმოსადგენია. ერთი რამ აშკარაა: აფხაზებმა ქართველების წინააღმდეგ სხვა ერის წარმომადგენელთა ამხედრება სცადეს. მაშასადამე, სხვა ერს არას ერჩიან, მხოლოდ ქართველია მათთვის მიუღებელი. იმასაც არ დაგიდევენ, რომ ამით უცხოტომელებმა შეიძლება აფხაზის მხრივ მხარდაჭერა იგრძნონ და აფხაზეთში თავისი პოზიციის გამაგრებასაც შეუდგნენ, რათა იქ მტკიცედ დამკვიდრდნენ, ფეხი ძლიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიკიდონ, თავი ამ მიწის ბატონ-პატრონად იგრძნონ... გაიხსენეთ, როგორი რიხით გამოდიოდა ტელევიზიით ქართველების წინააღმდეგ ის დედაკაცი... სწორედ ამაზეა ნათქვამი, გარეული მოვიდა და შინაური გააგდოვო.

მაგრამ მარტო ადგილობრივ უცხოტომელებს როდი ეყრდნობიან აფხაზები, ისინი მხარდაჭერას უფრო მეტად ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ეძებენ. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია დეპუტატ არძინბას ცილისმწამებლური გამოსვლა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. მაგრამ, ვფიქრობ, არძინბა და ძმანი მისნი მწარედ მოტყუვდნენ და აშკარად იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ვერ დავიჯერებ, რომ ისინი მავანს და მავანს ასე ყველას თვალწინ, დღისით მზისით თვალს აუხვევენ და შეცდომაში შეიყვანენ, რომ უდანაშაულო ქართველების ეს გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა ამ აქციის მოთავეებს შერჩებათ, რომ ისინი დაუსჯელნი დარჩებიან.

რამ გამოიწვია მაინც ეს ხოცვა-ჟლეტა, რა იყო მიზეზი ივლისის მოვლენებისა? ეს აქცია, ცხადია, აფხაზი სეპარატისტების შემთხვევითი აფეთქების შედეგი არ ყოფილა, ის დიდი ხნის მანძილზე გულმოდგინედ შემზადებული, წინასწარ დაგეგმილი ანტიქართული საქმიანობის კანონზომიერი ნაყოფია. ეს ანტიქართული საქმიანობა მიმდინარეობდა იქ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. აფხაზთა თეორიულ საქმიანობაში მე ვგულისხმობ ეგრეთწოდებულ „ლიხნის წერილს", რომელმაც უდავოდ ითამაშა გადამწყვეტი როლი აფხაზთა და ქართველთა შორის ეროვნული შუღლის გაღვივებაში. ამ წერილით აფხაზები შეეცადნენ თავიანთი მომავალი საქმიანობისათვის თეორიული დასაბუთება მიეცათ. ამ წერილმა უდავოდ ითამაშა წამქეზებლური როლი. მან აფხაზები ქართველთა საწინააღმდეგოდ განაწყო, გამოიწვია მათ მიმართ გულისწყრომა, სიძულვილი. ამიტომ „ლიხნის წერილის" ავტორებს თუ ხელისმომწერებს, რომლებიც, როგორც ამბობენ, ორმოცდათექვსმეტი კაცი უნდა იყოს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომლებიც ამ წერილის გამოქვეყნებას მოჰყვა და ვინ იცის კიდევ რამდენი მოჰყვება მომავალში...

ქართველთა საწინააღმდეგოდ დაწყებული პრაქტიკული საქმიანობა გახლავთ აფხაზების მიერ წინასწარ, ვიდრე ივლისის მოვლენები მოხდებოდა, საბრძოლო იარაღის შეძენა. ახლა უკვე სრულიად აშკარაა, რომ აფხაზები საგანგებოდ იარაღდებოდნენ, რათა ქართველები გაეჟლიტათ, რაც ნაწილობრივ უკვე განახორციელეს კიდეც. ყოველივე ეს მტკიცდება იმ სახეობის იარაღის მეოხებით, რომელიც მოსახლეობას დღემდე უკვე ჩამოერთვა. ყველაფერს წარმოიდგენდა ადამიანი, მაგრამ იმის გაფიქრება კი ალბათ ძალიან ძნელი იყო, რომ კერძო კაცის ხელში მარტო შაშხანები და საბრძოლო ავტომატები კი არა, ტყვიამფრქვევებიც კი აღმოჩნდებოდა. თანაც განა ერთი და ორი? ვთქვათ, შაშხანა და ავტომატიც კი ნადირობისათვის შეიძინა კაცმა, მაგრამ რა შეიძლება ითქვას ტყვიამფრქვევზე? შეუძლია ამ იარაღის შემძენს გვიმტკიცოს, რომ მას ადამიანის მოსპობა არა აქვს ჩაფიქრებული? რაღა აკლიათ, ასეთ ხალხს შეუძლია ხვალ საარტილერიო ზალპებითა და თვითმფრინავებითაც შემოგვიტიოს...

არის კიდევ ერთი ძლიერი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ იარაღის შეძენა წინასწარ დაგეგმილი, კარგად გააზრებული აქცია იყო. მკითხველს ალბათ ახსოვს ივლისის ამბების მოხდენამდე კარგა ხნით ადრე გავრცელებული ხმები, აფხაზები ფულს აგროვებენ იარაღის შესაძენად ქართველების წინააღმდეგო. მე ეს ყველაფერი მაშინ მორიგი ჭორი მეგონა და დიდი ყურადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც არ მიმიქცევია (თუმცა სადაც ჯერ არს, იქ კი უნდა მიექციათ ყურადღება). მაგრამ ჩვენდა სავალალოდ გავრცელებული ხმები ჭორი კი არა, სრული სიმართლე აღმოჩნდა... იარაღის შეძენა რომ განიზრახო ისიც უნდა იფიქრო, რომ ეს იარაღი ვიღაცამ მოგყიდოს, ავტომატები და ტყვიამფრქვევები, ცხადია, გზაშარაზე არ ყრია უპატრონოდ. აქედან ისიც ნათელია, რომ ამ ანტიქართულ საქმიანობაში აფხაზები მარტონი არ არიან და მასში გარეშე ძალაც ურევია.

აქ მინდა აგრეთვე მოგაგონოთ ის მუქარაც, ქართველების წინააღმდეგ მიმართული, ასე და ასე თუ არ მოიქცევით, მეორე ფერლანას მოგიწყობთო. ხშირად დავფიქრდები ხოლმე, რამდენი ლაპარაკია დღევანდელ ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე, როგორი უკმაყოფილოა ზოგჯერ საზოგადოება, განსაკუთრებით ამ მოძრაობის ყველაზე უფრო რადიკალურად განწყობილი ნაწილის მიმართ! გაიხსენეთ, როგორ აღელვებს, მოსვენებას უკარგავს ხოლმე თითოეული მათ მიერ წამოსროლილი სიტყვა საქართველოს ტერიტორიაზე (და მის გარეთაც), მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას. მართალია, ზოგჯერ ეს რადიკალები გამოდიან ხოლმე სრულიად გაუმართლებელი ლოზუნგებით, მაგრამ ერთი ვინმემ დამიმტკიცოს, რომ არათუ ქართველ ინტელიგენციას, იმ რადიკალურად განწყობილ ნაწილსაც კი ჩვენი ახალგაზრდობისა (კიდევ ვიმეორებ, არ ვგულისხმობ ცალკეულ გამონათქვამებს ან მოწოდებებს, რომლებსაც ქართველი ხალხი ყოველთვის გმობს ხოლმე გარკვეული ფორმით) რუსი ხალხის ან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერთა წარმომადგენლების წინააღმდეგ „ლიხნის წერილი" რომ შეეთითხნათ და საბრძოლო იარაღი შეეძინათ მათ გასაჟუჟად ან საქართველოს ტერიტორიიდან გასარეკად...

რასაკვირველია, მე კარგად მესმის, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად, ამჟამად, შეიარაღებულია ქართველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც და შეიარაღებულ ქართველთა და აფხაზთა შეტაკებებიც მოხდა. მაგრამ ეს შეიარაღება ქართველთა მხრიდან იყო საპასუხო რეაქცია აფხაზთა მხრივ, როგორც ზემოთ ვთქვით, წინასწარ დაგეგმილი და უკვე დაწყებული ქართველთა გენოციდის მიმართ.

აფხაზები იგონებენ წარსულს და ბერიას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ღონისძიებების გატარებაში ბრალს ქართველებს დებენ. ამ ღონისძიებებიდან, რამდენადაც ვიცი, ბერიას მიერ ჩადენილი სამი აქცია აღელვებთ მათ ყველაზე მეტად. ესენია: 1) აფხაზური ინტელიგენციის გაჟლეტა 30-იან წლებში, 2) ქართველთა ჩასახლება აფხაზეთში და 3) 40-იან წლებში აფხაზური სკოლების დახურვა და მათ ნაცვლად ქართული სკოლების გახსნა. ყველა ამ საკითხზე დაწვრილებითი მსჯელობა, რა საკვირველია, მეცნიერულ ჩაღრმავებას მოითხოვს, რისთვისაც აქ არც ადგილი გვაქვს და არც დრო. მე მხოლოდ მოკლედ ვიტყვი.

ბერია რომ ქართველი იყო და არაქართველები გაჟლიტა, ეს უაღრესად აღმაშფოთებელი და დასაგმობია. მაგრამ უფრო მეტად აღმაშფოთებელი ის არის, რომ მან ყველაზე მეტად თავისი ერის წარმომადგენლები გაანადგურა. უფრო აღმაშფოთებელს მე ამ ფაქტს იმიტომ ვუწოდებ, რომ კაცი, რომელსაც თავისი ერი არ უყვარს, ბუნებრივია, არც სხვას დაინდობს. ამიტომ როგორ შეიძლება ამ კაცის მიერ ჩადენილი დანაშაული მთელ ქართველ ხალხს შეარაცხო ბრალად. ვინც ამას აკეთებს, ის თვითონ სჩადის მორალურ დანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაულს. ყველაზე დიდი ბრალდება ბერიას მიმართ ის არის, რომ იგი ქართველი ხალხის მოღალატე იყო.

თუ ბერიას მიმართ იმასაც იტყვიან, რომ მან აფხაზეთში საქართველოს სხვა კუთხეებიდან ქართული ეროვნების მოსახლეობა ჩაასახლა, ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ ბერია დღევანდელი საჯაროობის მომხრე სულაც არ ყოფილა, რომ ეს აქცია ქართველი ხალხისათვის შეეთანხმებინა წინასწარ და მისი დასტური მიეღო. ასეთი თანხმობის მიღებაზე ყოველთვის და არც ახლა, საჯაროობის პირობებში იკლავს თავს მაინცდამაინც ვინმე.

გარდა ამისა, როცა ზოგიერთი ჭეშმარიტების მაძიებელი ჩვენში საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ქართველი კაცის ჩასახლებას ასე მწვავედ განიცდის, რატომ არაფერს ამბობს ანალოგიურ აქციაზე, რომელიც რამდენადაც ვიცი, ბერიას შემდეგ მოხდა? მე აქ მხედველობაში მაქვს ათასობით სომხების სრულიად უკანონოდ ჩასახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე 60-იან წლებში. რატომ დაუშვეს აფხაზებმა ეს უკანონობა? ახლაც ხომ ბერია არ უშლიდათ ხელს. რა ვთქვათ იმაზე, რომ აფხაზეთში ალმაცერად უყურებენ ქართული წარმოშობის მკვიდრ მოსახლეობას, ხოლო სხვა რესპუბლიკებიდან მაშინაც ბევრი არაქართველი ჩამოასახლეს ზღვისპირა აკრძალულ ზონაში, როცა ამ ქვეყნად აღარც სტალინი იყო და აღარც ბერია.

რაც შეეხება ბერიას მიერ აფხაზური სკოლების დახურვას და მათ ნაცვლად ქართულის გახსნას, ეს, რასაკვირველია, ყოვლად გაუმართლებელი აქცია იყო და მას არცერთი შეგნებული ქართველი არ მოიწონებს. მაგრამ ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაშია. დიქტატურა იმიტომ მყარდება ხოლმე ქვეყანაში, რომ ერთი კაცის დიქტატი, ე. ი. კარნახი ანუ ნება განხორციელდეს დაუბრკოლებლად.

აფხაზური სკოლების დახურვაც და მათ ნაცვლად ქართულის გახსნა, თქმა არ უნდა, კულტურის საწინააღმდეგო მოქმედება იყო. მაგრამ როგორ უნდა შეფასდეს სოხუმში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის უმოწყალოდ, შეუბრალებლად, ბარბაროსულად დარბევა აფხაზი ეროვნების წარმომადგენლების მხრივ, რაც სულ ახლახან მოხდა? განა ესეც კულტურის საწინააღმდეგო მოვლენა არ არის, თანაც სრულიად ნებაყოფლობით ჩადენილი, ყოველგვარი დიქტატურის გამოყენების გარეშე! თუ შენ გმობ პირველს, ე. ი. აფხაზური სკოლების დახურვას, ანალოგიურ ბარბაროსობას რაღატომ სჩადიხარ? თუკი ეს მეორე გამართლებულია, მაშინ პირველი რატომაა დასაგმობი? აი, აფხაზური სეპარატიზმის ლოგიკა.

მაგრამ მთავარი მაინც ეს როდია. მთავარი ის არის, რომ უნდა მოიძიებნოს აფხაზ-ქართველთა უთანხმოების ნამდვილი მიზეზი. უნდა გაირკვეს ის მიზეზი, რამაც დღევანდელი აფხაზური სეპარატიზმი წარმოშვა, რაც საფრთხეს უქმნის აფხაზ-ქართველთა საუკუნოვან მეგობრობას და ერთიანობას. ასეთ მიზეზად ზოგიერთი ჩვენში გარეშე ძალების მხრიდან წამქეზებლობა-წასისინებას მიიჩნევს, ზოგჯერ სოციალურ მომენტსაც ასახელებენ... მე ამაზე დავას არ დავიწყებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ აქ, როგორც სჩანს, ერთგვარ როლს თამაშობს აგრეთვე კულტურის მომენტიც. ძველი აფხაზური ინტელიგენცია ძალიან დაახლოებული იყო ქართულ კულტურასთან. ჩვენ და აფხაზებს, მიუხედავად ეთნიკური სხვადასხვაობისა და კულტურების თავისთავადობისა, ისტორიულად ძლიერი შეხების წერტილები გვქონდა კულტურის სფეროში. აფხაზურ-ქართული კულტურა ძალიან დაახლოებული იყო და ეს ხელს უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობდა ჩვენს მეგობრობას და პოლიტიკურ ერთიანობას. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი შარვაშიძე, აფხაზურ-ქართული კულტურის შესანიშნავი წარმომადგენელი და ნამდვილი მშვენება, პოეზიის საუკეთესო ნიმუშები რომ შექმნა ქართულ ენაზე. აი ერთი პატარა ეპიზოდი ამ ადამიანის ცხოვრებიდან.

ერთხელ თურმე გიორგი შარვაშიძემ თავის მამიდაშვილ პოეტ მამია გურიელს მიმართა წინადადებით: მოდი ჩამოვაყალიბოთ ხელისჩამოურთმევლობის საზოგადოებაო. ამ საზოგადოების წევრის მოვალეობა ის იქნება, რომ მან ხელი არ უნდა ჩამოართვას იმას, ვინც რუსის სამსახურში ჩადგებაო. ასეთი იყო დახლოებით იმდროინდელი აფხაზი ინტელიგენციის სულისკვეთება. მაგრამ ის ძველი ინტელიგენცია თავად-აზნაურული წარმოშობის საბაბით, ე. ი. პოლიტიკური მოტივით სრულიად გაჟლიტეს და პირწმინდად გადასხეპილ ხეზე ის ყლორტები აღმოცენდნენ,რომლებმაც თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმი წარმოშვა. ამ ახალმა ყლორტებმა ხელისჩამოურთმევლობის ნაცვლად, პირიქით, ხელისჩამორთმევის საზოგადოება დააარსეს, რომელშიც დიდი ხანია ერთმანეთს ასწრებენ შესვლას.

მაგრამ ვფიქრობთ, ეს სეპარატიზმი ვერ გამოხატავს სრულიად მთელი აფხაზი ხალხის საერთო სულისკვეთებას. აფხაზი ხალხი სულიერად ჯანსაღი ხალხია და არასოდეს გადაუხვევს მამა-პაპის მიერ გაკვალული სწორი გზიდან, რადგან გვჯერა, მან არ შეიძლება დაივიწყოს ბრძნული ხალხური შეგონება — „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“.

## საკავშირო პრესის ფურცლებზე

# სასამართლო და იუსტიცია

**ჩვენს უახლეს ისტორიაში იუსტიციის სამინისტრო უძველეს ოდა და კვლავ იქმნებოდა. რა შეიძლება ითქვას მის ახლანდელ ფუნქციებზე და განსაკუთრებით, სახალხო სასამართლოების იუსტიციის სამინისტროსადმი კუთვნილებაზე?**

**ამის შესახებ „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ვ. ბუბარევს.**

**პირველი** საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში იუსტიციის სახალხო კომისარიატი შეიქმნა საბჭოების II ყრილობის მიერ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღესვე. ის და მისი ორგანოები ადგილებზე მრავალფეროვან ფუნქციებს ახორციელებდნენ, რაც იმ წლებში შემდეგში მდგომარეობდა — საბჭოთა სასამართლოს შექმნა და მისი ხელმძღვანელობა, კანონიერებაზე ზედამხედველობა, შრომა-გასწორების დაწესებულებების მართვა. მოგვიანებით კანონმდებელმა ეს ფუნქციები გამიჯნა. 1922 წელს კანონიერებაზე ზედამხედველობა პროკურატურას დაევალა, ხოლო საპატიმროთა მართვა — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. იუსტიციის სამინისტროს ფუნქციები არაერთხელ შეიცვალა. იყო ისეთი პერიოდიც (1956-1970 წლები), როდესაც იგი გააუქმეს. ამის შემდეგ, სასამართლოთა მმართველობა ზემდგომ სასამართლოებს დაევალათ, რომლებიც, ამის გამო, მნიშვნელოვნად ჩამოსცილდნენ თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას — მართლმსაჯულების განხორციელებას.

---

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სჭირდებოდათ კი მართლმსაჯულების მსახურებს გაეკონტროლებინათ თავიანთ-გების მიერ სამართალწარმოების ვადების დაცვა, აემაღლებინათ სასამართლოს აპარატის როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში და სხვ? ყოველწლიურად სასამართლოები განიხილავენ დაახლოებით 7 მილიონ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, აგრეთვე ადმინისტრაციულ მასალას. და ჩვენ სასამართლო პროცესში არ ვერევით. აკი არა გვაქვს უფლება არა თუ გადავსინჯოთ, არამედ თუნდაც დავაყენოთ რომელიმე განაჩენის გადასინჯვის საკითხი.

სხვა საქმეა სისხლის სამართლის საქმეების დროული განხილვა, კონფლიქტური სიტუაციების გადასაწყვეტად სასამართლოში მოქალაქეთა მიმართვებზე რეაგირება, სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან, შრომით კოლექტივებთან, ფართო საზოგადოებრიობასთან სასამართლოების ურთიერთქმედება, მოსამართლეებს, სასამართლო აღმასრულებლებს, სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს შორის სამუშაოს მოცულობის სწორი განაწილება, კადრების განაწილება და აღზრდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იუსტიციის სამინისტრო 3,8 ათას სანოტარო კანტორას ხელმძღვანელობს, რომელთაც ყოველდღიურად ათეულათასობით მოქალაქე მიმართავს და სადაც ყოველწლიურად 21 მილიონზე მეტი სანოტარო მოქმედება სრულდება.

**— როგორია სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებაში იუსტიციის სამინისტროს როლი?**

— სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება — ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია.

ჩვენმა სამინისტრომ მოამზადა რიგი კანონპროექტებისა, რომელნიც მოწოდებულნი არიან იქცნენ როგორც მთელი საზოგადოების, ისე მისი თითოეული წევრის სამართლებრივი დაცვის გარანტიად. მაგალითად, მოვიყვან ჯერჯერობით არა მთლად სრულყოფილ და კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლილი სსრ კავშირის კანონს „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ". მან მოსამართლეები ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მეტნაკლები უფლებამოსილებით აღჭურვა. უკვე 1988 წელს სასამართლოებმა განიხილეს 2869 საჩივარი თანამდებობის პირთა მოქმედებაზე. მათგან 1093 (38,1 პროცენტი) საფუძვლიანი აღმოჩნდა. არის სხვა მაგალითებიც.

**— ძალაუფლება ქვეყანაში საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებლად უნდა იყოფოდეს. რეალურად კი ამ სამეულში შეტანილია კიდევ, ე. წ. სააპარატო ძალაუფლება — პარტიული კომიტეტებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების. როგორ მოქმედებს ასეთი მდგომარეობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე?**

— თქვენ, ალბათ, ძალიან განცვიფრდებოდით, თუ მე ეგრეთწოდებული „სატელეფონო სამართლის" ან მოსამართლეებზე პირდაპირი დაწოლის ფაქტების უარყოფას მოვყვებოდი.

მაგალითად, რაიონულ სასამართლოზე „დახვეწილი" ზემოქმედება მოახდინეს რაიაღმასკომის თანამშრომლებმა კუიბიშევში. სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევას განიცდიან ალტაის მხარის სახალხო მოსამართლენიც. ასეთი ფაქტები სასამართლოთა მუშაობის, მოსამართლეთა ყოფაცხოვრების არასათანადო პირობებთანაა დაკავშირებული და რამდენადაც როგორც არასაცხოვრებელ, ისე საცხოვრებელ შენობებს ადგილობრივი საბჭოები განკარგავენ, ამიტომ ისინი წინაღმდეგი არ არიან გამოამჟღავნონ თავისი ძალაუფლება, რათა „დააჭირონ" მართლმსაჯულებას კონკრეტულ საქმეთა განიხილვის დროს.

ზოგჯერ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე გავლენას ახდენს სუბიექტური გადაწყვეტილებანი, ამ თანამდებობებზე კანდიდატურათა შერჩევისა და წამოყენებისას. შეიძლება ამის მოთმენა? რასაკვირველია, არა! აი, რატომ შეცვალა მოსამართლეთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადები სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისებმა. „სსრ კავშირის მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონის პროექტით გათვალისწინებულია მოსამართლეთა კვალიფიციური კოლეგიები, რომლებიც სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ კადრების შერჩევასა და დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლეთა გათავისუფლებაში.

**— სსრ კავშირის ძირითადი კანონის 152-ე მუხლი აცხადებს, რომ მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველთა წინაშე. როგორ ეხამება ეს იუსტიციის ორგანოების ადმინისტრაციულ ძალაუფლებას, და აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის მთავრობაც სასამართლოების ზემდგომია?**

— იუსტიციის ორგანოების და მითუმეტეს, სსრ კავშირის მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება სასამართლო ორგანოებთან არ უნდა ავურიოთ ამომრჩეველთა წინაშე მოსამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთა პასუხისმგებლობასთან. მართლმსაჯულების განხორციელებისას მხოლოდ ერთ-ერთ კანონის ძალაუფლება მოქმედებს. თვით დისციპლინარული პასუხისმგებლობაც მოსამართლეებს განსაკუთრებული წესით ეკისრებათ. სამსახურებრივი დაუდევრობისათვის სასჯელი მათ შეიძლება დაედოთ არა თანამდებობის პირის, არამედ მხოლოდ მოსამართლეთა კვალიფიციური კოლეგიის მიერ. ასევეა მოსამართლეთა სამუშაოდან გადაყენების დროსაც.

**— როგორი ფორმით ხორციელდება სასამართლოთა ანგარიშვალდებულება იუსტიციის ორგანოების წინაშე?**

— სასამართლოები ანგარიშვალდებულნი არიან იუსტიციის ორგანოებთან განაჩენთა და გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხებზე. სასამართლო აღმასრულებლები დაინიშნებიან და განთავისუფლდებიან თანამდებობიდან უშუალოდ იუსტიციის ორგანოების მიერ. სასამართლოები ვალდებული არიან მიაწოდონ მათ დადგენილი წესით სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის წყალობითაც ვადგენთ ქვეყანაში მართლწესრიგის მდგომარეობას.

**— შეიძლება კი ორგტექნიკასა და სხვა რამეზე სასამართლოთა მოთხოვნილება ფულად განზომილებაში გამოვხატოთ?**

— მუშაობის ნორმალურ პირობებს მოკლებულია სასამართლოთა მესამედი, ზუსტად — 1605. ახალი შენობების ასაშენებლად საანგარიშსწორებო თანხა დაახლოებით 500 მილიონ მანეთს შეადგენს. ხარჯების უფრო ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რამდენადაც ის მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, ვთქვათ, ტერიტორიის კეთილმოწყობაზე და სხვ. ხოლო სასამართლოები ორგტექნიკური საშუალებებით, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ჩათვლით, რომ აღვჭურვოთ, საჭიროა დაახლოებით 300 მილიონი მანეთი.

**— მონაწილეობენ თუ არა მოსამართლეები „სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ კანონის პროექტის მომზადებაში?**

— „სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ და „სსრ კავშირში სამართალწარმოების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ კანონთა პროექტების მომზადებისას გულდასმით იქნა შესწავლილი სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროში მოსული არა მხოლოდ მოსამართლეთა წინადადებები, არამედ მათიც, ვინც სასამართლოთა აპარატში მუშაობს. ისინი ფართოდ განიხილებოდა კანონპროექტების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც სისტემატურ კონტაქტში იყო სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურის პრაქტიკოს მუშაკებთან.

„არგუმენტი ი ფაქტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დისკუსია თუ ავანტიურა

## ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ

ბიძინა სავანელი
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ქართველ პროფესორთა კრიტიკოსად დისკუსიაზე მოგვევლინა საქართველოსათვის საკმაოდ „თავდადებული" ტალახაძე, რომელმაც თავის მორიგ მსხვერპლად აირჩია პროფ. ირ. სურგულაძე.

ტალახაძის აზრით, მარქსიზმი უარყოფს სამართლის სპეციფიკურ კანონზომიერებას, რადგან სამართლის შინაარსს როგორც ზედნაშენის ნაწილს, მისი შეხედულებით, მთლიანად განსაზღვრავს ბაზისი, ე. ი. ტალახაძის აზრით, სამართალი ექვემდებარება ბაზისის კაუზალურ ზემოქმედებას. პროფ. ირ. სურგულაძეს კი მიაჩნია, რომ სამართალი კაუზალურად (მიზეზშედეგობრივად) არ არის დაკავშირებული ბაზისთან, არამედ სამართალი ყოფიერების იდეალური ფორმაა. მეცნიერთა მდევართათვის სრულიად გაუგებარი დარჩა მარქსისვე დებულება იმის შესახებ, რომ ბაზისი მხოლოდ საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

ტალახაძეს განსაკუთრებით აღიზიანებს სიტყვა „იდეალური", რადგან ეს სიტყვა მისთვის ასოცირდება „იდეალიზმთან". მისთვის უცნობია მოვლენათა კავშირის სხვა ფორმა, გარდა კაუზალურისა, რაც აშკარად ამხელს ტალახაძეს დიალექტიკური მატერიალიზმის ელემენტალური ცნებების უცოდინარობაში. უფრო მეტიც, როდესაც იგი აფასებს პროფ. გ. ნანეიშვილის ნაშრომს და უწოდებს მას ბურჟუაზიული ნორმატივისტული სკოლის წარმომადგენელს, აშკარად ავლენს ამ მიმდინარეობის უცოდინარობასაც. იგი თავის ინტელექტუალურ სიბეცეს ავსებს იმით, რომ პროფ. გ. ნანეიშვილის კონცეფციას უწოდებს რეაქციულს, კონტრრევოლუციურს და შემდეგ დემაგოგიურ განცხადებას აკეთებს: „სამართლის ნორმატივისტული სკოლა, რომლის იდეები თავის წიგნში ჩამოაყალიბა პროფესორმა ნანეიშვილმა, არის მომაკვდავი ბურჟუაზიის ტიპიური ფაშისტური იდეოლოგია. დაღმავალი, ხრწნადი ბურჟუაზია აყენებს ყველა ადამიანის მიერ ბურჟუაზიული სამართლის სამუდამო ლოგიკური აღიარების აუცილებლობის თეორიას — როგორც აბსოლუტურ იდეას. სამართლის ლოგიკური აღიარების უზრუნველსაყოფად ნორმატივისტები ასაბუთებენ ფაშისტური კეტის აუცილებლობას; ბურჟუაზიული ლოგიკა და კეტი — აი კანონის შესრულების ორი შანსი" — ასკვნის ტალახაძე.

და ამას ამბობს კანონგარეშე და კანონზე მაღლა მდგომი, ძალაუფლების დაკარგვის შიშის ჰალუცინაციით შეპყრობილი დესპოტი (ადამიანი — კეტი), რომელმაც „თავი ისახელა" თანამემამულეთა მასიური ხოცვა-ყლეტით.

მაინც, რა არ მოსწონთ ნორმატივიზმში ტალახაძეს და მის მომხრეებს? ერთი და უმთავრესი — სამართლის უზენაესობა როგორც დიქტატორის ძალაუფლების შემზღუდავი ფაქტორი.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1989, № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ა. ვაჩეიშვილის ყველაზე მძიმე „დანაშაულად“ ტალახაძეს აჩნია ის, რომ მან უგულვებელყო „სახელმწიფოსა და სამართლის ისეთი გოლიათები“ როგორიც მარქსი და ენგელსია, მაშინ როდესაც არც ერთი მათგანი თავს ამ დარგის მკვლევარად არ თვლიდა, უფრო მეტი, ფ. ენგელსის აღიარებით მან მარქსთან ერთად ვერ მოასწრო ყურადღება დაეთმო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენისათვის როგორიც სამართალია.

ტალახაძე ანტიმარქსისტულად, ე. ი. არამეცნიერულად მიიჩნევს პროფ. ა. ვაჩეიშვილის შემდეგ მტკიცებას: „საზოგადოება არა უბრალო აგრეგატია ცალკეული ინდივიდებისა, ის — მთლიანობაა, რომლის ნაწილები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. სწორედ ეს ურთიერთობა ქმნის ერთობას ინდივიდებს შორის. თითოეული ინდივიდი წარმოადგენს ფსიქიკური ცხოვრების თავისებურ ცენტრს, მაგრამ არა ინდივიდთა კავშირი ქმნის ახალ ერთეულს, არამედ ერთობა, რომელიც ხასიათდება თავისებური მიზნებითა და მისწრაფებებით... ასეთ წყობას ჩვენ ვხვდებით ყველა საზოგადოებრივ ჯგუფში, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმით. დაწყებული პირველყოფილი ჯგუფებიდან სახელმწიფო ორგანიზაციის ურთულესი საზოგადოებრივი გაერთიანებებით დამთავრებული — ყველგან არსებობს გარკვეული სოციალური წესრიგი, უმარტივესი შინაარსითაც კი“.

რა არის ამ მოსაზრებაში არამეცნიერული? ტალახაძის აზრით ის, რომ თითქოს პროფ. ა. ვაჩეიშვილი ამტკიცებს სახელმწიფოს ზეისტორიულ ხასიათს. შეიძლება მეცნიერის ზემოთაღნიშნული მოსაზრება სადაო იყოს, მაგრამ მაშინაც კი საჭიროა შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტი და არა ფრაზები, იარლიყები, ეპითეტები და სიტყვის ბუქი და კორიანტელი: მტრული, გახრწნილი, აპოლოგეტური, რეაქციული, დამპალი, გადაგვარებული, ფალსიფიცირებული, ძირგამომთხრელი, ცრუ, დაცემული და ასე უსასრულოდ. სწორედ ეს არის ავანტიურიზმი და არავითარ შემთხვევაში დისკუსია. სწორედ ამის გამო იყო იძულებული პროფ. გ. ნანეიშვილი გაეკეთებინა შემდეგი განცხადება: „თუ გსურთ რომ გაგვრეკოთ უნივერსიტეტიდან — კი ბატონო, წავალთ, თუ გსურთ, რომ ვითანამშრომლოთ თქვენთან იმისათვის, რომ დავადგინოთ გარკვეული modus vivendi, მაშინ მოგვეცით საშუალება მოისმინოთ ჩვენი ფრაზები და ჩვენი ფრაზების კრიტიკა, და არა ის ფრაზები, რომლებსაც თქვენ მოგვაწერთ“. საერთოდ, როგორც სტენოგრამიდან ჩანს, მეცნიერთა მიმართ ხშირი იყო უტაქტო და პროვოკაციული გამოხტომები. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი მომენტი. თავის გამოსვლაში პროფ. გ. ნანეიშვილი ასაბუთებს აზრს იმის შესახებ, რომ პოზიტიური სამართლის შემთხვევითი ხასიათი არ გამორიცხავს მის სავალდებულობას მოქმედების მთელ პერიოდში. სამართლის კატეგორიული სავალდებულობა მხოლოდ სულით ავადმყოფმა შეიძლება ვერ აღიქვას. ტალახაძე რეპლიკით აწყვეტინებს სიტყვას პროფესორს: „ესე იგი რევოლუცია სულით ავადმყოფია, რომ უარყოფს სამართალს?!“ ავანტიურისტის ამ უნებურ რეპლიკაშია აკუმულირებული იმდროინდელი და მთელი შემდგომი პერიოდის ოფიციალური პარტიული პოზიცია — ნეგატიური დამოკიდებულება სამართლისადმი, კანონის უზენაესობისადმი. ამ გათამაშებული სპექტაკლის ერთ-ერთმა მონაწილემ თუმანოვმა პირდაპირ განაცხადა: „პროფესორებმა — ნანეიშვილმა, ვაჩეიშვილმა და სურგულაძემ კარგად უნდა შეიგნონ: ჩვენ მოვითხოვთ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში ჩვენმა თანამგზავრებმა უსიტყვოდ მიიღონ ჩვენი მოთხოვნები და მითითებები".

რა მოთხოვნებს აყენებს და რა მითითებებს იძლევა თუმანოვი? მისივე განცხადებით მან არ იცის არც ქართული და არც გერმანული და მაინც თავს უფლებას აძლევს ამხილოს პროფესორების ცრუმეცნიერული, ანტიმარქსისტული მოძღვრება, კამათის დროს მათ მიერ რუსულ ენაზე წარმოთქმული სიტყვებიდან გამომდინარე. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი უაპელაციო თავხედობისა მეცნიერებაში. და მაინც, ვინ გაგვინაწყენა ეს „თავგამოდებული მარქსისტი?" ვინ და პროფ. ირ. სურგულაძემ, რომელიც „ბედავს" და ამტკიცებს, რომ სახელმწიფო არის კლასობრივი ორგანიზაცია, კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია, მაშინ როდესაც ლენინი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის აპარატი ჩაგრული კლასის დასათრგუნავად. ხედავთ, თუმანოვმა რა „დაუძლეველი წინააღმდეგობა" აღმოაჩინა ლენინსა და ირ. სურგულაძეს შორის?!

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის გაბატონდა უკიდურესად იდეოლოგიზირებული და ვულგარიზებული მარქსიზმი მარქსის ამოგლეჯილი ციტატებით, მაგრამ უმარქსოდ, რაც არსებითად წარმოადგენდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გაუბრალოებასა და რევიზიას მის ძირითად მიმართულებებში. თუ რამდენად უკიდეგანო იყო მეცნიერებას მიტმასნილ პროვოკატორთა ოცნებები, ამას ადასტურებს 30-იანი წლების ცნობილი პარტიული დირექტივა, მაგალითად, ბიოლოგიის (!) ბოლშევიკური რეკონსტრუქციის შესახებ.

სიტყვას იღებს ტატულოვი, რომელიც, მისივე აღიარებით არასპეციალისტი, ეხება საკითხის მეთოდოლოგიურ მხარეს. ის პირდაპირ მიმართავს მეცნიერებს კითხვით: „რომელ კლასს ემსახურება თქვენი იურიდიული მეცნიერება?" ასეთი კითხვა მაღალი ტრიბუნიდან დასმული ერთბაშად დააბნევს აკადემიურად მოაზროვნე მეცნიერს, მით უმეტეს, როდესაც ამას მოჰყვება ასეთივე პროვოკაციული ლოზუნგი: „თუ ჩვენ დავადგენთ, რომ თქვენი იურიდიული თეორიის შინაარსი ემსახურება ბურჟუაზიას, მაშინ ჩვენ შეუპოვრად ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ". სტენოგრამის ტექსტში ამ სიტყვებს მოსდევს ფრჩხილებში ჩასმული ორი სიტყვა: მქუხარე ტაში (ადვილი წარმოსადგენია დამსწრე აუდიტორიის ინტელექტუალური დონე). ამას მოსდევს ტატულოვის არანაკლებ თავხედური განცხადება: „დისკუსიამ უნდა გამიჯნოს ჩვენი მომხრეები იმ კლასობრივი მტრებისაგან, რომელთა თეორიები არ შეიძლება უბრალოდ შესწორებული იქნან და ამიტომ, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოვაცხადოთ მხოლოდ დაუნდობელი ბრძოლა". როგორც „დისკუსიის" რეზოლუციის ტექსტის ანალიზით ირკვევა, ყველა ქართველი მეცნიერი ერთმნიშვნელოვნად ცნობილი იქნა კლასობრივ მტრად.

ტატულოვი მიზნად ისახავს ამხილოს პროფ. გ. ნანეიშვილის თეორიის რეაქციული ხასიათი და ამის საილუსტრაციოდ გადმოსცემს პროფესორის შეხედულებას სამართლის აზრისა და მოქმედი სამართლის ურთიერთობის შესახებ. პროფ. გ. ნანეიშვილის აზრით, — ამბობს ტატულოვი, — სამართალშემოქმედება სამართლის იდეას აქცევს პოზიტიური სამართლის ნორმად, ე. ი. მოქმედ იდეად. თუ სამართლის რომელი იდეა იქცევა მოქმედი სამართლის ნორმად, ეს დამოკიდებულია ეკონომიკური და კლასობრივი ურთიერთობების ხასიათისაგან, რადგან საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაში სამართალს აქვს სხვადასხვა ეკონომიკური და კლასობრივი შინაარსი. ამის გამო მოქმედი სამართალი სოციალურად დეტერმინირებულია, ე. ი. მას აქვს შემთხვევითი ხასიათი. სხვა (და არა მოცემული ხასიათის ეკონომიკური და კლასობრივი ურთიერთობების პირობებში) მოქმედ სამართალში განხორციელდებოდა სამართლის სხვა იდეა. ამ აზრით, ნებისმიერი მოქმედი სამართალი შესაძლო სამართალთა ერთ-ერთი ვარიანტია ანუ ფილოსოფიურ ენაზე მას აქვს შემთხვევითი ხასიათი. ამ შეხედულების „რეაქციულობას" ტატულოვი შემდეგნაირად ასაბუთებს: „ჩვენში ოქტომბრის რევოლუციაში პროლეტარიატმა შექმნა სამართლებრივი ცხოვრება, პროლეტარიატის დიქტატურის მართლწესრიგი. თუ კი ვიმსჯელებთ ნანეიშვილისებურად, მაშინ გამოდის, რომ ასეთი მართლწესრიგი შეიძლებოდა ყოფილიყო და შეიძლებოდა არ ყოფილიყო. რა არის ეს, —განაგრძობს ტატულოვი, — თუ არა სურვილი როგორმე დაუძვრეს იმ სამართლებრივ რეალობას, რომელიც შექმნა რევოლუციურმა პროლეტარიატმა თავისი რევოლუციის ძალით? რა არის ეს, თუ არა განზრახვა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჩვენი მართლწესრიგი?".

არასპეციალისტი მეცნიერისათვისაც კი, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, აშკარად ცხადია, რომ ტატულოვის ეს სენტენცია წმინდა წყლის დემაგოგია და ავანტიურაა, იმ დროისათვის დამახასიათებელი ავადმყოფური სწრაფვაა იმისაკენ, რომ ყველა არასასურველ პიროვნებაში ეძებონ კონტრევოლუციონერი, ყველა ჭეშმარიტი მეცნიერი მონათლონ სახელმწიფოს მტრად. საუბედუროდ, დევნის ამ ტენდენციამ ზეაღსვლა განიცადა შემდგომ წლებში და საკმაოდ დახვეწილი ფორმებიც კი მიიღო. ამას თან მოჰყვა მეცნიერებას განზრახ ძალით მიტმასნილი პირების გამრავლება, სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლებლებში ანტიმეცნიერული, რეაქციული ე. წ. „სანდო" ელემენტების ზემოდან ძალით შეყვანა. უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერთა უფროს თაობას კარგად ემახსოვრება ამის სანიმუშო მაგალითი — სეევერიან ყალიჩავა. ასე გაჩნდა ფლიუგერებისა და ეპიგონების მთელი კასტა.

პროფესორების გ. ნანეიშვილის, ა. ვაჩეიშვილის და ირ. სურგულაძის მორიგ კრიტიკოსად მოგვევლინა უნივერსიტეტის ასპირანტი ვინმე ბარიგიანი. ეს ასპირანტი იქამდე გათავხედდა, რომ ჭკუის სწავლება დაუწყო ღვაწლმოსილ მეცნიერებს თუ როგორ უნდა წარმართონ მეცნიერული დისკუსია და ბრალი დასდო მათ არააკადემიურობაში. შემდეგ იგი იწუნებს პროფ. ა. ვაჩეიშვილის სახელმძღვანელოს „სამართლის ზოგადი თეორია" იმ მოტივით, რომ მასში გადმოცემულია სამართლის სხვადასხვა თეორიები, მოხსენებული არიან ელინეკი, შტამლერი, კორკუნოვი და სხვა მეცნიერი იურისტები, და არ არიან დასახელებულნი მარქსი, ენგელსი და ლენინი, მაშინ როდესაც ცნობილია, რომ არც ერთ მათგანს პრეტენზია მეცნიერ-იურისტობაზე არ ჰქონია.

პროფ. ა. ვაჩეიშვილს ბრალი დასდო ბარიგიანმა, რომ პროფესორი ფრანგი მატერიალისტების ჰოლბახისა და ჰელვეციუსის ფილოსოფიურ პლატფორმაზე დგას სხვადასხვა ხალხების სამართლებრივი სისტემების მსგავსების მიზეზების ახსნისას, რაც, მისი აზრით, მცდარი და მეცნიერულად მიუღებელია. ამის საილუსტრაციოდ ბარიგიანს მოჰყავს პროფესორის შემდეგი მოსაზრება: „ისტორიული დაკვირვებები გვარწმუნებენ ჩვენ, რომ სხვადასხვა ხალხების სამართალი ხშირად წარმოადგენს საერთო ნიშნების ერთგვაროვნებას. რითი შეიძლება აიხსნას ასეთი ერთგვაროვნება? თუ კი ჩვენ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღებთ ბუნებრივი სამართლის ჰიპოთეზას, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ არსებობს სამართლებრივი ნორმების ერთიანი კომპლექსი, რომელიც ისტორიული ცვლილებებისაგან დამოუკიდებელია... პოზიტიური მეცნიერება კი იძლევა სხვა ახსნას: ერთგვაროვნების კანონზომიერება გამოიხატება იმაში, რომ ერთგვაროვანი მიზეზები ყოველთვის წარმოშობენ ერთგვაროვან შედეგებს. ადამიანთა საზოგადოებების არსებობისა და განვითარების პირობები, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, წარმოადგენენ დიდ მსგავსებას. კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში განმსაზღვრელია ორი ფაქტორი: ადამიანი და სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელშიც ადამიანი არსებობს და მოქმედებს".

თანამედროვე შედარებითი სამართალმცოდნეობა ადასტურებს პროფ. ა. ვაჩეიშვილის მოსაზრების სისწორეს.

შემდეგ ბარიგიანი ახალ ბრალდებას უყენებს პროფ. ა. ვაჩეიშვილს და „ამტკიცებს", რომ იგი არა მარტო ფრანგი მატერიალისტების მიმდევარია, არამედ ამავე დროს იდეალისტიც არის და საბუთად მოჰყავს პროფესორის შემდეგი მოსაზრება: „როდესაც იკვლევენ სამართლის წარმოშობის საკითხს, ნათელი ხდება, რომ იურიდიული ნორმები გამომუშავდებიან ცნობიერების მიერ. მაგრამ სამართალს ცნობიერება სოციალური პირობებისაგან დამოუკიდებლად კი არა ქმნის. ამ თვალსაზრისით სამართლებრივი ნორმები ჩვეულებების, კანონების და იურიდიული პრაქტიკის გარეგანი ობიექტივირებული გამოხატულებაა". რა შუაშია აქ იდეალიზმი? თუ მაინც და მაინც ბარიგიანს დავუჯერებთ, მაშინ იდეალისტებად უნდა გამოვაცხადოთ საბჭოთა მეცნიერთა მთელი პლეადა, რომლებიც დაწყებული 30-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე ერთმანეთისაგან განასხვავებენ კანონსა და სამართალს. როგორც ირკვევა, ბარიგიანს ელემენტალური წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მატერიალიზმზე და იდეალიზმზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სამართლის ბუნების ცოდნაზე.

შემდეგი ორატორია შარია, ტალახაძეზე არანაკლები „დამსახურების" მქონე პიროვნება. მისი გამოსვლის დიდი ნაწილი ეძღვნება პროფ. გ. ნანეიშვილის მოძღვრების ძირითადი დებულებების გადმოცემას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მდევნელებისაგან განსხვავებით, შარია დაუმახინჯებლად გადმოსცემს ნანეიშვილის მოძღვრების ძირითად აზრს. მაგრამ პროფ. გ. ნანეიშვილის კონცეფციის პირუთვნელი გადმოცემის შემდეგ შარიას პირუთვნელი მეცნიერული შეფასება არ გაუკეთებია. თუ რამდენად შეზღუდული იყო შარიას თვალსაწიერი, ჩანს მისი დასკვნიდან. შარია „გვასწავლის": „სინამდვილესა და აზრს შორის კავშირის გაწყვეტა იდეალიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა. ამისაგან შეუძლია გადაგვარჩინოს მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა. აი სწორედ ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ მარქსიზმი ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობაა. დამიმტკიცეთ, რომ ეს ასე არაა, დამიმტკიცეთ, რომ რომელიმე სხვა თვალსაზრისს შეიძლება ჰქონდეს მეცნიერულობის პრეტენზია... იდეალიზმი არამეცნიერული თვალსაზრისია. მაშ აქამდე რატომ გაძლო იდეალიზმმა? — კითხულობს შარია. ეს იმიტომ, რომ ის იკვებება სოციალური ფესვებით — ბურჟუაზიის იდეოლოგიით. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა ვინც კი იცავს იდეალიზმს, შეგნებულად თუ შეუგნებლად ასახავს რეაქციული კლასის იდეოლოგიას — ბურჟუაზიულ იდეოლოგიას... ნანეიშვილისათვის შესაძლებლობა სინამდვილეზე ფართოა, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც პირიქით, რეალური სინამდვილის აუცილებლობა უფრო ფართოა, ვიდრე შესაძლებლობა. ნანეიშვილს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ შესაძლებელია ყოველგვარი სამართალი, მაგალითად, პროლეტარიატის დიქტატურის დროს — ბურჟუაზიული სამართალი". მოყვანილი ციტატა თვალნათლივ ადასტურებს შარიას ელემენტალურ გაუთვითცნობიერებლობას დიალექტიკურ მატერიალიზმში და პროფ. გ. ნანეიშვილის განცხადების სისწორეს იმის შესახებ, რომ მისი ნაშრომის აზრი გაუგებარი დარჩა მის მოწინააღმდეგეთათვის და რომ მას მიაწერეს სულ სხვა რამ, ვიდრე ის ამტკიცებდა.

თავისი სიტყვის დასასრულს შარია ეთანხმება პროფ. გ. ნანეიშვილის წინადადებას თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ეს პროფესორს ესმოდა. შარიას აზრით, თანამშრომლობა შესაძლებელია აზრთა განსაზღვრული ერთიანობის შემთხვევაში და ასეთი სიტყვებით მიმართავს ყველა პროფესორს: „ჩვენ იმ შემთხვევაში არ დავიწყებთ თქვენს ლანძღვას წარსულისათვის, თუ აწმყოში ჩვენ დაგვიმტკიცებთ, რომ წარსულზე თქვენ უარს აცხადებთ... მაგრამ თქვენს გამოსვლებში არ იგრძნობა, რომ თქვენ ჰკიცხავთ თქვენს თვალსაზრისს. ჩვენ მოვითხოვთ ცოტას: გვითხრათ, რომ თქვენი თვალსაზრისი არა თუ მარქსისტული არ არის, არამედ აბსოლუტურად მიუღებელია. აი რას მოითხოვს დისკუსია". შარიას ამ სიტყვების შემდეგ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. დიახ, ეს დისკუსია კი არა, ტლანქი და ბნელი იდეოლოგიური ძალადობის დემონტრაცია იყო.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბოლოტნიკოვი, რომელმაც „წარმოადგინა" მარქსისტული სოციოლოგიური მსოფლმხედველობა. ბოლოტნიკოვმა თავისი „მეცნიერული" არგუმენტაცია ანეკდოტის თხრობით დაიწყო: ცნობილი ინდოელი მათემატიკოსი ნავით ჰკვეთდა მდინარე განგს. გზად მან მენავეს ჰკითხა — „იცი შენ მათემატიკა?, „არა, არ ვიცი", — უპასუხა მენავემ. „მაშ შენ სიცოცხლის ნახევარი დაგიკარგავს" — შესძახა მეცნიერმა. „გეომეტრია თუ იცი?", „არა, არ ვიცი", „მაშინ, შენ სიცოცხლის სამი მეოთხედი დაგიკარგავს" — სინანულით შენიშნა მეცნიერმა. ამ დროს ატყდა ქარიშხალი და ნავი გადაყირავდა. მენავემ მეცნიერს შესძახა: „ცურვა თუ იცი შენ?" „არა, არ ვიცი". „მაშ, შენ მთელი სიცოცხლე დაკარგე". თუ კი ამ და სხვა ასეთ ე. წ. „დისკუსიების" შემდგომ პერიოდში მოვლენათა მსვლელობას გავადევნებთ თვალს, ცხადი გახდება, რომ ბოლოტნიკოვმა თავისი ანეკდოტით წინასწარ განაჩენი გამოუტანა ქართველ მეცნიერებს. ამასვე ადასტურებს მის მიერ მოყვანილი მეორე ისტორიული ფაქტი: როდესაც ნაპოლეონმა გერმანიის ქალაქი იენა აიღო, ქვემეხების ზათქის გამო ქალაქში მყოფი ჰეგელი ასე მსჯელობდა: „მსოფლიო სული ყოველთვის არ ახდენს ლოგიკით არგუმენტირებას, ის ზოგჯერ თავის თავს ქვემეხებით ასაბუთებს". როგორც ხედავთ, ასკვნის ბოლოტნიკოვი, თვით ჰეგელიც კი, რომელიც მეცნიერს მოუწოდებდა ჩაძირულიყო აზროვნების აბსოლუტურ სტიქიაში, კონკრეტული ფაქტების გავლენით, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ზოგჯერ საქვემეხო კანონადა უფრო ქმედითი არგუმენტია, ვიდრე ლოგიკური კატეგორიების თანმიმდევრული განვითარება. ცხადია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბოლოტნიკოვმა ქართველ მეცნიერებს არაორაზროვნად აუწყა დესპოტური მმართველობის და ინკვიზიციის დასაწყისი. მინიშნება იმდენად ცხადი და უშუალო იყო, რომ ბოლოტნიკოვი იქვე ასეთი სიტყვებით მიმართავს აუდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიას: „ამას მე ვამბობ არა იმისათვის, რომ ტალახაძე და სხვები პოლიტიკურ ტირანებად წარმოვადგინო, რომლებითაც ჩვენ გვინდა დავაშინოთ ჩვენი მოწინააღმდეგენი". მაგრამ ეს დათქმა ვერ შველის საქმეს. ავანტიურა საკმაოდ ნათელი და პირდაპირია. თუმცა სხვა რა დარჩენოდა ბოლოტნიკოვს, რომელმაც თვით აღიარა, რომ პროფესორთა ნაშრომები მას არ წაუკითხავს ქართული ენის არცოდნის გამო და დაკმაყოფილდა ქართველ მეცნიერთა კონცეფციების ზოგადი ცოდნით, რომელიც მან მიიღო მისი მეგობრის — გეგენავას დახმარებით. და საერთოდ, მას მიაჩნია, რომ სრულიადაც არ არის საჭირო მოახდინო ქართველ მეცნიერთა ნაშრომების შეტუდირება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას, როგორიც არის ჰუსერლის ნაშრომები.

ადამიანის სიცოცხლის სიმოკლის გამო ბოლოტნიკოვი თურმე იძულებულია ასე დააყენოს საკითხი: რა სჯობს — ჰუსერლი თუ უკანასკნელი დროის რომელიმე ფიზიკური ან ქიმიური თეორია? ამაზე „სოციოლოგი" ბოლოტნიკოვი ასე პასუხობს: „მე მიმაჩნია: იმის მაგივრად რომ შეტუდირება მოვახდინოთ ჰუსერლის კაბალისტიკის — Logishe untersuchungen, რომელსაც აბსოლუტურად არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს, სჯობია ხელი მოვკიდოთ კონკრეტულ ბუნებისმეტყველებას ან შევითვისოთ მეცნიერების სხვა კონკრეტული ფაქტები". ამ სიტყვების შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია რა ბნელ გარემოცვაში უხდებოდათ ქართველ მეცნიერთ მოღვაწეობა.

მაინც ვნახოთ რა შედეგი გამოიღო გეგენავას შეპირებულმა „მეგობრულმა" დახმარებამ? როგორც ტექსტის ანალიზიდან ჩანს, არავითარი. ბოლოტნიკოვმა თავისი მგზნებარე სიტყვის უდიდესი ნაწილი იმის მტკიცებას მოანდომა, რომ სოციალურის დაყვანა ბიოლოგიურ და ფიზიკურ-ქიმიურ კანონზომიერებამდე დაუშვებელია. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ბოლოტნიკოვი ცდილობდა ბნელ ოთახში შავი კატის დაჭერას, წინასწარ იცოდა რა, რომ კატა იქ არ იმყოფებოდა... მეორე: ის რასაც ქართველი მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში და გამოსვლებში მთელი მონდომებით ამტკიცებდნენ, გაუგებარი დარჩა „სოციოლოგი" ბოლოტნიკოვისათვის. ამის გამო, ფაქტობრივად ბოლოტნიკოვი მისდაუნებურად ე. წ. „მტრების" ბანაკში აღმოჩნდა, და ამის გამო არ არის გამორიცხული — მასაც ის ბედი ეწია, რაც ზოგიერთ „თავდადებულ სტალინელს" 30-იან წლებში.

გამომდინარე ყველა ზემოაღნიშნულიდან, სასაცილოდ ჟღერს ა. გეგენავას დასკვნით სიტყვაში ნათქვამი: „დისკუსიის ბოლოში ყველასათვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენ დავამარცხეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიით". ამ აპოლოგეტური მტკიცების უსუსურობას ამხელს ის უდაო ფაქტიც, რომ ამ დროისათვის სამართლის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია საერთოდ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, პროფ. ა. ვაჩეიშვილის ხატოვანი სიტყვებით რომ ვთქვათ, — ეს კონცეფცია ჯერ დაუღვინებელი იყო. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ თვით ა. გეგენავას აზრი სამართლის ფილოსოფიის საგნის შესახებ, რომელიც გამოხატავს სამართლის შესახებ იმ დროს გაბატონებულ შეხედულებას: „სამართლის ფილოსოფია შეისწავლის არა სამართლის აზრს, არამედ ასაბუთებს სამართლის მუდმივობას როგორც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამოხატულებას. ყველა ის ფორმალურ-ლოგიკური ოინბაზობა, რომლითაც დაკავებულია დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის ფილოსოფია, გამიზნულია იქითკენ, რომ სამართალი გადაარჩინოს მზარდი რევოლუციისაგან".

გავიხსენოთ, რომ იმ დროს სამართალი გამოცხადებული იყო ბურჟუაზიულ ინსტიტუტად და ამის გამო ფართოდ იყო გავრცელებული აზრი „სამართლის კვდომის" შესახებ. ის, რომ სამართალი ნამდვილად მოკვდა 30-იან წლებში ამაში დღეს ცხადად ვრწმუნდებით.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. გეგენავა ქართველი პროფესორების თეორიას უწოდებს ბურჟუაზიის რეაქციულ იდეოლოგიას, რომელიც ამრავლებს კაპიტალისტური ელემენტების ძალას, წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივი მტრის ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. ბოლოტნიკოვი კი სხდომის დახურვის წინ ასეთი სიტყვებით მიმართავს პროფ. გ. ნანეიშვილს: „ამხანაგ ნანეიშვილს კი ვურჩევთ, რომ თავი დაანებოს სქოლასტიკას, როგორც ყოვლად უიმედოს და გაიხსენოს კოპერნიკი".

ამით მთავრდება სხდომა.

სტენოგრამას ბოლოში დართული აქვს რეზოლუცია ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მარქსისტ-სახელმწიფომცოდნეთა საზოგადოების სახელით. აღნიშნულ რეზოლუციაში კონცენტრირებულია ყველა დემაგოგიური ფრაზა და ლოზუნგი, რაც კი ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ გაისმა. ამას მოსდევს ბრძანება უნივერსიტეტში ქართველ მეცნიერთა პედაგოგიური მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ.

---

## სასამართლო ექსპერტიზა: სიახლენი და პრაქტიკა

# სარკინიგზო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა

**გერმანე ქოჩიავა,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური განყოფილების რკინიგზის ტრანსპორტზე ტექნიკური კვლევის უფროსი ექსპერტი**

**რკინიგზის** ტრანსპორტი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მგზავრთა და ტვირთთა დროული, უსაფრთხო და უდანაკარგო გადაზიდვები. ეს კი თავისთავადაა დაკავშირებული სამატარებლო და სამანევრო მოძრაობების რაოდენობის, მათი წონის, სიგრძისა და სიჩქარეების ზრდასთან, რაც ცხადია, ითხოვს მოძრაობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებას, მისადმი სისტემატურ ყურადღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ რომ იქნას დადგენილი რკინიგზის ტრანსპორტზე მომხდარი შემთხვევების ტექნიკური მიზეზები, გაირკვეს თუ რომელი ნორმატიული აქტის ან საუწყებო რეგლამენტის დარღვევამ გამოიწვია (ან ხელი შეუწყო) მარცხი, ავარია ან უბედური შემთხვევა აუცილებელია შევისწავლოთ რკინიგზის ტრანსპორტზე გამოყენებული რთული ტექნიკური ნაგებობების, მოწყობილობების, აპარატების და ხელსაწყოების (ლოკომოტივების, ვაგონების, ლიანდაგების საისრო გადამყვანების, გადასასვლელების, ავტომუხრუჭების, სიგნალების, ბლოკირების, ცენტრალიზაციის, ელექტროფიკაციის და სხვა) მოქმედება. აქვე საჭიროა შესწავლილ იქნეს რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედი ნორმატიული აქტები კერძოდ კი ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია, სიგნალიზაციის, მუხრუჭების ექსპლუატაციის, ლიანდაგის მოვლა-შენახვის, მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურების და სხვა ინსტრუქციები, ტექნიკური განმკარგულებელი აქტები, ტექნოლოგიური პროცესები და სხვა. ცხადია, ეს პროცესი მოითხოვს სათანადო ინჟინრულ მომზადებასა და სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას და აუცილებელი ხდება სარკინიგზო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ მხოლოდ სამსახურებრივი მოკვლევის მასალებზე გაკეთებული დასკვნები რკინიგზაზე მომხდარი შემთხვევების ფაქტებზე ხშირად არ არის სრულყოფილი და ხარისხიანი. ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ ერთი ტექნიკური დასკვნის გამცემი სპეციალისტები უმრავლეს შემთხვევაში სამსახურებრივ თუ პირადულ ურთიერთობებში არიან შემთხვევის ჩამდენ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, ან მონაწილეობენ სამსახურებრივ მოკვლევაში და მეორეც იმიტომ, რომ სამსახურებრივი გამოკვლევის დასკვნები ხშირად ცალმხრივი და ტენდენციურია, რადგან ყოველი ცალკეული საუწყებო სამსახური (სალოკომოტივო დეპო იქნება ეს თუ სავაგონო დეპო, სალიანდაგო დისტანცია თუ კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის დისტანცია, ენერგომომარაგებისა და ელექტროფიკაციის უბანი თუ რკინიგზის სადგური, გზის სამმართველო თუ გზის განყოფილება) დაინტერესებული არიან ყოველგვარი საშუალებით აიცდინონ პასუხისმგებლობა მომხდგარი წუნის, მარცხის, ავარიის გამო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ საგამოძიებო ორგანოების ასეთი ტექნიკური საკითხები გადაეწყვიტათ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში სარკინიგზო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებით. მართლაც, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 აპრილის განკარგულებით, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიაში ჩამოყალიბდა რკინიგზის ტრანსპორტზე საინჟინრო-ტექნიკური კვლევის განყოფილება, რომელიც მიმდინარე წლიდან გაერთიანდა ამავე ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკურ განყოფილებასთან.

მრავალდარგოვანი რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობა მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული. მომხდარი მარცხის, ავარიის და სხვა შემთხვევების დროს ხშირად ხდება საჭირო ერთდროულად იყოს გამორკვეული ლოკომოტივების, ვაგონების, ლიანდაგების, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირების, საკონტაქტო ქსელის და სხვა სათანადო აპარატებისა თუ ხელსაწყოების ტექნიკური მდგომარეობა, შეფასდეს შემთხვევასთან დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული მუშაკების მოქმედება და ა. შ. ეს საკმაოდ რთული პროცესია და მოითხოვს გამოკვლევაში სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტების მონაწილეობას ე. ი. კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებას. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე საინჟინრო-ტექნიკურ კვლევაზე მუშაობენ რკინიგზის ტრანსპორტის სხვადასხვა სპეციალისტები, შტატგარეშე ექსპერტები, თითქმის ყველა დარგის კვალიფიციური ინჟინრები, მათ შორის ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტები. სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის რკინიგზის ტრანსპორტზე ინჟინრული ტექნიკური კვლევის შედეგად დასკვნას იძლევა ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოების ისეთ კითხვებზე როგორიცაა: მომხდარი მარცხის, ავარიის ან უბედური შემთხვევის გამომწვევი ტექნიკური მიზეზები; რა პირობებმა და ვისმა ქმედობამ თუ უმოქმედობამ განაპირობა ამ ტექნიკური მიზეზების წარმოქმნა, რომელი ნორმატიული აქტი ან საუწყებო რეგლამენტი დაირღვა და ვინ დაარღვია იგი; კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დარღვევა; შესაძლებელი იყო თუ არა მარცხის, ავარიის, უბედური შემთხვევის თავიდან აცილება და ვისი და როგორი მოქმედებით შეიძლებოდა იგი. ცხადია, მაცხისა და ავარიის მრავალ სახეობათა გამო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რკინიგზის სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად სვამენ სხვა უფრო კონკრეტულ საკითხებსაც.

ამიერკავკასიის რკინიგზის ლიხი — წიფას გადასარბენზე, რომელსაც დიდი თავდაცმართიანი ქანობი აქვს, მემანქანეს გაექცა 45 ვაგონისაგან შემდგარი 3200 ტონაზე მეტი წონის სატვირთო მატარებელი, რომელმაც დიდი სიჩქარე განავითარა, შევარდა სადგურ წიფის დამჭერ ჩიხში და მარცხი განიცადა. შემთხვევამ გამოიწვია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და უბანზე მატარებელთა მოძრაობა ხანგრძლივად შეფერხდა.

ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტი იყო შემდეგი კითხვები:

1. რა არის მატარებლის მარცხის ტექნიკური მიზეზი;

2. რა არის სადგურ წიფის დამჭერ ჩიხში მატარებლის ჩავარდნის მიზეზი;

3. როგორია მატარებლის ავტომუხრუჭებით უზრუნველყოფის გასინჯვის წესი მისი ტექნიკური მომსახურეობის ჩატარების დროს, სალოკომოტივო ბრიგადის შეცვლისა და მატარებლის თავში მომწოლი ლოკომოტივის ჩაბმის შემთხვევაში;

4. ამ შემთხვევაში, მატრებლის ტექნიკური მომსახურეობის ჩატარების დროს, ბრიგადის შეცვლისას და მატარებლის თავში მომწოლი ელმავლის ჩაბმისას ჰქონდა თუ არა ადგილი ავტომუხრუჭებით უზრუნველყოფის გასინჯვის წესების დარღვევას, რომელი წესების, ინსტრუქციის მოთხოვნები დაირღვა, რაში გამოიხატა ეს დარღვევა და ვინ დაარღვია იგი.

5. ავტომუხრუჭების ექსპლუატაციის რომელი ინსტრუქცია დაარღვია ელმავლის სალოკომოტივო ბრიგადამ მატარებლის სადგურ ხაშურიდან გამგზავრებისას ხაშური-ლიხი-წიფას გადასარბენებზე, რაში გამოიხატება ეს დარღვევა;

6. წესების დაცვით იყო თუ არა ფორმირებული მატარებელი სანატურო ფურცლის მიხედვით, სადაც აღნიშნულია, რომ შემადგენლობაში წინიდან (თავიდან) მე-7 ვაგონი იყო ცარიელი ან 60 ტონაზე ნაკლები. თუ ასეა, მაშ, რომელი ინსტრუქციითაა იგი გათვალისწინებული და შეუშალა თუ არა ამან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელს ხელი, რომ ნორმალურად შესულიყო სადგურ წიფის დამჭერ ჩიხში.

7. სამსახურებრივი მოკვლევის მიხედვით მატარებლის მე-7 და მე-10 ვაგონებს შორის ადგილი ჰქონდა სამუხრუჭე მაგისტრალის გადაკეტვას, რის გამოც ფაქტიურად მოქმედებდა მხოლოდ ორი ლოკომოტივისა და თავში მყოფი მე-6 და მე-9 ვაგონების ავტომუხრუჭები. ამავე მასალებით ირკვევა, რომ მატარებელს ხაშურში ჩაუტარდა ავტომუხრუჭების შემოკლებული გასინჯვა კუდურა (ბოლო) ვაგონის მუხრუჭების მოქმედების მიხედვით. როგორ ან რით შეიძლება აიხსნას ეს შეუსაბამობა? თუ სამუხრუჭე მაგისტრალი გადაკეტილი იყო მე-7 და მე-10 ვაგონებს შორის, მაშინ შეიძლება თუ არა ჩატარებულიყო მატარებლის ბოლო კუდურა ვაგონთან ავტომუხრუჭების მოქმედების შემოკლებული გასინჯვა ან მატარებლის სადგურ ლიხამდე და შემთხვევის ადგილამდე მიყვანა;

8. სწორად იყო თუ არა შედგენილი ფორმა ვუ-45 ავტომუხრუჭების მდგომარეობის შესახებ;

9. შეეძლო თუ არა მემანქანეს რომ საფეხურეობრივი დამუხრუჭებით გამოეწვია სამუხრუჭე ძალების დაშრეტა;

10. სამსახურებრივი მოკვლევის მასალებით ლოკომოტივის სიჩქარემზომი ხელსაწყო არასწორად აღნიშნავდა ლენტაზე სამუხრუჭე მაგისტრალზე ჰაერის წნევისა და მოძრაობის სიჩქარის სიდიდეებს. რას ნიშნავს ეს და შეეძლო თუ არა სცოდნოდა იგი მემანქანეს;

11. შეესაბამებოდა თუ არა სადგურ წიფის დამჭერი ჩიხის ლიანდაგი დაწესებულ ნორმებს. რატომ ვერ უზრუნველყო მან მატარებლის შეკავება;

12. რა დანიშნულება აქვს კონტრრელსებს და თუ ისინი დაყენებული იქნებოდა სადგურ წიფის დამჭერ ჩიხში მოხდებოდა თუ არა მატარებლის მარცხი.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამსახურებრივი გამოკვლევის მასალები და არსებული ტექნიკური დასკვნები არა თუ საკმარისი არ იყო დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, არამედ მთელ რიგ შეუსაბამობებსაც ჰქონდა ადგილი. ცხადია, ასეთ პირობებში, როდესაც საკითხების გადაწყვეტა მოითხოვდა სპეციალურ ტექნიკურ, რკინიგზის სატრანსპორტო ინჟინრულ ცოდნას, ძიება იძულებული იყო მიემართა სასამართლო ექსპერტიზისათვის.

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვების სირთულემ და მრავალფეროვნებამ მოითხოვა კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობდნენ კვალიფიციური და გამოცდილი ინჟინერ-ექსპერტები. გამორკვეულ იქნა უამრავი ობიექტი: ელმავლები, ვაგონები, სამუხრუჭე მოწყობილობები, სიჩქარმზომების ლენტები, რკინიგზის ლიანდაგები, მატარებლის ტექნიკური მომსახურეობის ჩატარებული ტექნოლოგიური პროცესი, მუხრუჭების გასინჯვის ჩატარებული პროცესი სადგურში სალოკომოტივო ბრიგადის შეცვლის, მიმწოლი ელმავლის მატარებლის თავში ჩადგომისა და გადასარბენზე მსვლელობის დროს, მატარებლის სანატურო ფურცელი, ფორმა დუ-1, ფორმა ვუ-45 მუხრუჭების შესახებ, შემთხვევის ადგილი, შემთხვევასთან დაკავშირებული პირების მოქმედების მარეგლამენტირებელი დოკუმენტები და სხვა მასალები, რომლებიც გამოძიებამ წარმოადგინა. ჩატარებული კვლევის შედეგად ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მატარებლის მარცხი გამოიწვია სამუხრუჭე ძალების უკმარისობამ. ყველა კითხვას გაეცა კატეგორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პასუხი.

ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოებიდან მიღებული პასუხები გვიჩვენებს, რომ რკინიგზის სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებმა დიდად შეუწყო ხელი ძიების ხარისხიანად ჩატარებას, ჭეშმარიტების დადგენასა და დამნაშავეთა გამოვლინებას. რესპუბლიკის ცენტრალური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში რკინიგზის სატრანსპორტო ტექნიკური კვლევის ჩატარებამ შესაძლებლობა მისცა მომკვლევ ორგანოებს რკინიგზებზე მომხდარი შემთხვევების ფაქტებზე წინასწარი გამოძიების ჩატარების პროცესში ექსპერტებისაგან მიიღონ საჭირო კვალიფიციური კონსულტაციები მათთვის საინტერესო ტექნიკურ საკითხებზე სასამართლო ტექნიკური ექსპერტიზების დანიშვნის მომზადებისათვის. ამასთან, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაკებს ხშირად უტარდებათ კონსულტაციები ამ თემებზე, ეგზავნებათ შეტყობინებები რესპუბლიკაში მომხდარი მარცხის, ავარიის თუ სხვა შემთხვევების ხელისშემწყობ პირობებზე. ჩვენის აზრით, ეს ღონისძიებები პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა და იგი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ სარკინიგზო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩვენს ლაბორატორიას ხშირად მიმართავენ სხვა რესპუბლიკის სატრანსპორტო პროკურატურისა და მილიციის ოგანოები. მხოლოდ ბოლო ორი წლის მანძილზე აზერბაიჯანის, სომხეთის, ვორონეჟის, ლიხოვსკაიას, კავკასკაიას, ტუაპსეს და გროზნის სატრანსპორტო პროკურატურებიდან შემოვიდა 30 საქმე, ხოლო სევანის, ერევნის, მასისის, ლენინაკანის და კიროვაკანის შინაგან საქმეთა განყოფილებებიდან — 17.

# ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციის საკითხისათვის

**ბენო კოზმანაშვილი,**

**ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურასთან კოოპერაციულ საწყისებზე არსებული კრიმინალისტური კვლევის ბიუროს ავტოექსპერტი**

უკანასკნელ წლებში სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებამ საგრძნობლად გაზარდა სასამართლო ექსპერტიზის, კერძოდ, ავტოტექნიკური ექსპერტიზის როლი.

გამომძიებელი ან სასამართლო ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე ნიშნავს ავტოტექნიკურ ექსპერტიზას, რადგან მძღოლთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა უმეტესად სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. ამასთან, ხშირად გამომძიებელი სასამართლო ექსპერტს სთხოვს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რაც არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. ამის გამო დავალება შეუსრულებელი რჩება და საქმე უკან უბრუნდებათ.

ამ წერილის მიზანია გაარკვიოს გამომძიებელი (სასამართლო) ბმაში, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დროს უნდა გამოიყენოს ავტოტექნიკური ექსპერტის ცოდნა, როდესაც გადასაწყვეტია საკითხი დაარღვია თუ არა მძღოლმა გზებზე მოძრაობის წესები.

დავიწყოთ ყველაზე სადავო და მთავარი საკითხიდან, შედის თუ არა სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტის კომპეტენციაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლების მიერ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტის დადგენა.

ლიტერატურაში გამოთქმულია ორი დიამეტრიულად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ა. ს. რაბინოვიჩი, კ. ე. ელინი, ვ. ნ. იანინი) თვლის, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა, ხოლო მეორე ჯგუფი (ი. ვ. ვინოგრადოვი, ვ. თ. კოჩაროვი, ნ. ა. სელივანოვი) თვლის, რომ აღნიშნული საკითხი (თუ კი ეს საჭიროა გამოძიების ან სასამართლოსათვის) უნდა გადაწყვიტოს სპეციალისტმა, ავტოექსპერტმა.

სასამართლო ექსპერტიზის ტიპიურ ინსტრუქციაში, რომელიც 1974 წლის 18 ნოემბერს დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მიერ და შეთანხმებულია სსრ კავშირის პროკურატურასთან, უმაღლეს სასასამართლოსთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ავტოტექნიკური ექსპერტის კომპეტენციის საკითხი განმარტებულია შემდეგნაირად:

ავტოტექნიკური ექსპერტი იკვლევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლთა მოქმედებას, რათა დაადგინოს თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი საგზაო შემთხვევის ვითარებაში, დაიცვეს თუ არა უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნები, ტექნიკური ან ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები (მე-10 პუნქტი).

ავტოტექნიკური ექსპერტი უფლებამოსილი არ არის უპასუხოს კითხვებზე: მძღოლებს აქვთ თუ არა დარღვეული გზებზე მოძრაობის წესები და შეესაბამებოდა თუ არა მათი მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნას (მე-13 პუნქტი).

ამ პუნქტების ანალიზით შეგვიძლია უფრო დაწვრილებით ვიმსჯელოთ ექსპერტის სპეციალური ცოდნის საჭიროებაზე გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის დროს.

ავტორები, რომლებიც უარყოფენ, რომ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევები უნდა გადაწყვიტოს ავტოტექნიკურმა ექსპერტმა, იმას ემყარებიან, რომ გზებზე მოძრაობის წესები მტკიცდება და მოქმედებს ზემდგომი ორგანოების განკარგულებითა და ბრძანებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წესები კანონქვემდებარე აქტია და გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ ამ აქტის არცოდნა არ შეიძლება გახდეს ექსპერტიზის დანიშვნის საბაბი. ი. ფ. კრილოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კანონის ცოდნა, თუნდაც მათი გამოყენება ტექნიკაში, არ შეიძლება მივაკუთვნოთ იმ საკითხებს, რომლებზეც შესაძლებელია გამომძიებელმა ან სასამართლომ მიმართოს ექსპერტს"[1].

მაგრამ ვახასიათებთ რა გზებზე მოძრაობის წესებს, როგორც ერთიან დაკანონებულ აქტს, არ არის საფუძველი, რათა ისინი გავათანაბროთ სამართლებრივ ფორმებთან. გზებზე მოძრაობის წესები, ტექნიკური ექსპლოატაციის წესები და სხვ. ტექნიკური ნორმებია, რომლებიც აწესებენ ადა-

[1] И. Ф. Крылов, «Судебно-техническая экспертиза по делам о нарушении правил техники безопасности», «Правоведение», 1960, № 3, с. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიანის დამოკიდებულებას ტექნიკასთან და ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას ამ ტექნიკის გამოყენების პროცესში.

უეჭველია, რომ ტექნიკასთან სწორი ან უსწორო დამოკიდებულების ფაქტის დასადგენად აუცილებელია ასე თუ ისე ვეუფლებოდეთ ამ წესებს, ვიცოდეთ ტექნიკური თავისებურებანი.

ამგვარად, როდესაც გამოძიება ან სასამართლო მიმართავს ავტოტექნიკურ ექსპერტიზას იმ საკითხის გადასაწყვეტად, შეესაბამებოდა თუ არა მძღოლის მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნებს, იგი გამომდინარეობს ტექნიკური ნორმების ცოდნის აუცილებლობიდან.

გზებზე მოძრაობის წესები, როგორც ჩანს, ორმაგ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, განსაზღვრავს ტექნიკურ ნორმას: ტრანსპორტის სწორი მართვა, მისი ექსპლოატაცია, მეორე მხრივ, შეიცავს სამართლებრივ ნორმას. განსაზღვრავს თუ კონკრეტულ პირს (მაგალითად, მძღოლს) სავალ გზაზე ამა თუ იმ ვითარებაში როგორი მოქმედება უნდა შეესრულებინა.

პირველ შემთხვევაში გზებზე მოძრაობის წესების დარღვევისას იგულისხმება მისი ტექნიკური მხარე, მოძრაობის წესების ამა თუ იმ მუხლის დარღვევა. მეორე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის სამართლებრივ ასპექტთან. აქ მარტო მოქმედების ანალიზი კი არ იგულისხმება, არამედ სამართლებრივი შეფასებაც: მართლსაწინააღმდეგო ქმედობა და ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილის ბრალეულობის დადგენა.

აქედან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტა დაარღვია თუ არა გზებზე მოძრაობის წესები შემთხვევაში მონაწილე რომელიმე მხარემ, სამართლებრივი გაგებით, საგრძნობლად დიდი მოცულობისაა, ვიდრე იმავე საკითხის ტექნიკური მხარის გადაწყვეტა.

მართალია, ავტომობილის მართვის დროს მძღოლი მოქმედებს როგორც ოპერატორი, მაგრამ როგორც ადამიანი იგი სოციალური არსებაა, ამიტომ მის მოქმედებაში გამოიყოფა მეორე ასპექტი — სოციალური, რომელიც მოიცავს მის მოქმედებას საზოგადოების მიმართ — კარგი, ცუდი, კანონიერი, კანონსაწინააღმდეგო. მაგალითად, ავტომობილი მოძრაობს ქალაქის ქუჩებში და მძღოლი სწორად ირჩევს მოძრაობის სიჩქარეს, გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნათა შესაბამისად კვეთს ყველა მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ გზაჯვარედინებს და სხვ. ერთი სიტყვით, მძღოლი მოქმედებს როგორც ოპერატორი. მაგრამ იმავე მძღოლს თუ შინ დარჩა ავტომობილის მართვის მოწმობა, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მისი მოქმედება უსწორობა, რადგან მას, გზებზე მოძრაობის წესების თანახმად, უფლება არა აქვს მართვის მოწმობის გარეშე მართოს ავტომობილი.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მოქმედებას უნდა აანალიზებდეს და აფასებდეს ტექნიკური ოპერაციების ჩატარების მხრივ, ვინაიდან მხოლოდ ამის გამოკვლევისათვის არის საჭირო ტექნიკური ცოდნა.

გამომძიებელი (სასამართლო), რომელიც იხილავს გზებზე მოძრაობის წესების დარღვევას, როგორც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას აფასებს მძღოლის მოქმედებას, რამდენადაც მოქმედების სამართლებრივი ანალიზი მოითხოვს მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ შინაარსში გარკვევას, ავტოექსპერტის მიერ გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნათა მიხედვით მძღოლის მოქმედების ანალიზი ამ შემთხვევაში თუმცა აუცილებელია, მაგრამ მაინც დამ-

ხმარე ხასიათისაა. აღნიშნულ ვითარებათა გამო ავტოტექნიკური ექსპერტიზის პრაქტიკაში ახლა შემოღებულია ტერმინები „შეესაბამებოდა“ ან „არ შეესაბამებოდა“, „დაარღვია“ ან „არ დაარღვია“-ს ნაცვლად. ამასთან, გადამწყვეტია არა ტერმინოლოგიური განსხვავება, არამედ არსებითია მათი განსხვავება მძღოლის მოქმედების ანალიზის მოცულობის მიხედვით.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის დროს, იმ საკითხის გადასაჭრელად შეესაბამებოდა თუ არა ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეთა მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნებს, ანაწილებენ გამოსაკვლევ ობიექტს. ავტოსაგზაო შემთხვევის შემადგენელი ელემენტების (მხარეების) მოქმედება, შემთხვევაში მონაწილე პირის მოქმედება ტექნიკური თვალსაზრისით (ტექნიკური მოქმედება, ტექნიკური ოპერაცია) და სამართლებრივი მოქმედება.

აქედან გამომდინარე, ყოველთვის აუცილებელი არ არის გამოძიებამ, სასამართლომ მიმართოს ზემოთ აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ავტოტექნიკურ ექსპერტიზას.

შევეხოთ გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დასმული საკითხებიდან ყველაზე გავრცელებულ ფორმას — დაარღვია თუ არა ფეხით მოსიარულემ გზებზე მოძრაობის წესი. ექსპერტი ყოველთვის უთითებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში და იგი უნდა გადაწყვიტოს გამოძიებამ და სასამართლომ. იგულისხმება, რომ ყველა მოქალაქე თვითონ არის ფეხით მოსიარულე და ზედმიწევნით უნდა იცოდეს გზებზე მოძრაობის წესებით გათვალისწინებული (წესების მე-5 თავი) მოთხოვნები, რაც ფეხით მოსიარულეს ეხება.

გზებზე მოძრაობის წესები განსაზღვრავს გზებზე მოძრავ ამა თუ იმ მონაწილის სავალდებულო მოქმედებას სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის დროს და ითვალისწინებს იმ აუცილებელ მოქმედებათა შესრულებას (ან არ შესრულებას), რომელიც შეიძლება მოითხოვდეს სპეციალური ტექნიკური ხასიათის გარკვეულ ცოდნას. მაგალითად, გზებზე მოძრაობის წესების „11.1“. პუნქტის მიხედვით მძღოლს ევალება სატრანსპორტო საშუალება ისეთი სიჩქარით წაიყვანოს, რომელიც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, გაითვალისწინოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ინტენსიურობა, ტვირთის თავისებურებანი და მდგომარეობა, საგზო და მეტეოროლოგიური პირობები, კერძოდ, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით.

მოძრაობისათვის დაბრკოლების ან საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში (რომლის შემჩნევაც მძღოლს შეუძლია), მან უნდა მიიღოს ზომები სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრული გაჩერების ჩათვლით ან მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის წინაღობის უსაფრთხო შემოვლის უზრუნველსაყოფად.

იმის გასარკვევად, შეასრულა თუ არა მძღოლმა ეს მოთხოვნა, საჭიროა ტექნიკურად შეფასდეს გზის მდგომარეობა, რა მოქმედება უნდა შეესრულებინა მძღოლს და მოთხოვნა დაუპირისპირდეს შესრულებულს.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ყოველთვის დიდად არის დამოკიდებული მძღოლის მიერ მართვის მოქმედებათა სწორ შერჩევაზე, რაზეც დამოკიდებულია მოძრაობის ხასიათი: სიჩქარის მომატება ან შემცირება, მანევრირება, შეჩერება. გამომდინარე აქედან, მძღოლის მოქმედების შეფასება

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხილება როგორც ტექნიკური მხარე და მისთვის სპეციალური ცოდნა საჭირო.

გზებზე მოძრაობის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაძლებელია იყოს არა სპეციალური (ტექნიკური), არამედ საერთო ხასიათისა. მაგალითად: გზებზე მოძრაობის წესებით მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის დროს, ან საჭის იმ პირებისათვის გადაცემა, რომელთაც არ გააჩნიათ სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა და სხვ. ამასვე მიეკუთვნება ქვეითადმოსიარულეთა მოქმედება როგორც გზებზე მოძრაობის მონაწილისა. ამ შემთხვევაში ავტოექსპერტის პასუხი და გამომძიებლის (სასამართლოს) პასუხი, რა თქმა უნდა, ერთი იქნება და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნას აზრი არა აქვს. იგი გამოიწვევს მხოლოდ საგამოძიებო ვადის გაჭიანურებას.

ამგვარად, ავტოტექნიკური ექსპერტიზა არ უნდა წყვეტდეს იმ საკითხებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მძღოლის მოქმედების შეფასებას გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნათა მიხედვით, თუ არ საჭიროებენ სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას და მომზადებას. მოძრაობის წესების დარღვევის დადგენა ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს გამოძიების ან სასამართლოს მიერ, ექსპერტის დაუხმარებლად.

ავტოტექნიკური ექსპერტის კომპეტენციის სწორი გაგება და განსაზღვრა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს დიდ დახმარებას გაუწევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე პირთა ბრალეულობის დროულად და სწორად დადგენაში.

---

# კვალის ასაღები ახალი საშუალება

**გია ბახტაძე,**
ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი გამომძიებელი,

**იური გალცევი,**
ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სასამართლო მედიცინის კათედრის უფროსი მასწავლებელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,

**ვარლენ სიმონიშვილი,**
საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი

**კვალი,** როგორც მტკიცებულებების ერთ-ერთი წყარო საკმაოდ გავრცელებულია და მიუხედავად იმისა, რომ არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის, პროკურორისათვის, გამომძიებლისა და მომკვლევი პირისათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს, გამომძიებლის მიერ მისი აღმოჩენა, ყოველთვის დაკავშირებულია მთელ რიგ ისეთ მოვლენებთან, რაც ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, გარდა მისი პირდაპირი დანიშნულებისა, იწვევს გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიების სტიმულირებას და ახალ-ახალი მტკიცებულებების მოპოვებას. ეს კა-
მის მნიშვნელოვან ოპერატიულ ღირებულებაზე მიუთითებს.

კვალის აღმოჩენა და მისი გამოყენება გამომძიებაში, თავისთავად გუ-
ლისხმობს გამომძიებლის მიერ კვალის აღმოჩენის, ფიქსირებისა და ამოღების
პროცესუალური გაფორმების ცოდნას. კვალის ამოღება, გარდა ცოდნისა,
დამოკიდებულია იმაზეც თუ რამდენად მარტივია მისი ამოღების ტექნიკა.

როგორც წესი, პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში კვალის ამოღებას გა-
მომძიებლები ავალებენ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის
საკვლევ-სამეცნიერო ლაბორატორიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექს-
პერტო კრიმინალისტიკური განყოფილების ან სხვა ორგანიზაციების შესაბა-
მის სპეციალისტებს, რომლებიც მიუხედავად მათი მაღალკვალიფიციურობისა,
კვალის აღების მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ასრულებენ. კვალის ასა-
ღებად კი აუცილებლად გამომძიებლის პროფესიული ცოდნაა საჭირო, ამი-
ტომ ბუნებრივია, რომ გამომძიებელმაც უნდა იცოდეს და შეძლოს კვალის
აღება, მითუმეტეს, რომ უმეტეს რაიონებში არ არიან ზემოაღნიშნული სპე-
ციალისტები.

მოცულობითი და ხელის თითების დვრილოვანი ქარგების კვალის ასაღე-
ბად დღემდე არსებობდა სილიკონური ნაერთები („K", „У—4"), რომლები
არსებობს საგამომძიებო ჩემოდანში და სსრ კავშირის პროკურატურის კვალის
ასაღებ საშუალებათა სპეცნაკრებში. პასტა „K" გამოიყენებოდა იარაღის
ფორმის ან ჭრილობის ფორმის დასადგენად გვამზე არსებული ჭრილობის არ-
ხში პასტის შეყვანით[1].

აღნიშნული საშუალებების გამოყენება შედარებით რთული და მოუხერ-
ხებელია, ვინაიდან:

1. კვალის აღებისათვის ნაერთის დასამზადებლად საჭიროა განსაზღვრული
სიდიდის გვერდებიანი სპეციალური ჭურჭელი;

2. კვალის ასაღები საშუალება უნდა შეიღებოს მასასთან შეფარდებით
განსაზღვრული პროცენტული ოდენობის საღებავით;

3. მიღებულ მასას უნდა დაემატოს პროცენტულად საჭირო ოდენობის
კატალიზატორი;

4. კატალიზატორი ძნელად ასარევია პასტაში;

5. კატალიზატორი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის;

6. კატალიზატორი ასველებს ქაღალდს და იგი უვარგისია ხელის კვალის
ასაღებად;

7. კატალიზატორი არ ინახება და შედარებით ჩქარა ფუჭდება;

8. მიღებული მასა საკმაოდ მძაფრი და უსიამოვნო სუნისაა.

აღნიშნულის გამო გამომძიებლები და ზოგ შემთხვევაში სპეციალის-
ტებიც ერიდებიან პასტა „K"-ის გამოყენებას. მიმდინარეობდა ძიება უფრო
ხელსაყრელი საშუალების აღმოსაჩენად, მაგალითად, 1966 წელს გამოქვეყნდა
ერთკომპონენტიანი ახალი პლასტიკური საჰერმეტიზაციო მასა „ВГО-4",[2] 1967

---

[1] Р. Н. Ахсанов, Ю. В. Гальцев, А. В. Гыскэ, А. В. Жоров, К. Н. Калмыков, А. С. Сергеев, «Применение следопытных и рентгенографических методов исследования при диагностике огнестрельных ран». Материалы конференции, 23—24 марта 1988 г. (судебно-медицинская экспертиза огнестрельных повреждений), Л., 1988 г.

[2] А. И. Миронов, Новая слепочная масса ВГО-4. Информационные сообщения, выпуск 8, М., 1966 г., стр. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს — „КЛТ“[3] (საიზოლაციო და საჰერმეტიზაციო მასალა) და ბოლოს, კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტომატოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების ჟურნალმა 1988 წელს მე-3 ნომერში გამოაქვეყნა ახალი ფორმის კვალის ასაღები პლასტიკური სილიკონური საშუალებები: ექსაფლექსი, ოპტოზილი, კსანტოპრენი და პროვილი (გფრ)[4], რაზეც ჩავატარეთ ცდები და თავისი ფიზიკურ-ტექნიკური მონაცემებით და ვულკანიზაციის პროცესით ავირჩიეთ პროვილი, რომელიც გაცილებით უკეთესია არსებულ კვალის ასაღებ სხვა საშუალებებზე და მთლიანად აკმაყოფილებს კრიმინალისტიკურ მოთხოვნებს:

1. მასის დამზადება შეიძლება ნებისმიერ სუფთა ზედაპირზე;
2. არ საჭიროებს შეღებვას, აქვს ბუნებრივი სასიამოვნო კონტრასტული ფერი;
3. ვულკანიზაციისათვის საჭიროა მხოლოდ ორ სხვადასხვა სათავსოში არსებულ თვალდათვალ ერთიდაიგივე მასის ერთმანეთში არევა;
4. კატალიზატორი ადვილად ერევა მასაში;
5. პროვილი ადამიანისათვის უვნებელია;
6. პროვილი კვალსა და საგანს არ ასველებს;
7. კატალიზატორი არ არის მალფუჭადი;
8. პროვილს სუნი არ გააჩნია;

პროვილი თავისი ფიზიკურ-ტექნიკური მონაცემებისა და გამოყენების სიმარტივის გამო მთლიანად შეცვლის დღემდე არსებულ სილიკონურ პასტებს ადამიანის ხელის დვრილოვანი ქარგების ზედაპირული და მოცულობითი კვალის აღების საქმეში, მითუმეტეს, რომ მისი შეძენა თავისუფლად შეიძლება საოფთიაქო მაღაზიებში.

პროვილის საგამოძიებო პრაქტიკაში დანერგვა გამოძიებას ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენაში.

---

[3] А. Н. Басалаев, И. Ф. Крылов, «Возможности применения в криминалистике пасты «КЛТ». Криминалистика на службе следствия . Материалы научно-практической конференции след. работников, Лит. ССР, 1967 г., стр. 75.

[4] И. Я. Поюровская, Р. М. Рапопорт, Н. А. Нечаенко, А. И. Тачиев, «Сравнительная лабораторная оценка силиконовых оттискных материалов, применяемых при изготовлении металлокерамических протезов», журнал «Стоматология», № 3, 1988, стр. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის

**კობა კობახიძე,**
**საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავი დათმობილი აქვს სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მათ პირობითად ჰყოფენ ორ ჯგუფად, პირველ მათგანში შეაქვთ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია გატაცების ნიშნები, მეორეში კი ისეთნი, რომელთაც ასეთი ნიშნები არ გააჩნიათ. ამ უკანასკნელში შედის ჩვენს მიერ განსახილველი დანაშაული — გამოძალვა, მაგრამ ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ მის შესწავლაზე, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ გატაცების გაგებაზე.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების გატაცებად მიიჩნევენ სოციალისტური ორგანიზაცია-დაწესებულებების მფლობელობიდან ანგარებითი მიზნით ქონების განზრახ უკანონო და აუნაზღაურებელ ამოღებას ამ ქონების პირად ან სხვა პირთა საკუთრებაში მისაქცევად.

აღნიშნული ნიშნები ერთი შეხედვით გამოძალვასაც ახასიათებს — მოქმედება უკანონოა და განზრახია, დამნაშავე მოქმედებს ანგარებით, სურს აუნაზღაურებლად მიიღოს ქონება. საქმეც ამაშია და კანონმდებელმაც მხოლოდ ამ დანაშაულებრივი სურვილის დასასჯელად ჩამოაყალიბა საქართველოს სსრ სსკ 97-ე მუხლი. ხოლო თუ გამომძალველი ასეთი სახის ქონებას უკვე მიიღებს, იმავდროულად მისი მოქმედება კვალიფიცირდება სოციალისტური ქონების გატაცების სხვა მუხლებით, რადგან გამოძალვის შემადგენლობაში ქონების გატაცება, ასე ვთქვათ, გადაცემა, გათვალისწინებული არ არის. კანონმდებელმა გამოძალვა არ მიიჩნია გატაცების ხერხად,[1] ალბათ იმიტომ, რომ შეუძლებელია იმის გატაცება, რაზეც გამოძალვის დისპოზიციაშია მითითებული — „...ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის". ამჟამად არსებული ნორმებით გამოძალვა გაგებულია, როგორც მოთხოვნა სოციალისტური ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღებისა, ე. ი. დამნაშავის მიერ ეგრეთწოდებული „დაზარალებულისათვის" ამგვარი მოთხოვნის წარდგენა უკვე ჩათვლილია დამთავრებულ დანაშაულად.

განვიხილოთ გამოძალვის როლი „ქონების მიღების მოთხოვნასთან" დამოკიდებულებაში. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში აღნიშნულია — „თუ პირი, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ იმყოფება სოციალისტური ქონება, გადასცემს მას დამნაშავეს, მაშინ ორივე პირის მოქმედება განხილულ უნდა იქნეს როგორც გატაცება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით".[2] აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი: დამნაშავე წარუდგენს რა პირს ქონების მიღების მოთხოვნას,

---

[1] «Курс Советского уголовного права», часть особ. т. 3, изд. ЛГУ, 1977, с. 452—453.

[2] «Комментарий к уголовному кодексу РСФСР», М., 1985, с. 225.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გამომძალველია, ხოლო თუ შეუსრულდა ეს მოთხოვნა — გამტაცებელი, თანაც პირთა ჯგუფთან წინასწარ შეთანხმებული. მაგრამ რა შეთანხმებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მატერიალურად პასუხისმგებელი პირი იძულებული ხდება მუქარის გამო მისცეს გამომძალველს ქონება. სად არის აქ „დაზარალებულის“ მხრივ ის პირდაპირი განზრახვა, რაც აუცილებელი ნიშანია სოციალისტური საკუთრების გატაცებით ჩადენილი ყოველი დანაშაულისათვის?[3] სინამდვილეში ასეთ დროს სახეზეა ქონების გადამცემი პირის ევენტუალური განზრახვა, რადგან მას საერთოდაც არ სურდა რაიმე მავნე შედეგების დადგომა, თუმცა შეგნებულად უშვებდა მათ. გარდა ამისა, ხსენებულ დელიქტში სახეზე არაა ანგარებითი მოტივი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მხრიდან, რაც აუცილებელი ნიშანია გატაცებისათვის, მათ შორის სხვა პირის საკუთრებაში ქონების მიქცევის დროსაც. ამ შემთხვევაში პირი, რომელიც გამომძალველს გადასცემს ქონებას, სულ არ ფიქრობს, რომ შემდგომ ამ ქონების თუნდაც ნაწილი გადაეცემა თვითონ მას. ასევე არ გაჩნია მას გამომძალველის გამდიდრების მიზანი, იგი არ არის დაინტერესებული მასზე ზრუნვით, მისი ბედით, ამიტომ აქ ანგარებითი მოტივი გამორიცხულია. თუმცა, პირადი მოტივი სახეზე გვაქვს, რომლის შესახებაც დასახელებულ კომენტარში წერია: „არ შეიძლება პირზე მსჯავრის დადება სოციალისტური ქონების გატაცებისათვის, თუ დამნაშავე მოქმედებდა არა ანგარებითი მოტივით, არამედ სხვა პირადი დაინტერესებით“. შემდეგ აქვე დაზუსტებულია: „ის გარემოება, რომ ანგარებითი მიზანი ნიშანდობლივია გატაცებისათვის, მიუხედავად იმისა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ყველა თანამონაწილეს. გატაცების ზოგი თანამონაწილე, არ ხელმძღვანელობს რა ანგარებითი მიზნით, შეიძლება მოქმედებდეს ამხანაგური დამოკიდებულების მცდარი გაგებით, მუქარის ან გამოძალვის ზემოქმედებით და ა. შ. მათ პასუხი უნდა აგონ სოციალისტური საკუთრების გატაცებაში თანამონაწილეობისათვის“[4]

აქედან გამომდინარეობს, რომ გამომძალველისათვის ქონების გადამცემი პირის მოქმედებას მხოლოდ გატაცების მუხლზე მინიშნებით ვერ დავაკვალიფიცირებთ, მისი მოქმედება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით ანუ თანამონაწილეობად უნდა დავაკვალიფიციროთ, მაგრამ როგორღა შევაფასოთ ამ შემთხვევაში გამომძალველის მოქმედება, რომელსაც წარმოეშვა რა დანაშაულებრივი განზრახვა, იგი აქტიურად ცდილობს მის სისრულეში მოყვანას? ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ ავტორს აქვს ასეთი შეხედულება: „პირი, რომელმაც ამოიღო თავის გამგებლობაში არსებული ქონება გამომძალველზე გადასაცემად, ჩაითვლება გატაცების ამსრულებლად, ხოლო გამომძალველი, რომელიც მოქმედებდა ანგარებითი მიზნით, დამხმარედ და წამქეზებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ პირის მოქმედება, რომელმაც გადასცა თავის გამგებლობაში არსებული ქონება, კვალიფიცირდება გაფლანგვად, ხოლო თუ ქონება მისი დაცვის ქვეშ იყო, ამ შემთხვევაში — ქურდობად“.[5]

აღნიშნული ციტატიდან ჩანს, რომ გამომძალველის პასუხისმგებლობაზე

---

[3] იქვე, გვ. 187.

[4] დასახელებული კომენტარები, გვ. 80.

[5] «Советское уголовное право», часть особенная, М., 1983, с. 115—116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გამოვიდეთ „დაზარალებულის“ ანუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, სამსახურებრივი მდგომარეობიდან, რაც არასწორად მიმაჩნია. აქ მთავარი უნდა იყოს „პირველი“ დამნაშავის, ე. ი. გამომძალველის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაანალიზება და ამის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ „მეორე“ დამნაშავის (ქონების გადამცემის) საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კვალიფიკაციაზე. მაშასადამე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს გამომძალველის მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ მას სამსახურებრივად სოციალისტურ ქონებასთან ხელი არ მიუწვდება, არის კერძო პირი, თვითონ ადგენს დანაშაულის გეგმას, კი არ ეთანხმება და ჰპირდება, რომ თუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი გაიტაცებს სახელმწიფო ქონებას, მაშინ შეიძენს მას, უბრალოდ კი არ აქეზებს, არამედ ასეთ პირობას უყენებს მუქარის, გამოძალვის გზით. ამ შემთხვევაში სოციალისტური ქონების გატაცების ხერხი სწორედ გამოძალვაა, რადგან დამნაშავეს არც სამსახურებრივი მდგომარეობა გააჩნია და არც ფარულად იტაცებს ქონებას. მაშ რატომ უნდა დაკვალიფიცირდეს გამომძალველის მოქმედება გატაცებაში თანამონაწილეობად ორი მუხლით — გამოძალვად და გატაცებად. რატომ არ შეიძლება რომ გამოძალვა ჩაითვალოს სოციალისტური ქონების გატაცების ხერხად და როცა გამომძალველმა ქონება მიიღო, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა, როგორც სოციალისტური ქონების გატაცება, დაკვალიფიცირდეს მხოლოდ გამოძალვად, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქმედობა — ამ დანაშაულში თანამონაწილეობად. გამოძალვა არის ერთიანი პროცესი, ერთი განზრახვით მოცული მოქმედება და არ უნდა დაიყოს იგი წამქეზებლად, ამსრულებლად და დამხმარედ. თვით სიტყვა „გამოძალვა“ ასეა განმარტებული: „გამოძალვა — ...გამო-ს-ძალავ-ს (თურმ. გამოუძალავს) გარდ. ძალით, მუქარით ან მოტყუებით გამოართმევს. ფული გამოსძალა — შდრ. გამოძალვა, გამომძალველი“.[6] რატომ არ შეიძლება კოდექსშიც ვიხმაროთ „გამოძალვა“ იმ გაგებით, რომ დამნაშავემ უკვე გამოსძალა ქონება მუქარით. ვფიქრობ უმჯობესია, კანონში არსებული განმარტება გამოძალვისა — „ქონების მიღების მოთხოვნა“ შეიცვალოს ახალი შინარსით — „ქონების მიღება“, ხოლო „მოთხოვნა“ კი ჩავთვალოთ გამოძალვის, როგორც დანაშაულის, მომზადებად ან მცდელობად.

მაშ, როგორ უნდა გავიგოთ და ვინ უნდა იყოს უშუალოდ ქონების მიღების მოთხოვნის წარდგენის მომენტში დამთავრებული დანაშაულის ხელყოფის ობიექტი? სწორედ თუ ვიმსჯელებთ, ალბათ სოციალისტური საკუთრება მაინც არა, რადგან მას რაიმე ზარალი დამნაშავის სასარგებლოდ არ გაუცდია. სულ სხვაა, თუ „ქონების მიღების მოთხოვნას“ დავარქმევთ გამოძალვის მომზადებას ან მცდელობას, რა დროსაც თუმცა რაიმე ზიანი არ ადგება სოციალისტურ საკუთრებას, მაგრამ მაინც გასაგებია (გამოძალვის მცდელობისას) დანაშაულის ობიექტის არე. ფაქტიურად, ჩადენილი ქმედობის სოციალური შინაარსის თვალსაზრისით, საქართველოს სსრ სსკ 97-ე მუხლი უშედეგო გამოძალვის ანუ გამოძალვის მცდელობის განმარტებაა. ეს მუხლი არა თუ ქონების, არამედ ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის დაკმაყოფილების დროსაც არ გამოდგება, რადგან იგი ითვალისწინებს ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მხოლოდ მოთხოვნას. ისმის კითხვა თუ ასეთი მოთხოვნა შედეგიანი გამოდგა ე. ი.

[6] „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ერთტომეული, 1986, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავემ მიიღო ქონებრივი სარგებლობა, როგორ დავაკვალიფიცირებ-სი მოქმედება, მოვიშველიოთ საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლი — ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით? ასეთი ანალოგია, ვფიქრობთ, არ გამოდგება, რადგან მასში დანაშაულის ჩადენის ხერხად არაა ცნობილი გამოძალვა. ვფიქრობ არაფერი უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ აზრს, რომ გამოძალვის გზით ქონებრივი სარგებლობის მიღება გამოვყოთ გამოძალვის გზით ქონების მიღებისაგან, რომელიც თავისი ბუნებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გატაცების ნიშნებით ხასიათდება და ჩავრთოთ საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლის დისპოზიციაში.

რაც შეეხება გამოძალვის გაგებას, როგორც „ქონებაზე უფლების გადაცემის მიღების მოთხოვნას", მასზე უნდა ვიმსჯელოთ ფაქტიურად დამდგარი შედეგების მიხედვით. ასე მაგალითად; თუ გამოძალვის გზით დამნაშავეს მიეცა ისეთი უფლება, რომ მისი განხორციელებით მან შეძლო ამა თუ იმ ქონების დაუფლება შემდგომში, მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება გამოძალვის გზით ქონების გატაცებად ან მცდელობად კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ხოლო თუ თვითნებურად ჰქონდა ხელში ჩაგდებული სოციალისტური ქონება, ე. ი. გამოძალვის გზით თავისად დაიგულა, თუმცა მის საკუთრებაში კანონიერად არ გადასულა და მაშასადამე მისით „მართლზომიერად" სარგებლობდა, მაშინ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლით, სადაც როგორც უკვე აღვნიშნე, ჩავამატებდით გამოძალვის ხერხს, რომელსაც ისე კი არ განვმარტავდით, როგორც ეს 97-ე მუხლშია, არამედ მის მნიშვნელობას გამოვხატავდით ისეთი ფორმით, როგორც ეს ქრთამის აღების ან უკანონო გასამრჯელოს მიღების განმსაზღვრელ დისპოზიციებშია.

გამოძალვა, დღევანდელი გაგებით, იგივე როლს ასრულებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის, რასაც მუქარა, საქართველოს სსრ სსკ 136-ე მუხლი, სხვა დანაშაულებისათვის: „იმ შემთხვევაში, როცა მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების, ასევე ქონების განადგურების მუქარას სდევს თან რაიმე კონკრეტული მოსამზადებელი მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ამ მუქარის რეალურად განსახორციელებლად, დამნაშავის მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების ან მოქალაქეთა ქონების განზრახ დაზიანების მომზადებად ან მცდელობად".[7] „მუქარისა" და „იძულების" მსგავსად მაშინ „გამოძალვაც" გადაგვეტანა სხვა დანაშაულთა თავებში და გამოძალვით როგორი შედეგიც დადგებოდა იმის მიხედვით გვემსჯელა — თუ ქონება გადაეცემოდა დამნაშავეს, სოციალისტური ქონების გატაცებად გვეცნო, თუ ადამიანის მიმართ იქნებოდა ფიზიკური ძალადობა გამოყენებული, შესაბამის დანაშაულთა მუხლებით დაგვეკვალიფიცირებინა და ა. შ. მაგრამ ასეთი მიდგომა სწორი არ იქნებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ „გამოძალვის" დღევანდელი ცნება და ადგილი კოდექსში ვერ პასუხობს თავის ნამდვილ მნიშვნელობას. მასში გაგებული უნდა იყოს სოციალისტური ქონების მიღების მოთხოვნა კი არა, არამედ მისი მიღება და იგი ვცნოთ გატაცების ხერხად.

როცა კომპეტენტური პირი გამომძალველისაგან ჩადენილი დანაშაულის — „შედეგიანი გამოძალვის" ფაბულის ჩამოყალიბებას შეუდგება, რასაც დღევან-

7 «Комментарий к уголовному кодексу РСФСР», М., 1985, с. 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ პირობებში მიიჩნევენ არა მხოლოდ გამოძალვად, არამედ პირველ რიგში გატაცებად, აუცილებელია, მასში მოხსენებული იყოს, რომ დამნაშავემ გამოძალვის გზით ე. ი. ვთქვათ, მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე ძალადობის გამოყენების მუქარით, მოითხოვა რაიმე სოციალისტური ქონების მიღება, რის შედეგადაც მიიღო იგი. გამოდის, რომ ქონების ასეთი მიღება გატაცებაა და იგი ხორციელდება გამოძალვით ანუ გარკვეული ხერხით.

თაღლითობა, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამნაშავის მიერ როგორც სოციალისტური ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების დროს, ასევე ქრთამის ან უკანონო გასამრჯელოს აღების შემთხვევაშიც — მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით ზოგჯერ დამნაშავე ახერხებს ქრთამის აღებასაც და ცალკე უკანონო გასამრჯელოს მიღებასაც. ამ დანაშაულების განხორციელების ერთ-ერთი ხერხი გამოძალვაცაა, მაგრამ არა ისეთი გაგებით, როგორიც ეს საქართველოს სსრ სსკ 97-ე მუხლის დისპოზიციაშია მოცემული. ორივე შემთხვევაში, როგორც გამოძალვისას, ასევე თაღლითობისას, საპირისპირო მხარეები თანხმდებიან, მაგრამ ერთ შემთხვევაში დამნაშავე მუქარით აიძულებს მეორე პირს, სხვა შემთხვევაში, თაღლითობის დროს კი ატყუებს. ეს არის ადამიანის ფსიქიკაზე, გონებაზე მოქმედების ორი ფორმა და თუ თაღლითობა აღიარებულია გატაცების ხერხად, რატომ არ შეიძლება ასეთად ვცნოთ გამოძალვაც. თუ დამთავრებული ქრთამის აღების დროს გამოძალვაში იგულისხმება რაიმე ქონების გადაცემა დამნაშავისათვის, რატომ გამოძალვის დისპოზიციაში არ უნდა გვქონდეს ასეთივე გაგება გამოძალვისა.

დანაშაულის შემადგენლობის და დამთავრებულ დანაშაულად ე. წ. ფორმალურ დანაშაულად ცნობასთან დაკავშირებით, გამოძალვა წააგავს ყაჩაღობას. როგორც გამოძალვის დროს ითვლება დამთავრებულ დანაშაულად ქონებაზე მიღების მოთხოვნა, ასევე ყაჩაღობისას, თავდასხმა უკვე დამთავრებული დანაშაულია. ორივე შემთხვევაში ძალადობის გამოყენების მუქარა მიმართულია სოციალისტური საკუთრების დაუფლებისაკენ, მაგრამ გარდა მუქარისა, ასეთ საშუალებად ყაჩაღობის ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალოდ თავდასხმის მომენტში, შეიძლება იყოს ძალადობაც, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამიტომ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის სიდიდის გამო, კანონმდებელმა ყაჩაღობისას თავდასხმის მომენტი სრულიად სამართლიანად სცნო დამთავრებულ დანაშაულად. მაგრამ განა ისე დიდია მხოლოდ მუქარა გამოძალვის დროს, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რომ იგი დამთავრებულ დანაშაულად ვცნოთ. მე არ ვამბობ, რომ ასეთი მოქმედება საერთოდ არ ვცნოთ დანაშაულად, ვაღიაროთ, მაგრამ იგი ალბათ მომზადების ან მცდელობის დონეზე უნდა განვიხილოთ.

გამომდინარე აქედან და ზოგიერთი სხვა შენიშვნების დამატებით მიმაჩნია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 97-ე მუხლის დისპოზიცია ასე უნდა ჩამოყალიბდეს:

„მუხლი 97. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება გამოძალვით

გამოძალვა, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დამცველი ან განმგებელი პირის მეშვეობით სოციალისტური ქონების გატაცება ამ პირს ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების ან გამაწბილებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცნობების გახმაურების, აგრეთვე მათი ქონების განადგურების ან ფლობ-
ნების მუქარით...“

საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლის დისპოზიცია კი ალბათ უკეთესია ასეთი სახით ჩამოყალიბდეს:

„მუხლი 98. ქონებრივი სარგებლობის მიღება გამოძალვით ან თაღლითობით

გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება გამოძალვით, მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით...“

როცა გამოძალვის მუხლის დისპოზიციის ზემოთხსენებულ ვარიანტში ნახსენები არა გვაქვს ქონების განადგურების საყოველთაოდ საშიში ხასიათი ამას იმით ვსხნით, რომ მოქალაქის ქონება შეიძლება განადგურდეს სულ სხვადასხვანაირი გზითაც, რომელთაგან ზოგიერთი მართლაც გამოადგება გამომძალველს „დაზარალებულის“ დასაშინებლად და მისი დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად. ამიტომ ამ მხრივ სწორად მიგვაჩნია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის ფორმულირება.

რაც შეეხება ქონებაზე ზიანის მიყენების მუქარით გამოძალვას, ესეც ყურადსაღებია, რადგან იგიც შეიძლება გახდეს ზოგჯერ ასეთი დანაშაულის ჩადენის ხერხი. ამის შესახებ კარგად არის აღნიშნული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მე-5 მუხლში:

«Статья 5. Вымогательство

Требование передачи личного имущества граждан или право на имущество под угрозой насилия к потерпевшему или его близким, оглашения позорящих сведений о нем или его близких, или уничтожения или повреждения имущества потерпевшего или его близких (вымогательство)...

...Вымогательство, соединенное с применением физического насилия или истреблением имущества, — ...».

ამავე პროექტის მე-10 მუხლის I ნაწილის დისპოზიციაში ასეთი სახის, მხოლოდ ქონების განადგურების და არა დაზიანების მუქარაა მიჩნეული სოციალისტური ქონების გამოძალვის საშუალებად. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, პროექტის მე-5 მუხლში მოცემული გამოძალვის დისპოზიციის შინაარსი, გარდა იმ შენიშვნებისა რაც ზემოთ აღინიშნა, გაგვეზიარებინა პროექტის მე-10 მუხლშიც.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თუ საერთოდ უარს ვიტყვით საქართველოს სსრ სსკ 97-ე და 154-ე მუხლების მეორე ნაწილებზე, რომლებშიც გამოძალვის მაკვალიფიცირებელ გარემოებებად ჩათვლილია განმეორებითობა და პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმება. ეს იმიტომ, რომ ორივე დამამძიმებელი გარემოება და საყოველთაოდ საშიში საშუალებით დანაშაულის ჩადენა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 39-ე მუხლში და სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს შეუძლია ამ მუხლით იმსჯელოს ასეთი სახის დანაშაულთა სიმძიმეზე. უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის პროექტის ვარიანტი: თუ გამოძალვის პროცესში იქნება გამოყენებული ასეთი ძალადობა, ქმედობა დაკვალიფიცირდება მხოლოდ გამოძალვის მუხლით, ხოლო თუ გამოძალვის დამთავრების შემდეგ — მაშინ კოდექსის სხვა თავებში არსებული შესაბამისი მუხლებით.

რაც შეეხება მოქალაქეთა პირადი საკუთრების გამოძალვას, იგი საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლში ასეთ ... ჩამოყალიბდეს:

„მუხლი 154. გამოძალვა

გამოძალვა, ე. ი. მოქალაქეთა პირადი ქონების, ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღება, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების, მათი ქონების განადგურების ან დაზიანების, ასევე მათი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების შუქარა"...

მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში თაღლითობა და გამოძალვა გატაცების ხერხები კი არ არის, არამედ მოქალაქეთა პირადი ქონების დანაშაულებრივი დაუფლების ხერხებია[8]. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა თაღლითობა აღარ დაყო ცალ-ცალკე სახეებად როგორც ეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე და 98-ე მუხლებშია წარმოდგენილი.

ამდენად, ე. წ. „რეკეტების" და სხვა ჯურის გამომძალველების მომრავლების ფონზე მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება ხსენებული დანაშაულის განხილვაზე.

---

[8] „საბჭოთა სისხლის სამართალი", განსაკუთრებული ნაწილი, ბ. ფურცხვანიძე, 1966, გვ. 234.

# „დიდი სჯულისკანონის" იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა

ნანა მეტრეველი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მართალია, XI საუკუნეზე ადრინდელ საკანონმდებლო ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ საკანონმდებლო ძეგლების გარდა არის სხვა წყაროებიც, რომლებიც უეჭველს ხდიან ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას სამართლის დარგში.

გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივი წესწყობილების ამსახველია „ხელმწიფის კარის გარიგება".[1] X საუკუნის საქართველოში საკუთრების უფლების ინსტიტუტი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული ბასილი ზარზმელის თხზულებაში, სრულიად ჩამოყალიბებული ჩანს რომის dominium-ის შესატყვისად, მაშინ, როცა ეს პროცესი ევროპის ქვეყნებში XIII-XIV საუკუნეებში მიმდინარეობს. მხოლოდ ეს ფაქტიც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სამართლის ყოველ დარგში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა და,

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1952, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იურიდიული აზროვნება საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო. ამის ბრწყინვალე ნიმუშია ბაგრატ მეოთხის სიგელი (მიძნაძორელთა და ოპიზართა დავის შესახებ), დავითის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისათვის და სხვ.

ქართული ეკლესიის მოქმედი სამართლის წიგნი იყო „დიდი სჯულისკანონი" — საეკლესიო სამართლის კანონთა კრებული, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური ძეგლიდან ბერძნული — 14 ტიტლოვანი ნომოკანონიდან თარგმნა არსენ იყალთოელმა XI საუკუნის დამლევს ან XII საუკუნის დამდეგს.[2]

მიუხედავად საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდის ბედუკუღმართობისა, სამართლის დარგში შემოქმედებითი მუშაობა მაინც არ წყდებოდა და XIV-XV საუკუნეებში დაიწერა გიორგი ბრწყინვალისა და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები.

მეტად მდიდარია XVIII საუკუნის ქართული სამართლის ისტორია; პირველ ყოვლისა, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი. მანვე შეადგინა „დასტურლამალი", რომელიც გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობას ასახავს. ამ დროს იქმნება ისეთი ძეგლები, როგორიცაა ვახტანგ ბატონიშვილის 1782 წლის არაგვეთის საერისთაოს განჩინება, ქალაქის მოურავის სარგო და სხვ.

ქართველი მოღვაწეები დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული სამართლისადმი. ივ. ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ მიზნით გაწეულ მთარგმნელობით მუშაობას: „...მრავალი ქართული იურიდიული ტერმინის ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამოკვლევაც სწორედ ამ ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებით შესწავლითაა შესაძლებელი".[3]

სწორედ ამ თვალსაზრისით გვაინტერესებს „დიდი სჯულისკანონის" იურიდიული ტერმინოლოგია, არსენ იყალთოელის მიერ გაწეული მუშაობა იურიდიულ ტერმინთა საკუთრივ ქართული შესატყვისების ძიების პროცესში. 14 ტიტლოვანი ბერძნული ნომოკანონის ქართულად მთარგმნელი რომ სწორედ არსენ იყალთოელია, დამოწმებულია გელათის მონასტრის ერთ-ერთ ნუსხაში, სადაც ვინმე ჩახრუხაძს ძე ამბობს: „გულ-მოდგინებითა გადავწერე თჳსითა ჴელითა ქრისტიანთა წინამძღუარი დიდი ესე სჯულისკანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭირთა არსენი იყალთოელის თარგმნილი."[4]

14 ტიტლოვანი ნომოკანონი მოიცავს ცნობილ მოძღვართა კანონიკურ ეპისტოლეებს და განმარტებებს, მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ დადგენილ კანონებს, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობებს, ეკლესიის საქმეებს. არსენის ეს თარგმანი არის პატრიარქ ფოტის მიერ 883 წელს შევსებული და რედაქციაქმნილი კოდექსის თარგმანი. იყალთოელისეული თარგმანი შეიცავს ნიკეის, ანკჳრიის, ნეოკესარიის, ანტიოქიის, ლაოდიკიის, კონსტანტინეპოლის, ეფესოს და ქალკედონის მსოფლიო-საეკლესიო კრებათა მიერ დადგენილ კანონებს, აგრეთვე ცნობილ მოძღვართა დიონისე ალექსანდრიელის, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და კირილე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნეოკესარიელის, პეტრე ალექსანდრიელის, ტიმოთე ანტიოქელის ეპისტოლეებს. ეს კანონიკური ეპისტოლეები ზემოჩამოთვლილ მსოფლიო კრებულთა კანონებთან ერთად „დიდი სჯულისკანონის" თარგმანის ძირითად ნაწილს შეადგენს, გარდა ამისა, ძირითად ტექსტს მოსდევს დამატებებიც, მაგრამ ჩვენს მიერ გამოყენებულია ძირითადი ტექსტი.

ჩვენ წარმოვადგენთ „დიდი სჯულისკანონის" იურიდიულ ტერმინთა მცირე ნაწილს, რათა მოგვეცეს საშუალება ზოგადად წარმოვაჩინოთ მთელი ტერმინოლოგიური სისტემის ძირითადი სურათი. მთელი მასალა დაყოფილია წარმოების თავისებურებების საფუძველზე. კერძოდ, უაფიქსო, ანუ ყოველგვარ მაწარმოებელს (თავსართს ან ბოლოსართს) მოკლებულ ტერმინებად და აფიქსიან (თავსართებით, ბოლოსართებით ან ორივე საშუალებით გაფორმებულ) ტერმინებად.

პირველ რიგში, გამოვყოთ **უაფიქსო მარტივი ტერმინები.** ამ ტერმინებში შედის როგორც ქართული, ასევე ნასესხები ლექსიკა. რადგანაც ძეგლის ორიგინალი ბერძნულია, ბუნებრივია, რომ ნასესხებ სიტყვათაგან ჭარბობს ბერძნული, თუმცა მოიპოვება სხვა ენებიდან ნასესხები ტერმინებიც. განვიხილოთ ცალ-ცალკე საკუთრივ ქართული და ნასესხები უაფიქსო მარტივი ტერმინები.

საკუთრივ ქართული ტერმინებია: ბრალი, ბჭე, მსჯავრი, ნიჭი, მიზეზი, ბოროტი, წესი, წიგნი და სხვა.

---

[2] „დიდი სჯულისკანონი" გამოსაცემად მოამზადეს გ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, 1975, გვ. 20.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. 4, 1982, გვ. 7.

[4] კ. კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალი — ძვ. ქართულში შეცოდებას, დანაშაულს ნიშნავდა. „... უკუეთუ ეპისკოპოსი ვინმე ბრალისა რაჲსათ სმე განკითხულ იქმნეს, ამისსა შემდგომად ორკმა იქმნეს მისთჳს ეპისკოპოსნი მის სამთავროჲსანი“.

ბჭე — მსჯულის, მოსამართლის მნიშვნელობით იხმარებოდა. „უკუეთუ რომელთაცა საეკლესიოთა ბჭეთაგან სხუათა ბჭეთა მიმართ საეკლესიოა, რომელთა უფროჲსი კელმწიფება აქუნდეს, მოვიდეს განსაკითხავი იგი მღდელი“.

მსჯავრი — სასჯელს ნიშნავდა, ფაქტობრივად მას ეს მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს. თავი ე (5) მსჯავრისათჳს ეპისკოპოსთა და მოყუასთაჲსა“.

ნიჳი — როგორც იურიდიული ტერმინი აღნიშნავს ნაჩუქრობას. „სამარტილენი ვერარას დაიმკვიდრებენ... ვერცა დატევებულსა ანუ ნიჳსა მიიღებენ“.

მიზეზი — დანაშაულის მნიშვნელობა აქვს. „ნუ ავნებენ პატიოსანთა მათ სახელთაგანსა სამეფოჲსა გამოსავალისა სახლისაგან ანუ სხვისა ვითარისცა მიზეზისა დამამძიმებელისაგან“.

ბოროტი — ესეც დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინთაგანია. „ხოლო განიყოფის ესე ბოროტი ნებსითად და უნებლიეთ“.

წესი — რიგი, კანონი. „ა (1) წესი რჩეული ყოვლისავე სიტყუა და საქმედ დამწებლისა ღმრთისგან დაიწყება“.

წიგნი — ნაწერი ტექსტი, დოკუმენტი. „ამას კრებასა შინა განისაზღვრა რაჲთა ეპისკოპოსი თჳნიერი განსატევებელის წიგნისა არა ნავით მოგზაურ იქმნეს“.

მოგვყავს ბერძნული ნასესხობების რამდენიმე მაგალითი:

დიგესტონი — (Digesta — ბერძ.) იუსტინიანეს მიერ გამოქვეყნებული კრებული, რომელიც შეიცავს ამონაკრებს 89 სახელგანთქმული რომაული სამართლისმცოდნის თხზულებებიდან (digero — წესრიგში მოყვანა) „...შეისწავე, ვითარმედ ყოველნი ესე წოდებანი; რომელ არიან განწესებანი კოდიკონი, დიგესტონი, ინსტიტუტიონნი“.

ამ აბზაცში მოხსენებულია ბერძნული ტერმინი ინსტიტუტიონი — იუსტინიანეს მიერ 533 წელს გამოცემული სამართლის სისტემატური კურსის სახელმძღვანელო, კანონის ძალის მქონე და ასევე მეორე ტერმინი — საანდერძო აქტის დამატება.

მცირე რაოდენობით გვხვდება სხვა ენებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც, მაგალითად, სპარსულიდან ავაზაკი, გუჯარი, ანდერძი.

ავაზაკი—დამნაშავე. „...რა თა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნი ა სულთაცა თქუენთა საფარდულები... დაიქცეს“.

გუჯარი — სიტყვასიტყვით ახსნა-განმარტებას ნიშნავს. „არცა ეპისკოპოსს უღირს მარება საქონლისა, რომელი გუჯარსა შინა საეკლესიო იადგარის დაწერილ იყოს“.

ანდერძი — რჩევის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ განიცადა სემანტიკური ცვლილება. „უკუეთუ ეპისკოპოსი ანუ მოყუასი ვითარცა ხარისხისა, ანუ ეკლესიისა დედათ-დიაკნი აღესრულოს თჳნიერ ანდერძის, ანუ სჯულიერ მონაცვლისა, რომელი ენაცვალებოდეს მათ, განეკუთვნებიან მონაგებნი მათნი ზემოთქმულთაებრნი ეკლესიათა, რომელთა შინა კელნი დაესხნეს მათ“.

არაბულიდანაა ნასესხები ვაქილი, რაც დამცველს ნიშნავს. „...პატივი მათი დაცვულ იქმნების და ვაქილთაცა მოიყვანებენ“.

ჩვენ აქ მიმოვიხილეთ მარტივფუძიანი უაფიქსო წარმოების რამოდენიმე ტერმინი, რათა გარკვეული წარმოდგენა გვქონოდა ამ-ტიპის ტერმინებზე.

**აფიქსური წარმოება.** სიტყვაწარმოება ტერმინთა შექმნის წყაროა. არაა დარჩენილი სიტყვაწარმოებისა და სიტყვათა თხზვის არცერთი ნაცადი გზა საერთო ქართულისა, რომელიც არ გამოიყენებოდეს ტერმინოლოგიაში და, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით სისტემას და თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად იყენებს ყველა იმ (სემანტიკურ, მორფოლოგიურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ) საშუალებას, რომლითაც ივსება და ვითარდება საერთო სალიტერატურო ენა. იგი ამავე დროს შეიმუშავებს თავის საკუთარ სიტყვაწარმოებითს ქვესისტემას, დამოუკიდებელ წესებსა და მოდელებს, რომლებიც განასხვავებს მას სალიტერატურო საერთო ენისაგან.[5]

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად ქართულ ენას გამოყენებული აქვს პრეფიქსები და სუფიქსები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად. ტერმინთა წარმოქმნის დროს ვი-

5. რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, 1986, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეენებთ წარმოების პროდუქტიულობის პრინციპს, ე. ი. რომელი აფიქსებით წარმოებაა უფრო პროდუქტიული. წარმოქმნა სამი სახისაა: პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მე-ე პ რ ე ფ ი ქ ს-ს უ ფ ი ქ ს ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: მე+N+ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა. „დედაკაცმან, რომელმან დაუტეეოს ქმარი თჳსი, მ ე მ რ უ შ ე არის“. „ყოვლად მრთელი სამართალ არს ანდერძი გინა კოდიკისა გინა უწერელადნებებული ქურივთა... უცხოჲს მემამულედ დაფგინებისაჲცა და შემდგომ მემამულისა“.

მ ე-ე ლ მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ა ნ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი მ+V+ე ლ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა. ეს არის სასუბიექტო მიმდეობები. „(66) საფლავისა მ ა ძ რ ე ს ხ ვ ე ლ ი ათ წელ უზიარებელ იყოს“. „მოყუასნი — მ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ე ლ ნ ი... მისცემდედ თავსმდებთა“. „ხოლო ეგოს თუ ულმებოლობასა მას ზედა ანიკუთენ ვითარცა მ ა ვ ლ ე ლ ი ძმისა თჳსისაჲ“.

მ-ულ მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ა ნ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: მ+V+ულ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა. ნაკლები პროდუქტიულობით ხასიათდება, ამიტომ მხოლოდ ერთი მაგალითით შემოვიფარგლებით: „ოცდამეორე ნაწესება იტყჳს, ვითარმედ რომელნი მ ს ა ჯ ჳ ლ ი ს ა წარდგომით ცილისწ[illegible] ვითარ ჯეროვნითა მმიზეზობდნენ, ეპისკოპოსთა ოცდაათი ლიტრიანი ოქროჲსნი მისცენ“.

მ ო-ე პ რ ე ფ ი ქ ს-ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ტ ი პ ი ს ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: მ ო+N+ე და მ ო+V+ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ე ბ ი. „გრძნული... მ ო ს ი ს ხ ლ ე და მამის მკვლელი... დაისჯებიან“. ვითარმედ არარაჲ იპოების იპპონისა კრებისა შინა მ ო ქ ე ნ ე განმართლებისაჲ“. მოქენე — მთხოვნელს ნიშნავს (იპონიის კრების დადგენილებებს შორის არაფერს სჭირდება გასწორებაო, ე. ი. არაფერი მოითხოვს გასწორებასო). მოქენე — ქენება ზმნისგან არის ნაწარმოები, მიმდეობური ტიპის ტერმინია.

მ-ა რ ა ფ ი ქ ს ე ბ ი ნ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: მ+V+ა რ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა. „ეპისკოპოსმან და ხუცესმან... შემწიკულებულსა არა ნათელ სცეს, განიკუეთენ ვითარცა მ ო ქ ი ც ხ ა რ ი ჯუარისა“. „და დაღათუ სახელი სამღვდელოსსა დასისაგან განაჩინებენ ეგევითარსა მას და დაღათუ სახელი მღვდელობისა უწოდიან, არამედ მ ტ ყ უ ვ ა რ არს სიტყვა საქმისა მიერ“. „ესევითართა შესმენათა ზედა ნუმცა გამოძიების ნუმცა პირი შემასმენელისაჲ, ნუცა ვითარება სარწმუნოებისა, რამეთუ მაშინ ყოველთა სახითა თავისუფალყოფა უკმს სუნდისსა ეპისკოპოსისასა და მ ი მ ძ ლ ა ვ რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თჳსისა მჴუარისა“. მჴუარი — მომჩივანს ნიშნავს, ეს ტერმინი ნაწარმოებია ზმნა ჴუვილიდან, რაც წუხილს, მწუხარებას ნიშნავს.[6]

ს ა-ო პ რ ე ფ ი ქ ს-ს უ ფ ი ქ ს ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი: ს ა+N+ო კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა. „წინაალმდგომნი კანონთანი ს ა ე რ ო ნ ი ბჳობანი დაუმტკიცებელ არიან, 125“. „იჴმნას ს ა ე კ ლ ე ს ი ო ს ს ა მ ჯ ა ვ რ ო ჲ ს ა ს ა გ ან“. „ხოლო ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ჯულთა განწესება იტყვის“.

აქვე განვიხილავთ სა-ე, სი-ე, სა-ელ, სა-არ (სა-ალ), სა-ურ მაწარმოებლიან ტერმინებსაც, ეს ყველა ტერმინი მიმდეობური ტიპისაა, მხოლოდ საობიექტო. „თუ შესმენილ იქნეს ს ა ქ ძ ი ს ა რაჲსთჳმე, მოვიდეს და აღიაროს, „რამეთუ არ არს ჭალწულისა ცოდვა ს ა ს ი ქ ო ბ ი ნ ე“. „მოთმინებისა ს ა ბ ო ლ ო ბ ი ლ ე ს ა შინა კმა-ყოო“. „ფრიად სიფიცხით განაკანონოს ესევითარი ესე ს ი ვ ე რ ა ბ ე“. „კე (25) ეპისკოპოსსა აქუნდინ ქელმწიფება ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ეკლესიისათა“. „უკუეთე ბრალისა რაჲსთჳსმე იყო ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი და იყოს სამოქალაქო, ბიზანტიას შინანი მთავარნი განსჯიდედ“.

„სხვათა ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ თ ა თანაკელთა დაკუეთასა“.

„ხოლო რომელ[illegible] თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ს ა დაამტკიცებდენ, რაჲთა დაიკნეს ყოველი ს ა ც ი ლ ო ბ ე ლ ი“. თავი იზ (17) ვითარმედ არა ჯერ არს ორითა სასჯელითა დასჯაჲ ერთბაშად. „მამათა ს ა მ ა რ თ ა ლ ი განაჩინეს“.

ოდენ სუფიქსიანი ტერმინები: V+ულ, V+ილ მ ი მ დ ე ო ბ ი ს ტ ი პ ი ს ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი. „სიხარული იქმნების ცათაშინა ერთსა ც ო ნ დ ვ ი ლ ს ა, რომელმა შეინანოს, „თავი (1) საყდართათვის საეპისკოპოსთა და სამეუფოთა წესთამიერისა ქ მ ნ ი ლ ი ს ა განახლებისათვის“. „ნათლისღება, რომელი — იგი დასჯილთა მათ და განყრილთა მისცეს“. „შ ე ფ ო ბ ა ს ნ ი ლ ი ს ა რა სმე მიზეზისთჳს, შ ე ჩ ო ნ ე ნ ე ბ ულ იყავნ“. „ვინა თგან უკუე ჯერარს, ვითარცა სიძვისათჳს შ ე ს მ ე ნ ი ლ ს ა არა უღირდა სამღდელოსა დასსა შინა ყოფა“. „არცა დედაკაცისაგან ბ ა ნ ტ ე ვ ე ბ უ ლ ი ქმარი და არცა ქმრისაგან ბ ა ნ ტ ე ვ ე ბ ე ლ ი ცოლი შეეყოს სხუასა“. „კ (6) არა უკმს მონაზონთა, რაჲთა აქუნდეს რაჲმე ბ ა ნ თ ჳ ს ე ბ ე ლ ი“. „უკუეთე ვინმე მრავალთა ბრალთათჳს შეასმინოს მოყუასი ეკლესიისა და ვერ გამოაჩინოს პირველ მისთჳს თ ქ უ მ უ ლ ი იგი“.

---

6 ი. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამყო დროის საობიექტო მიმდლობებს მიეკუთვნება ნა პრეფიქსით და ნა-ევ-ა-ფუ-ვ-ა-ნ ნაწარმოები ტერმინები: ნა+V, ნა+V+ე კონსტრუქციები „და რამეთუ ცხად არს, ვითარმედ ნაკრავითა მოწყალულთათჳს მათვე მოსესთა დავიცავთ ჩუენცა განჩინებათა“. „დასჯილი მპარაგობისათჳს ანუ ნაპარევისა მეგობრობით და უპატიო იქმნების“.

N+ობა კონსტრუქცია: „რომლისთვისაც უკმდა მათ რიდობა“. „თავი (4) ვითარმედ არა ერთისა ეპისკოპოსისა, არამედ ზოგადობის მიერ დაისხმიან კანონები.“

V+ობა კონსტრუქცია. „მეძიებლობისა შინა არა ჯერ არს მათი მომკსენებლობა“.

V+ება კონსტრუქცია: „პირველად იქმენინ გამოწულილვით გამოძიება მუნ ყოფასა შემასმენლისასა“.

N+ება კონსტრუქცია: „ნიკიის კრების აღსარება სარწმუნოებისა“. „იჩინოს ჭეშმარიტება“. „ო (70) თუ რომელთა მოყუასთაგანთა უკმს განყენება მეუღლეთაგან“.

„დიდი სჯულის კანონის“ იურიდიული ტერმინოლოგია რთული სიტყვების ანუ კომპოზიტების მოდელთა მრავალგვარობით ხასიათდება, ძირითადად გვხვდება მსაზღვრელიანი კომპოზიტები. კომპოზიტთა შემადგენელ ნაწილებად ფიგურირებს სახელები, მიმდლობები, საწყისები, ზმნისსართები.

მართულ მსაზღვრელიანი კომპოზიტი — ტერმინები:

„თვალი ლგ (33) მათთჳს, რომელთა უწყოდინ ცოდვისმოქმედებაჲ“.

„წარეღებოდედ იგინი, ვერც თუ უამგრძელისა კელისწერილის წინააღმდგომობასა“. „ლგ (33) დედაკაცი, რომელი გზასა შინა მიუდგეს და უდებ ყოს მიდგომილებაჲ იგი, პატიუსა კაცის კვლისასა თანამდებ იყოს“. „ხოლო ადგილის — მცველთათვის მეტყუელი ნეარაჲ იტყჳს ვითარმედ უკუეთე დედაკაცი მრუშებისათვის დაისაჯოს“.

მართულ-უბრალოდამატებიანი ტერმინები:

„ტიმოთეს კანონი იდ.“ (14) „და სამოქალაქოჲცა სჯული სტანჯავს, ვითარცა სხჳსა მომკვლელსა, თავის მკლვესა ანუ კლვისა კელმყოფელსა.“ „განაახლა სჯული სჯულმდებელმან“.

შეთანხმებულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: „თავი იც (18) ცრუფიცათათჳს და რომელთა შინა ჯერ არ მფუცავთა არა მითუალგაჲ ფიცისა“.

ბ. გ. (83) ცუდსახელთათჳს სამარხვოთა წმიდისა მოწამეთაჲსა“. „რაჲთა არავინ მივიდეს ცუდმოწამეთა მიმართ მწვალებელთაჲსა“. „წერილი არა ხოლო აღძრვასა აყენებს მისსა პირველსა წყლვასა, არამედ ყოველსა ძვირისზრახვასა და გიობასა მოყუასისა“.

„დიდი სჯულის კანონში“ ძალიან პროდუქტიულია ზმნა-ტერმინების ხმარება პირიანი ფორმებით. ზმნები შედის პირობის შემცველ წინადადებებში და დგას კავშირებითის მწკრივებში, რომელიც მყოფადის გაგებას შეიცავს. ხშირია განაჩენის გამოტანის შემთხვევები და სწორედ აქ მოქმედების აღსანიშნავად ზმნა-ტერმინთა პირიანი ფორმებია გამოყენებული.

ტერმინებად გამოიყოფა სპეციალური სემანტიკის მქონე ზმნები. ზმნა-ტერმინები შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც საწყისის სახით, ასევე პირიანი ფორმითაც. ამიტომ მათ შესაბამისად ცალ-ცალკე განვიხილავთ.

პირიანი ფორმები ტერმინებად. „რაოდენნი და გიეთნი შესწამებენ ეპისკოპოსსა ანუ მოყუასსა“. 164. „ხოლო უკუეთუ იგიცა დახედულ იყოს, უკმს მას პირისაგან ყოვლისა კრებულისა სამთა, წესითა კელთ დასხმისა თუ უპირატესობისა მქონებელთა თანა გასამართლება. „სანკტიპოჲსსა ჰყონ განხილვაჲ საქმისა ჩემისაჲ“. „სხჳსა ეპისკოპოსისაგან განკდილი არა შეიწყენარეს სხუამან“. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან პროდუქტიულია „ყოფნა“ ზმნის (მეშველი ზმნის) დახმარებით ნაწარმოები ტერმინები: „რომელნიცა კანონებრივთა განპატიჟებათა თანამდებ იქმნეს“.

საწყისის ფორმები ტერმინებად: „კი (24) საქონელთა ეკლესიისათა კეთილად ცვაჲ და მარხვაჲ უკმს“. „იქმნა ზედამოსლვაჲ იგი ბარბაროზებრი“. გარდასულ არს დევნულებაჲ“ გ„ (6) გამოძიებისა და გამორჩევისათვის ეპისკოპოსთა სა“. „თავი (8) კელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსთა ქმნილისა ცილობისათვის“.

ცალკე განხილვის საგანია შესიტყვება — ტერმინები. „დიდი სჯულისკანონის“ მასალა ამ მხრივ მეტად მრავალფეროვანია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: „(ია) 11. ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო რომელმან იგი **უნებლიეთი კაცისკვლაჲ** ქმნა, კმა არს მისთვის ათერთმეტ წელ **ბანნ**ებულ ყოფაჲ". „უნებლიეთი კაცისკვლაჲ" ორი ელემენტისაგან შემდგარი შესიტყვებაა. პირველი მათგანი ნაწარმოებია (სიტყვა „ნება-სგან") და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით არის გაფორმებული, ხოლო მეორე კომპოზიტია, უნებლიეთი მსაზღვრელია კაცისკვლა — საზღვრული, ე. ი. შესიტყვება მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი და წყობა პრეპოზიციულია.

„არა დადგომა ბოროტთა ბჭობათა ზედა, ვინა ცა რომელმან **ბოროტისყოფისათვის** სხვისა ფიცი იკუმიოს, აღტაცებით დაუმჭირვებლობისათვის უკუე ფიცისა სინანული აჩუენოს". „ბოროტის — ყოფა" — კომპოზიტია, რაც შეეხება ბოროტთა ბჭობათ — დღევანდელი ბოროტი განზრახვის შესატყვისია. შესიტყვება წარმოდგენილია ზედსართავი სახელითა და საწყისით, რომლებიც შეთანხმებულ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს ქმნიან.

„კლ (130) რაჲთა რომელმან ერთისა **ბრალისა გამოჩინება** ვერ უძლოს სხვასათჳს არღარა შეწყნარებულ იქმნეს". აქაც ორსიტყვიანი შესიტყვება გვაქვს. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი და მართული საწყისი. „ბრალისა გამოჩინება" შეესაბამება დღევანდელ დანაშაულის დამტკიცებას.

„რამეთუ უკუეთუ **უფერელთა წესთა**, ვითარცა არა დიდისა ძალისა მჭონებელთა და სნად კელ ვყოთ, საწყალობლად გიზღვინეთ თავი მის სახარებისაგან". შესიტყვება „უწერელთა წესთა" შედგება მიმღეობისა და სახელისაგან, აქაც მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს. „უწერელი წესი" დაუწერელი კანონის შესატყვისია.

„აიძულეს ძმათა და **მიზეზ იძულებისა** იქმნეს". „მიზეზ იძულებისა" შედგება სახელისა და საწყისისაგან. აქაც გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული, თუმცა უკვე პოსტპოზიციური წყობით. შესიტყვების შინაარსი ნათელია.

„ხოლო მართლობისათჳს ფიცთაჲსა აღმწერელი ასდამეოცე ნეარაჲ მისცემს ნებიერობასა შიგან ოთხთა თთუეთაჲსა **გამომეძიებლობად** ესე იგი არს **მამხილებლობად ტყუილისა მფიცებლისა**". აქ სამსიტყვიანი შესიტყვება გვაქვს, სადაც „ტყუილისა მფიცებლობა" მსაზღვრელია საწყისი „მამხილებლობისათვის". წყობა პოსტპოზიციურია, ხოლო რაც შეეხება თვით შესიტყვების „ქვეშესიტყვებას" — ტყუილისა მფიცებლობა მსაზღვრულია პრეპოზიციული წყობით, სადაც ტყუილი შემდგომში გასუბსტანტივებული მიმღეობაა, ხოლო მტაცებლობა — საწყისი. მთლიანად შესიტყვების შინაარსზე აღარ შევჩერდებით, რადგანაც ეს უკანასკნელი საკმაოდ გამჭვირვალეა.

როგორც სხვა ტიპის ტერმინების, ასევე შესიტყვება-ტერმინთა განხილვის დროს ჩვენ დავკმაყოფილდით მცირერიცხოვანი მაგალითებით, რადგან წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ წარმოგვედგინა მხოლოდ ზოგადი სურათი „დიდი სჯულისკანონის" იურიდიულ ტერმინოლოგიის სისტემისა. ამ სისტემის ქვესისტემების ამომწურავი ანალიზი სხვა დროისათვის გადავდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ ციფრები

**1989 წლის** პირველ კვარტალში სსრ კავშირში რეგისტრირებულია 509003 დანაშაული, რაც 121 ათასით, ანუ 31,2 პროცენტით მეტია, ვიდრე 1988 წელს. დანაშაულის ზრდა პრაქტიკულად აღინიშნება ქვეყნის ყველა რეგიონში.

რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რიცხვი და დინამიკა ასე გამოიყურება:

| მოკავშირე რესპუბლიკები | ზრდის ტემპი 1988 წლისთვის პროც. | სულ რეგისტრირებულია |
|---|---|---|
| ესტონეთის სსრ | 87,9 | 3787 |
| ლიტვის სსრ | 66,3 | 7151 |
| სომხეთის სსრ | 58,1 | 2148 |
| მოლდავეთის სსრ | 47,7 | 9048 |
| ყირგიზეთის სსრ | 47,3 | 5437 |
| ბელორუსიის სსრ | 39,6 | 13759 |
| თურქმენეთის სსრ | 37,7 | 4161 |
| ყაზახეთის სსრ | 32,5 | 28146 |
| უკრაინის სსრ | 31,2 | 66598 |
| რსფსრ | 30,4 | 328981 |
| აზერბაიჯანის სსრ | 25,9 | 3997 |
| ლატვიის სსრ | 22,6 | 5950 |
| უზბეკეთის სსრ | 21,8 | 19037 |
| ტაჯიკეთის სსრ | 19,3 | 3858 |
| საქართველოს სსრ | 7,5 | 4225 |

რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რიცხვში მძიმე დანაშაულის ხვედრითი წილი 15,5 პროცენტიდან 16,6 პროცენტამდე გაიზარდა.

კვლავინდებურად მკვლელობები და სხეულის მძიმე დაზიანებათა 70 პროცენტი ჩადენილია არაფხიზელ მდგომარეობაში. როგორც ვხედავთ, ლოთობა, სამწუხაროდ, პოზიციებს არ თმობს. აღინიშნება განზრახ დანაშაულობათა ზრდაც.

აქ ასეთი მონაცემებია:

| მოკავშირე რესპუბლიკები | ზრდის ტემპი 1988 წლისთვის პროც. | სულ რეგისტრირებულია |
|---|---|---|
| ლიტვის სსრ | 194,2 | 612 |
| ესტონეთის სსრ | 189,6 | 669 |
| ბელორუსიის სსრ | 126,7 | 1594 |
| ყაზახეთის სსრ | 111,5 | 3025 |
| თურქმენეთის სსრ | 96,9 | 577 |
| მოლდავეთის სსრ | 94,7 | 1797 |
| ყირგიზეთის სსრ | 87,7 | 901 |
| ტაჯიკეთის სსრ | 84,7 | 375 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| რსფსრ | 81,1 | 37739 |
| უზბეკეთის სსრ | 63,2 | 2299 |
| ლატვიის სსრ | 61,7 | 1342 |
| უკრაინის სსრ | 59,7 | 4643 |
| აზერბაიჯანის სსრ | 30,8 | 170 |
| სომხეთის სსრ | 23,2 | 122 |
| საქართველოს სსრ | — 0,9 | 112 |

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობანი ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| სომხეთის სსრ | 188,2 | 49 |
| ბელორუსიის სსრ | 66,4 | 1113 |
| ლიტვის სსრ | 56,3 | 530 |
| საქართველოს სსრ | 51,9 | 123 |
| ყაზახეთის სსრ | 43,9 | 1708 |
| მოლდავეთის სსრ | 40,3 | 574 |
| უზბეკეთის სსრ | 34,5 | 757 |
| უკრაინის სსრ | 28,2 | 4502 |
| ესტონეთის სსრ | 25,0 | 455 |
| აზერბაიჯანის სსრ | 22,2 | 88 |
| თურქმენეთის სსრ | 20,7 | 204 |
| რსფსრ | 20,4 | 30791 |
| ტაჯიკეთის სსრ | 12,3 | 192 |
| ყირგიზეთის სსრ | 12,5 | 230 |
| ლატვიის სსრ | —28,8 | 641 |

---

## ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

# მებაღეობის ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი

**გიორგი ზონია,**
**საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი**

**კოლექტიურმა** მებაღეობამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მშრომელთა შორის, ბაღის ნაკვეთებსა და ბოსტნებზე მოთხოვნა დღენიადაგ მატულობს, მებაღეთა რიცხვი სასიკეთოდ იზრდება. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ვალდებულნი არიან ცხოვრებაში დანერგონ და განახორციელონ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების შესახებ მიღებული დადგენილებები და ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები მიიჩნიონ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკურ და პოლიტიკურ ამოცანად. კოლექტიური მებაღეობის მიზანი-მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მათი უზრუნველყოფა იაფი და ხარისხიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილადაა მიჩნეული, რომ გაუქმდეს დაუსაბუთებელი შეზღუდვები და დაბრკოლებანი ამ საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის კოლექტიური მებაღეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 16 აგვისტოს დადგენილებაში. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიური მებაღეობის შესახებ არსებული ნორმატიული აქტების განმარტებას, მოსახლეობისათვის მათი უფლებრივი საკითხების გარკვევას.

მებაღეობის ამხანაგობის მოწყობა-ორგანიზაციის, მისი ამოცანების, ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობის და სხვა საკითხების გადაწყვეტის ძირითადი ნორმატიული აქტია ამჟამად მოქმედი „მებაღეობის ამხანაგობის ტიპობრივი წესდება“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1886 წლის 14 ნოემბრის № 709 დადგენილებით. ამ ტიპობრივი წესდებიდან გამომდინარე მებაღეობის ამხანაგობის წევრთა საერთო კრება იღებს თავის წესდებას, რაც ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით მტკიცდება და რეგისტრაციაში ტარდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს მებაღეობის ამხანაგობა იურიდიული პირის უფლებას.

ტიპობრივი წესდების საფუძველზე მებაღეობის ამხანაგობა იქმნება საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან იმ პირობით თუ ამხანაგობაში წევრად შესვლის მსურველთა რაოდენობა 30 პირზე ნაკლები არ არის. იმ შემთხვევაში, თუ მსურველთა რაოდენობა ოცდაათზე ნაკლებია, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით იგი დაიშვება ერთ-ერთ იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, სადაც ყველაზე მეტია ამ ამხანაგობაში შემსვლელთა მსურველი.

მებაღეობის ამხანაგობის ძირითადი ამოცანაა ამხანაგობის წევრთა მიერ ხილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება მშრომელებისა და მათი ოჯახებისათვის, თავისუფალი დროის კულტურულად გატარება, ჯანმრთელობის განმტკიცება, მოზარდთა შრომითი აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა.

მებაღეობის ამხანაგობის წევრობა არ შეიძლება გამოყენებული იყოს გამორჩენისა და ანგარების მიზნით საგარაკო სახლის ასაშენებლად.

მებაღეობის ამხანაგობას უფლება აქვს ტიპობრივი პროექტებით ააშენოს ხილბოსტნეულის საცავები, კოლექტიური სადგომი პირადი ტრანსპორტისთვის და საერთო სარგებლობის სხვა შენობა-ნაგებობანი. სადირექტივო ორგანოების დადგენილებით ამხანაგობების განაშენიანებაზე მოიხსნა ზოგიერთი შეზღუდვები. მოიმატა საბაღე სახლის ფართობმა, განაშენიანების ახალი ნორმებით ამხანაგობის წევრს უფლება აქვს გამოყოფილი მიწის ნაკვეთზე ააშენოს 50 კვადრატული მეტრი ფართობის საბაღე სახლი.

კოლექტიურ ბაღში ყველა სამუშაო სრულდება მხოლოდ მებაღეობის ან მათი ოჯახის წევრთა პირადი შრომით, გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესრულება სპეციალისტების მოწვევას მოითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპობრივი წესდებით განსაზღვრულია მებაღეობის ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიიღებიან მხოლოდ იმ საწარმოთა მუშაკები, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა და ის პენსიონერები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ ამ საწარმო-დაწესებულებაში. ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა ეძლევათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს, შრომის ვეტერანებს, დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, დადგენილი წესით შეღავათების მხრივ მათთან გათანაბრებულ პირებს და ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, მებაღეობის ამხანაგობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამხანაგობაში შესვლის უპირატესი უფლება ეძლევა გარდაცვლილის ერთ-ერთ მემკვიდრეს.

მებაღეობის ამხანაგობის წევრად არ მიიღებიან მოქალაქენი, თუ მათ, მათი ოჯახის წევრებს სარგებლობაში აქვთ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, პირადი საკუთრების აგარაკები ან სარგებლობენ სახელმწიფო აგარაკებით, სამსახურებრივი მიწის ნაკვეთებით, აგრეთვე არიან სააგარაკო სამშენებლო კოოპერატივის წევრები ან სხვა მებაღეობის ამხანაგობის წევრები.

მებაღეობის ამხანაგობის წევრებს მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით. საერთო კრების გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრებს შეუძლიათ ეს ნაკვეთები გამიჯნონ ნატურაში ღობით ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად.

მებაღეობის ამხანაგობის წევრებს მიწის ნაკვეთები გამოეყოფათ 400 კვადრატულ მეტრიდან 600 კვადრატულ მეტრამდე ფარგლებში.

ტიპობრივი წესდების მე-19 პუნქტი ითვალისწინებს მებაღეობის წევრთა უფლებებს, რაც კერძოდ გამოიხატება იმაში, რომ ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებებზე, გამგეობის სხდომებზე გამოტანილი საკითხების განხილვაში, შეიტანოს წინადადებანი ამხანაგობის მუშაობის გასაუმჯობესებლად, აირჩიოს და არჩეულ იქნეს გამგეობასა და სარევიზიო კომისიაში, მიიღოს კრედიტი საბაღე სახლის შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთის კეთილმოსაწყობად, ნებაყოფლობით გავიდეს მებაღეობის ამხანაგობიდან და სხვა.

ამავე წესდების მეოცე პუნქტი ამხანაგობის წევრს ავალებს, რომ შეასრულოს კოლექტიური მებაღეობის კანონმდებლობისა და მებაღეობის ამხანაგობის წესდების მოთხოვნები, ამხანაგობის წევრთა და საერთო კრებების, გამგეობის გადაწყვეტილებანი. მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი გამოიყენოს რაციონალურად და მაღალეფექტიურად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური სამუშაოების ჩატარებაში, დროულად გადაიხადოს შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანები საერთო კრების მიერ დაწესებული ოდენობით და ვადებში.

ტიპობრივი წესდება (პუნქტი 22-ე) ადგენს აგრეთვე იმას თუ რა უბრუნდება ამხანაგობის წევრს მებაღეობის ამხანაგობიდან გასვლის (გარიცხვის) დროს.

მებაღეობის ამხანაგობას აქვს სახსრები, რაც იქმნება შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანებისაგან. შესასვლელი შესატანები იხარჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგობის ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად, საწევრო და მიზნობრივი შესატანები კი ამხანაგობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

მებაღეობის ამხანაგობის მართვის ორგანოებია ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, ხოლო კრებებს შორის პერიოდში — ამხანაგობის გამგეობა.

საერთო კრება ირჩევს ამხანაგობის გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

საერთო კრება იხილავს მებაღეობის ამხანაგობის მართვის მნიშვნელოვან საკითხებს. ესენია: ამხანაგობის წესდებისა და შინაგანაწესის მიღება, ამხანაგობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა, შესასვლელი, საწევრო და მიზნობრივი შესატანების ოდენობის განსაზღვრა, მათი გადახდის ვადები და სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ მუშაობასთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 22 იანვრის დებულებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის შესახებ“ დადგენილია მიწის ნაკვეთების შერჩევის, გამოყოფისა და ამხანაგობაზე გადაცემის წესი.

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევას ახორციელებს რაიონული კომისია, რომლის თავმჯდომარეა შესაბამისი სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ხოლო კომისიის შემადგენლობაში შედიან აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და სხვა დაინტერესებული საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მიწის ნაკვეთების შერჩევისას კომისია ადგილზე ახდენს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის შესარჩევი ფართობების დათვალიერებას და შერჩეული მიწის ნაკვეთების საზღვრები აღინიშნება შესაბამისი მეურნეობის მიწათსარგებლობის გეგმაზე. თითოეული მიწათმოსარგებლის გათვალისწინებით შედგენილ კომისიის აქტში აღინიშნება მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელი, მისი სიდიდე, სავარგულების შემადგენლობა, ნიადაგობრივი პირობები და სხვა.

მიწის ნაკვეთების შერჩევის აქტს თან უნდა დაერთოს მიწის მფლობელთა (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა) ხელმძღვანელის თანხმობა დასკვნის სახით. ამის შემდეგ ხდება კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთების გამიჯვნა ადგილზე.

დამტკიცებული სქემის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი ერთი თვის ვადაში განცხადების შემოტანის დღიდან გამოუყოფს სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთებს კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიმართლეს მივყვეთ, ძმობილნო...“

## სამართლიანობა და უსამართლობა ხალხური ლექსებისა და ანდაზების მიხედვით

**გიორგი შეთეკაური,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**

**საუკუნეთა** მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემუშავებული და ჩამოყალიბებული სიმართლის, სამართლისა და სამართლიანობის ეთიკური ნორმები და კრიტერიუმები თანდათანობით სულ უფრო გამოკვეთილ ხასიათს ღებულობდა და იგი ადამიანთა ქცევის სავალდებულო ელემენტარულ წესებსა თუ მათ შორის მრავალფეროვან სოციალურ ურთიერთობათა ძირითად საფუძვლებს განსაზღვრავდა და აწესრიგებდა.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ არის მითითებული, სამართლიანობა ქრონოლოგიურად ის უპირველესი დადებითი ზნეობრივი ფენომენია, რომელიც ჯერ კიდევ თემურ-გვაროვნული წყობილების წიაღში წარმოიშვა, ხოლო შემდეგ ამ ჯანსაღი მორალური ღირებულებიდან აღმოცენდა სხვა ტიპის პოზიტიური ზნეობრივი გამოვლინებანიც.

ამრიგად, სამართლიანობის გრძნობა არის შეგნებული კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების ისტორიაში „პირველი სათნოება“, ხოლო ამის პარალელურად სამართლიანობის საპირისპირო ფსიქიკური თვისება — უსამართლობა — ადამიანთა მოდგმის „პირველი მანკიერება და ბოროტება“...

როგორც სამართლიანობის, ისე უსამართლობის ცალკეული ნაირსახეობანი და მათი შესაბამისი იურიდიული შეფასებანი ფართო მასშტაბით აისახა ხალხური ზეპირი ადათობრივი სამართლის ნორმებში, წერილობითი ფორმის სახელმწიფო საკანონმდებლო კრებულებში, რელიგიური შინაარსის საღვთისმეტყველო წიგნებში და. შ.

სამართლიანობისა და უსამართლობის გარკვეულმა ასპექტებმა და ტენდენციებმა ხანგრძლივი პრაქტიკული ცხოვრებისეული დაკვირვებისა და გამოცდილების სათანადო მხატვრული განსჯისა და განზოგადების შედეგად მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ფოლკლორულ ნიმუშებშიც. ამ კატეგორიის ნაწარმოებთა რეპერტუარიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ხალხური ლექსები და ანდაზები, სადაც აღნიშნულ სათნოებასა და მანკიერებას საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი აქვს განკუთვნილი.

* * *

ხალხურ პოეტურ ქმნილებათა შორის, საკუთრივ ხალხურ ლექსში „მთიულის მოთქმა“, ავტორი სიმართლეს და სამართლიანობას, როგორც დადებით თვისებას, ცხოვრების მთავარ ორიენტირად წარმოაჩენს. ამ ორიენტირის მიხედვით ყველამ თავისი სინდისის მიმართულების სიზუსტე უნდა შეამოწმოს. ამ ორიენტირით ნაკარნახევი გეზიდან ოდნავი გადახრა-გადახვევაც კი ადამიანური საწუთროს ძირითადი ჯანსაღი ხაზის მიუტევებლად გამრუდებას მოასწავებს. ამიტომაც მთქმელი თანატომელებს მხოლოდ სიმართლის ერთგულებისაკენ მოუწოდებს:

**მთას მთობა აღარ სწადიან,**
**აღარც თუ ბარსა ბარობა,**
**სიმართლეს მივყვეთ, ძმობილნო,**
**მასში ვეძიოთ წყალობა.**

ფოლკლორული პოეზიის სხვა ნიმუშშიც ასეთივე დიდაქტიკური შეგონება გაისმის, — აქაც სიმართლისათვის თვალის გასწორება, მის უმთავრეს ცხოვრებისეულ დევიზად დასახვა წინა პლანზე არის წამოწეული. ეს მომენტი ადამიანის სიცოცხლის პირველი რიგის საპატიო ამოცანად მოიხსენიება:

**კაცი სანამ ცოცხალია,**
**ნამუსს მისდიოს მუდამ,**
**მოკვდების, თანა ჩაჰყვების**
**ხუთიოდ ადლი სუდარა.**

აქ ნამუსი გარკვეულწილად სიმართლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებასაც შეიცავს. იგი ადამიანს მთელი არსებობის მანძილზე ანთებული ლამპარივით წინ უნდა მიუძღოდეს და მას გასავლელი საწუთროს გზას უცისკროვნებდეს.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება დამოძღვრებითი ფუნქციის ერთ-ერთ ხალხურ წყობილსიტყვიერ ნაწარმოებშიც, — მასში მოცემულ ადამიანის სულიერ ღირსებათა ნუსხაში სანაქებო ზნეობრივ ნორმად ისევ და ისევ სიმართლე აქცენტირდება. ოღონდ აქ მას სინონიმური ცნება სისწორე ეწოდება:

**კაცი ფასდება ცოდნითა,**
**პატიოსნებით, ზრდილობით,**
**პირდაპირობით, სისწორით,**
**მოყვრისთვის გულახდილობით.**

გალექსების ჟანრის ტექსტშიც კონკრეტული ადრესატის ადამიანური კეთილშობილების უზენაეს გვირგვინად სიმართლისმოყვარეობაა წარმოდგენილი:

**არ სტყუი, ციხკარაულო,**
**სრუ მუდამ სამართლიანო.**

ასე მიმართავს ხალხური მთქმელი პიროვნებას, რომელსაც ციტირებული სალექსო ტაეპები ეძღვნება. ამ მიმართვას აქვს არა მარტო კერძო ეპიზოდური მნიშვნელობა, არამედ საერთო განმაზოგადებელი დანიშნულებაც, — სამართლიანობის გრძნობით აღჭურვილი ჭაბუკი თავისი სწორედ ამ დადებითი ზნეობრივი მაგალითის ძალით სხვებისთვისაც ამ მხრივ მისაბაძ ინდივიდად ითვლება.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ხალხური პოეზიის საგანძურში განსაზღვრული რაოდენობით გვხვდება სამართლიანობის საწინააღმდეგო მოვლენის — უსამართლობის ამსახველი ქმნილებებიც. აქ სერიოზულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ ორიენტაციის ლექსების უმეტესობაში უსამართლობა საერთოდ წუთისოფელს, საწუთროს, ამქვეყნიურ ცხოვრებას მიეწერება, რომ თვითონ მთლიანად ეს ცხოვრებაა უსამართლო და მისი ამ უსამართლობის სუსხი ბევრ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებს.

პოეტურ ნაწარმოებში, რომელიც თავისებური ხალხური „სოფლის სამდურავის“ ლექსთა ციკლს განეკუთვნება, ავტორი სახელდობრ „უმართლო წუთისოფელს“ ულმობელ წყევლა-კრულვას უგზავნის, რამეთუ იგი ფლიდია, მუხთალი, გაუტანელი და „სააქაოს მგზავრებს“ სიტკბოს მაგიერ სიმწარეს აგემებს, დიახაც თავისი დაუნდობლობისა და უსამართლობის მეოხებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მავანი ადამიანის არსებობა ერთი გაბმული წამებაა, უსამართლობის საშინელი ხანგრძლივი, ტანჯვის მრავლმოქმედებიანი ტრაგედიაა და მისი არსებობის დასასრულიც თვით ამ ტრაგედიის გულდასაწყვეტ ფინალად აღიქმება. ყოველივე ამაში კი ბრალი კვლავ და კვლავ „უმართლო წუთისოფელს“ მიუძღვის:

**ბევრს უსამართლოდ უჭრება**
**სიცოცხლე ქვეყანაზედა,**
**უმართლო წუთისოფელო,**
**მინდა დაიქცე წამზედა,**
**თუ კიდევ ხელს ვის შეუშლი**
**ცხოვრების სწორე გზაზედა.**

ანალოგიურ მოვლენას — სამართლიანობის კონტრასტული ფენომენის — უსამართლობის უარყოფით დახასიათებას, მის სასტიკ გმობა-გაკიცხვას სხვა ფოლკლორულ პოეტურ ნიმუშებშიც ვხვდებით. ეს მომენტი აიხსნება უპირატესად იმით, რომ კლასობრივი საზოგადოების პირობებში სოციალური უთანასწორობა, მდიდართა და ღარიბთა, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა კონფლიქტური ურთიერთობა ნიადაგ ბადებდა უსამართლობის, უკანონობის, ძალმომრეობის უმწვავეს ფაქტებს, რაც ექსპლოატატორული ფენების მხრივ მომდინარეობდა...

უსამართლობის, უკანონობის ჩამდენ მჩაგვრელ კლასზე ხალხურ ლექსებში ხშირ შემთხვევაში კონკრეტულად ლაპარაკი არ არის, და აქ, ვიმეორებ, ძირითადი ასპარეზი ამქვეყნიური ცხოვრების, ავბედითი საწუთროს მისამართით გამოთქმულ ზოგადი ხასიათის საყვედურს ეთმობა. ეს საყვედური კი არცთუ იშვიათად ყველაზე მკვახედ ნათქვამ სიტყვებში და ფრაზებში გამოიხატება, რაც თავის ლოგიკურ განსახიერებას საანალიზო პოეტურ ნაწარმოებებში პოულობს. ამ ლექსების შემოქმედი ყოველთვის ჩივის, ყოველთვის ვერაგ და მზაკვრულ წუთისოფელს ემდურის, იგი არასოდეს ჟამის „უშუალო შეგრძნებით“ კმაყოფილი არ არის, მას მთელი სამყაროს უზარმაზარი მოდელი მარტოოდენ უსამართლობის საწყისებზე დაფუძნებულ მკაცრ, დამთრგუნველ რეალობად ეჩვენება. ასეთ ხალხურ წყობილსიტყვიერ ნიმუშთა დიდი უმრავლესობა „უქონელთა და უპოვართა“ მსოფლმხედველობას გამოხატავს, იმ დამონებულ-დაბეჩავებულ „სოფლის მდგმურთა“ პესიმისტურ განწყობილებას, ვის მხრებზეც გადადის საწუთრო, მისი უშველებელი ტვირთის გაუსაძლისი სიმძიმე და შეჭირვება:

**ჭკვიან კაცს უთქვამს: სოფელი**
**გაუტანელი არიო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუდამ უკუღმა იღება**
**მისი სამართლის კარიო.**

და რადგანაც „სოფლის (ე. ი. საწუთროს) სამართლის კარი“ უკუღმა იღება, აქედან ბუნებრივია თვით „ამ ქვეყნად მოვლენილთა“ მუდმივი გულისწყომა და პროტესტი, ეჭვი და სკეპტიციზმი სამზეოს უსამართლობის გამო.

„სამართლის უკუღმაკარიანი“ წუთისოფლის უსასტიკესი უდიერებითა და უხამსობით გამოწვეული სულიერი აგანგაშება და აფორიაქება თავის ზღვარს აღწევს ექვსტაეპიან პოეტურ მინიატურაში, სადაც ბედდანავსული ადამიანის მოთქმა-გოდება ექსპრესიულად, მაღალოსტატურად არის გადმოცემული:

**წუთისოფელმა ჩემი დღე**
**ძირმწარა დამალევინა,**
**მატირა ცხარის ცრემლითა,**
**ზღვისთვისაც შამარევინა,**
**არც მომკლა, არც დამარჩინა,**
**არც სული დამალევინა.**

ამ ციკლის ამა თუ იმ ლექსში წუთისოფლის ზოგადი სამდურავი კონკრეტულ იერს ღებულობს და იგი ორ მოპირდაპირე პოლუსს მოიცავს. ერთ პოლუსზე „თავის ბედით კმაყოფილი“ ადამიანები — მდიდრები არიან, საწინააღმდეგო პოლუსზე კი — ღარიბ-ღატაკები, უფლებაშელახული ინდივიდები, რომლებმაც ამ ცხოვრების სიავე ზომაზე მეტად იწვნიეს:

**სოფელო მიეთ-მოეთო,**
**საბრუნავისა მახეო,**
**ზოგსა ცათამდის აიყვან,**
**ზოგსა უკუღმა დახეო!**

სხვა მაგალითი:

**წუთის წუთია ქვეყანა,**
**წუთის წეობით იწვება,**
**ზოგი ლხინსაა, თამაშას,**
**ზოგი უცეცხლოდ იწვება.**

მართალია, აქაც ხალხურ მთქმელთა ბოღმა, გულისჯავრი და განრისხება „უსამართლო წუთისოფლის“ ყრუ კედლებს ეხეთქება, მის განქიქებას ლამობს, მაგრამ აქ წუთისოფელში თვით რეალური სინამდვილე, ცხოვრების სოციალური უკუღმართობა შეიცნობა და იგულისხმება. ამის შესაბამისად, დავრდომილთა და მაშვრალთა დათრგუნვა-შევიწროების თვალსაზრისით თავის თავად წუთისოფელი კი არ არის დამნაშავე, არამედ საკუთრივ „წუთისოფლის სტუმრების“ ერთი ნაწილი, — მჩაგვრელნი, რომლებიც უგულებელყოფენ რა სიმართლის, სამართლისა და სამართლიანობის მინიმალურ მოთხოვნილებებს, ისინი ძალის, იძულების მეთოდებს მიმართავენ და მშრომელ ადამიანთა მოქალაქეობრივ უფლებებსა და კანონიერ სასიცოცხლო ინტერესებს ურცხვად და უტიფრად ფეხქვეშ თელავენ.

ზედაფენის ასეთი უსამართლო ვაი-ინდივიდია შერცხვენილ-გამომზეურებული შაირის ტიპის ერთსტროფიან ლექსში და იქვე გამოთქმულია მტკიცე იმედი, რომ უსამართლობის მოქმედს ბოლოს მაინც საკადრისი მიეზღვება:

**კაცს კაცის უსამართლობა**
**იცოდე, რომ არ შერჩება,**
**რაც კარგი სახლი ააგოს,**
**დაუწველი არ დარჩება.**

ასეთივე სტრუქტურის პოეტურ ნაწარმოებში ანალოგიური ბრალდება თუ გაფრთხილება მოსამართლის მისამართითაც არის გამოთქმული:

**კარგი ლუდი გაგვიფუჭდა**
**და ვეღარ იქმს ლუდობასა,**
**თუ რომ მოსამართლე გქვიან**
**ნუ ეწევი მრუდობასა.**

ხალხური მთქმელის აზრით, სიმართლისა და სამართლიანობისადმი ერთგულება თვით ღვთის კულტის მსახურსაც მოეთხოვება, თორემ თუკი იგი ამ წმიდათა-წმიდა პრინციპს შებღალავს, მაშინ ეს უკეთური საქციელი მის მომავალ თაობათა რეპუტაციასაც „შთამომავლობითი ინერციით“ ეღირს ლაქად წაეცხება და მათ მორალურად ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს:

**ეგრე არა ჰქნა ბუცესო,**
**საქმე არა ჰქნა უწესო,**
**თორემ ეგ შენი ნაქნარი**
**შენს შვილიშვილსაც უწევსო.**

იმავე მთქმელის სიტყვებით აქ კიდევ ერთი გამოუსწორებელი უბედურება ისიც არის, რომ უსამართლო პიროვნებას სიკვდილის შემდეგ თვით საფლავიც კი არ იკარებს:

**წესი ასეა — ცხოვრება**
**მოძრაობს როგორც მანქანა,**
**იმას არც მიწა ღებულობს, —**
**ვინც მრუდე გზაზე დამდგარა.**

ხალხის რელიგიური რწმენით, მართალი და უსამართლო პიროვნებათა განსხვავებული განსჯა-შეფასება საიქიოშიც წარმოებს. აქ როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ სხვადასხვა ზნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობრივი კრიტერიუმია გამოყენებული: — როდესაც განკითხვის ჟამი დადგება, მართალი ადამიანი სამოთხის ედემ-ბაღში ხვდება, ხოლო „უმართლო“ ჯოჯოხეთის სატანჯველს იზიარებს. საიქიოს შესავალი ორი სხვადასხვა კატეგორიის ადამიანს — მართალსა და უსამართლოს, უცოდველსა და ცოდვილს სხვადასხვა მართლმსაჯულებით ხვედრს არგუნებს. ქვემოთ დამოწმებული სალექსო ფრაგმენტის თანახმად საიქიოს კარების გავლით —

**...ერთი რამ კუპრის ტბა არის**
**აქედან მისავალშია,**
**ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძევს,**
**ვინ გადაზომავს თვალშია,**
**მართალნი მარდად გადიან**
**და მკვიდრდებიან ბაღშია,**
**ცოდვილნი ძირსა ცვივიან,**
**იღუპებიან ტბაშია.**

ფოლკლორულ პოეზიაში მოცემული ორივე კონტრასტული მოვლენის — სამართლიანობისა და უსამართლობის ასახვისას ხალხური მთქმელი, ცხადია უპირატესობას სამართლიანობას ანიჭებს, ხოლო უსამართლობის წინააღმდეგ მთელი პირდაპირობით ილაშქრებს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ყველა ის საილუსტრაციო მასალა, რომელიც არგუმენტების სახით აქ მოვიტანეთ და სათანადო პოზიციიდან განვიხილეთ.

* * *

ფოლკლორში სიმართლის თემაზე აგებული უამრავი ანდაზა მოიპოვება, რომლებშიც აღნიშნული სათნოება უზენაეს ადამიანურ ღირსებად არის მიჩნეული. აქ სიმართლე უმეტეს შემთხვევაში არის ის საიმედო, ობიექტური და მიუკერძოებელი მსაჯული, რომლის მოსყიდვა არასგზით არ ხერხდება და იგი სოციალური ცხოვრების ნაირგვარ ნიუანსებს ჯანსაღ ნიადაგზე არეგულირებს. მის სიმტკიცესა და ურყევობაზე ბევრადაა დამოკიდებული თვით საზოგადოების გონივრულ, ჰარმონიულ ატმოსფეროში არსებობაც. ამიტომაცაა, რომ გარკვეული შინაარსის ანდაზაში ლაკონურად, ღრმა სიბრძნისეული ჭეშმარიტების ღაღადისით ხაზგასმითაა მითითებული სიმართლის უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობა: **სიმართლე სინათლეაო.**

ერთ-ერთ ანადაზაში სიმართლის უძლეველობა და ყოვლისშემძლეობა მჭევრმეტყველური მეტაფორით არის დემონსტრირებული: **სიმართლის წინ მთებიც კი თავს მოიხრიანო.**

სხვა ანდაზის მიხედვით კი ადამიანს მკაცრი ვანდალური ფიზიკური დასახიჩრებაც კი იოლად შეუძლია გადაიტანოს, უკეთუ ეს სასჯელი აბსოლუტურად დასაბუთებული სიმართლის შინაარსიდან გამომდინარეობს: **სიმართლით მოკრილი ხელი არ მეტკინებაო.**

ქვემოთ მოტანილი ანდაზის თანახმად სიმართლე და კანონი ტოლფასოვან ცნებებს წარმოადგენს, — ორივე ერთ მთლიანობად აღიქმება და ამით მათი დანიშნულება კიდევ უფრო იზრდება: **სიმართლე და კანონი ძმებიაო.**

დაბოლოს, სიმართლეს სასწაულის მოხდენაც კი ძალუძს: **სიმართლე მკვდარს გააცოცხლებსო.**

მაგრამ დიდი ხნის საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, უთანასწორო სოციალურ საფუძვლებზე დამყარებულმა ანტაგონისტური საზოგადოების შინაგანმა სტრუქტურამ, ანდა სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხების ხშირად ომის საშუალებით გადაწყვეტამ, რასაც შედეგად ბევრი უსამართლობა მოსდევდა, ადამიანები დაარწმუნა იმაში, რომ სიმართლის უძლეველობა და ყოვლისშემძლეობა ხანდახან შეფარდებით ხასიათს ატარებს და ზოგჯერ დგება მომენტი, როდესაც სიმართლეს ძალა ამარცხებს: **მოვიდა ძალაო, სიმართლე დაიცალაო.**

არსებობს ამ ანდაზის გავრცობილი ვარიანტები, სადაც ძირითადი ტექსტის ფაბულური არსი არ იცვლება, ოღონდ ეგ კია, ვარიანტებში სურათოვნება უფრო მეტი ფერწერულობითა და ხილულოვნებით ხასიათდება: **ძალა შინ შევიდა და სამართალი ბანიდან აძვრაო;**

**ძალა რომ მოვიდა, სამართალი უკანა კარებიდან გაიპარაო;**

**ძალა აღმართს ხნავსო.**

ამრიგად, სიმართლე არც ისეთ „აუღებელ ციხე-სიმაგრესა“ და „შეურყეველ ბასტიონს“ წარმოადგენს, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ვინმეს მოჩვენებოდა. ეს გარემოება ადამიანებში სავსებით გასაგებ უიმედობასა და გულგატეხილობას იწვევდა. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად სიმართლის მარცხი მაინც დროებითი მოვლენა იყო და ბოლოს იგი მაინც გამარჯვებულის როლში გამოდიოდა. ამ დასკვნას მოწმობს ანდაზები, სადაც სიმართლის საბოლოო დაუძლეველობა და აღზევება წამყვან მოტივად ფიგურირებს: **სიმართლე არ დაიკარგებაო; სიმართლე ბოლომდე გაჭრისო; სიმართლე ბოლოს თავს იმართლებსო; სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო.**

სიმართლე ისეთი მიზანმიმსწრაფი და შეუპოვარი ზნეობრივი ფენომენია, რომელიც ადგენს რა ჭეშმარიტებას, იგი უამრავ საზოგადოებრივ ხარვეზზე თუ ინდივიდის ხასიათის ნაკლზე პირუთვნელად მიუთითებს. რა დასამალია და ამა თუ იმ პატივმოყვარე ადამიანს საკუთარ სულიერ ნაკლზე მითითება მაინც და მაინც დიდად არ სიამოვნებს, ხანდახან კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ყოველგვარ უბრალო კეთილმოსურნეობით შენიშვნაზეც კი ავადმყოფურად რეაგირებს. მიმართვის ობიექტისაგან ამდაგვარი მოსალოდნელი უკმეხი უკურეაქციის გათვალისწინებით, მართლის მთქმელი უზომო გამბედაობას საჭიროებს. ზოგიერთი ანდაზის მიხედვით მართლის მთქმელმა საკუთარი თავის მიმართ შესაძლოა ბევრი მტრულადაც კი განაწყოს, მაგრამ ამგვარ დაძაბულ ვითარებაში მან ფრთები არ უნდა დაუშვას, სიმართლეს, ჭეშმარიტებას ზურგი არ უნდა შეაქციოს და სათქმელი მაინც თქვას. თუმცა, მან ამ დროს ტაქტის და ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს, შეიძლება სიმართლის მოურიდებელი ჯიქურ პირში მთქმელობა (თუკი იგი სხვა ინდივიდის ადამიანურ ღირსებებს დაამცირებს) უტიფრობაში და თავხედობაში გადაიზარდოს. ასეთი პარადოქსული სიტუაციის ნიშანდობლივი დასკვნა გამოსჭვივის ერთ-ერთ ანდაზაში: **იმიტომ ვძულდი თარხანსა, სიტყვას ვეტყოდი მართალსა.** ან კიდევ: **მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.** სხვა ნიმუშები: **ვისაც სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრებაო.**

ამ ილუსტრირებული მაგალითების ფაბულური ბუნებიდან გამომდინარე გვაქვს სასოწარკვეთილების, სულიერი უნიათობა-უილაჯობის გამომხატველი ანდაზა, რომლის მიხედვითაც სიმართლის მიდევნა ფუჭი თვითგვემა და ამაოებაა: **თუ მიჰყევი სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო.**

ხალხური სიბრძნის თანახმად სიმართლის გაყალბების უამრავი გზა არსებობს. სიმართლის ხელოვნური გაყალბების ერთ-ერთ უბადრუკ როლს ქრთამიც ასრულებს: **სადაც ფული ჩხრიალებს, იქ სიმართლე ხრიალებს.** ასეთსავე გააზრებას შეიცავს სხვა ანდაზაც: **ოქრო თუ ამოტივტივდება, სამართალი დაიძირებაო.**

სასამართლო პრაქტიკისათვის, მართლმსაჯულების მუშაკისათვის ჭკუის სასწავლებელ ფაქტს შეიცავს ანდაზა: **ერთი მომჩივანი ღმერთს მართალი ეგონაო.**

თუმცა, ეს ანდაზა მარტივი გააზრებისაა, მაგრამ იგი უაღრესად რთულ მხატვრულ ამოცანას ისახავს მიზნად. ხსენებული მხატვრული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკმა ორივე მოდავე მხარეს უნდა მოუსმინოს, — აქ იგულისხმება როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე, დაჰკითხოს მოწმეებს, ყურადღებით, კვალიფიციურად გამოიკვლიოს საქმის გარემოება, გულდასმით შეისწავლოს ნივთმტკიცებანი და ა. შ.

რამდენ ცხოვრებისეულ დაკვირვებას, რჩევა-დარიგებას, ზნეთსწავლულებას შეეხვდებით ჩვენს ანდაზებში, სადაც სამართლიანობა და უსამართლობა ასე მოკლედ, შეკუმშულად, შთამბეჭდავად, სხვადასხვა რაკურსით არის განზოგადებული.

* * *

ხალხურ ლექსებსა და ანდაზებში ასახული სამართლიანობისა და უსამართლობის მიმართ ხალხის შემფასებლური დამოკიდებულება საკმაოდ მკაფიოდ არის გამოვლენილი. თუ იგი ერთი მხრივ დაბეჯითებით მოითხოვს სამართლიანობის, როგორც ჯანსაღი ეთიკური ნორმის პრაქტიკულ ცხოვრებაში დამკვიდრებას, სამაგიეროდ მეორე მხრივ უსამართლობისა და მისი ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ გაბედულ და უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს.

ყოველივე ეს ხალხური ეთიკის სუფთა, შეურყვნელ და შეურყეველ ასპექტებზე მიუთითებს, რომლის მიხედვითაც სიმართლის, სამართლისა და სამართლიანობის საყოველთაო განმტკიცება ზეპირად გავრცელებული საერო იურისპრუდენციის კეთილშობილურ მისიას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმიანი შეხვედრები

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კვარაცხელიამ მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მყოფი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნების მეათე ნაკადის მსმენელები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე ა. კალმახელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროსი ინსტრუქტორები — რ. ფირცხალავა და მ. მანჩხავა, რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კომახიძე და მეთოდისტი ქ. ძლიერიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნებს სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი, შენიშვნები და სურვილები სწავლების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. ამასთან ერთად იგი დაინტერესდა იმ პრობლემებით, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

სიტყვებით გამოვიდნენ ახმეტის რაიონის მატნის სასოფლო საბჭოს მდივანი ც. სამუკაშვილი, ოზურგეთის რაიონის ურეკის სასოფლო საბჭოს მდივანი მ. ბურდილაძე და გალის რაიონის ჭუბურხინჯის სასოფლო საბჭოს მდივანი ნ. ძანძავა. თავიანთ გამოსვლებში მათ ვრცლად ილაპარაკეს რესპუბლიკური კურსების სასწავლო პროცესებზე, აღნიშნეს ლექციებზე განხილული საკითხების აქტუალობა, მოწვეული ლექტორების მაღალკვალიფიციურობა, პრაქტიკული მეცადინეობის შედეგად შეძენილი დადებითი გამოცდილების მნიშვნელობა და სხვა. აქვე, ისინი ვრცლად შეეხნენ დეპუტატების გააქტიურების, დეპუტატთა არჩევის საკითხებს, გამოთქვეს სურვილი, რომ ყველა საბჭოს გამოეყოს ქართული საბეჭდი მანქანები, რაც მათი შრომის შემსუბუქებას შეუწყობდა ხელს. შეხვედრის მონაწილეებმა სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების გადატვირთვის გამო, ხაზგასმით მოითხოვეს, რომ თვითდაბეგვრის გადასახადის აკრეფვა სასოფლო და სადაბო საბჭოებში დაევალოს მოლარე-მოანგარიშეებს, რომლებიც უშუალოდ ამ გადასახადების აკრეფის საქმეს ემსახურებიან.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე საინტერესოდ ისაუბრეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა ნ. მანჩხავამ, შ. გვარამაძემ, რ. ფირცხალავამ, თ. ვარდანაშვილმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების გამგემ შ. ბერიანიძემ მსმენელებს მოუთხრო თავისი განყოფილების მუშაობის სპეციფიკაზე, უახლეს ცვლილებებზე და სხვა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, ხოლო საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ორგტექნიკის კაბინეტში გააცნეს კომპიუტერების დანერგვის, მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები.

თავის გამოსვლაში რესპუბლიკური კურსების დირექტორმა, მ. კომახიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რასაც იგი უწევს რესპუბლიკურ კურსებს და აღუთქვა მას, რომ დირექცია აუცილებლად გაითვალისწინებს თავის მუშაობაში ამ შეხვედრისას გამოთქმულ შენიშვნებსა და სურვილებს.

შეხვედრა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კვარაცხელიამ და სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნებს წარმატება უსურვა მუშაობასა და პირად ცხოვრებაში.

- მიხეილ ჩაჩუა.

* * *

**ამასწინათ** საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ და ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც რესპუბლიკურ კურსებს და კურსებზე მოწვეულ პროფესორ-მასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს შეაქვთ მსმენელთა გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკური კურსების მიერ ჩატარებული მუშაობისა და ახალი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკური კურსების ლექტორები: საქართველოს პროფსაბჭოს სამართლებრივი მუშაობის განყოფილების გამგე გ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ო. გამყრელიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი ნ. ბეჟიტაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი რ. ჭოღოშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი რ. ფერაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტისტორიის კათედრის გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ზ. წურწუმია, რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომახიძე.

**რუსუდან ახრახაძე.**

---

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე

მიმდინარე წლის 5 აპრილის გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი („ვიღაც ქალს" გაუჯავრდნენ"), რომლითაც ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. თურმანაული იმხილებოდა უტაქტობასა და მოქალაქეებისადმი უხეშად მოპყრობაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლოების, სასამართლო სტატისტიკისა და საექსპერტო დაწესებულებების სამმართველომ ყოველმხრივ შეისწავლა წერილში აღნიშნული ფაქტი და სამსახურებრივი მოკვლევა ჩაატარა მოსამართლე ნ. თურმანაულის უხეშობის ფაქტის შესამოწმებლად.

სამსახურებრივი მოკვლევით გაირკვა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს არ შეეფერება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ახმეტის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მას საფუძვლად დაედო პროცესუალური ნორმის დარღვევა და არა გადაწყვეტილებების კანონიერება. შემდგომში, თელავის რაიონის სახალხო სასამართლომაც სრულიად კანონიერად კვლავ შეასახლა მოსარჩელე ა. მაკაროვი მოპასუხე ნ. კურეტიშვილის სადაო ბინაში. ეს გადაწყვეტილება დღეს კანონიერ ძალაშია.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ 1989 წლის 28 ივლისს თავის კოლეგიაზე დეტალურად განიხილა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევა მასალები, მოუსმინა მოწვეულ პირებს, პრინციპულად იმსჯელა და დაადგინა, რომ გაზეთ „კომუნისტის" 1989 წლის 5 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ვიღაც ქალს" გაუჯავრდნენ" ჩაითვალოს უსწოროდ.

---

# სამახსოვრო

## საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ

### ჯარიმები

| დარღვევის სახეობა | თანხა მან-ში |
|---|---|
| მოძრაობის სიჩქარის გადაჭარბება | 10 |
| შუქნიშნის ან მარეგულირებლის ამკრძალავ სიგნალზე გავლა | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო ნიშნების ან ნახაზების მოთხოვნათა დაუცველობა 10

გავლის უპირატესობის მქონეთათვის დაბრკოლებათა შექმნა 10

ხალხის გადაყვანის წესების დარღვევა 10

საზოგადოებრივი ტარნსპორტის გაჩერების და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებზე მოძრაობის წესების დარღვევა 10

ღამით ან არასათანადო ხილვადობის პირობებში მაშუქი ხელსაწყოებით სარგებლობის წესების დარღვევა 10

ყველა ჩამოთვლილი დარღვევა, თუ ამით ავარიული სიტუაცია შეიქმნა 20-50

გაჩერების შესახებ მილიციის მუშაკის მოთხოვნის შეუსრულებლობა 20-50

გაუმართავი სამუხრუჭე სისტემის ან საჭის მქონე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა 5

შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა 5

დადგენილი წესით არარეკონსტრუირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა 5

სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების უქონელი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა 5

უსაფრთხოების ღვედებითა და მოტოჩაფხუტებით სარგებლობის წესების დარღვევა 5

მოტოციკლეტების ან სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფური სვლა, რომელიც დასახლებულ პუნქტებში დაბრკოლებას უქმნის მოძრაობას ან მოძრაობის უსაფრთხოებას ემუქრება 50

სარკინიგზო გადასასვლელების გავლის წესების დარღვევა 30

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევა, თუ ამან ავარია, ან ტვირთის, გზის, ნაგებობის, ქონების დაზიანება გამოიწვია 30

სხვა დარღვევები, თუ მათ გამოიწვიეს ავარია, გზის, ნაგებობის, ქონების დაზიანება 10-30

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე პირის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება 30

სატრანსპორტო საშუალების მართვა ნასვამ მდგომარეობაში 200

ალკოჰოლური ექსპერტიზისათვის თავის არიდება 200

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის საჭის გადაცემა 200

სატრანსპორტო საშუალების მართვა მართვის უფლების არმქონე პირის მიერ 30

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე პირისათვის 30

სატრანსპორტო საშუალების მართვა მართვის უფლების არმქონე პირის მიერ ან ასეთი პირისათვის საჭის გადაცემა თუ მან ავარია, ან ტვირთის, გზის, ნაგებობის, ქონების დაზიანება გამოიწვია 30-50

მოპედის მძღოლების, ველოსიპედისტების ან მეურმეების მიერ მოძრაობის მარეგულირებელ ნიშანზე დაუმორჩილებლობა ან მათი მოთხოვნების დაუცველობა 5

მოპედის მძღოლების, ველოსიპედისტების ან მეურმეების მიერ ჩადენილი იგივე დარღვევები, თუ ამით ავარიული სიტუაცია შეიქმნა 10-30

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზების, სარკინიგზო გადასასვლელების, საგზაო ნაგებობების ან მოძრაობის მარეგულირებელი ტექნიკური საშუალებების დაზიანება 20-50

საგზაო მოძრაობისათვის წინასწარგანზრახულად დაბრკოლების შექმნა, მათ შორის გზის საფარის დანაგვიანებით 20-50

მართვის უფლების არმქონე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვა 200

## მართვის უფლების ჩამორთმევა

ავარიული სიტუაციის შექნის ან გაჩერების შესახებ მილიციის მუშაკის სიგნალის დაუმორჩილებლობისათვის **(სამ თვემდე ვადით)**; სარკინიგზო გადასასვლელის გავლის წესების დარღვევისათვის **(ექვს თვემდე)**; ავარიისათვის, ტვირთის, გზის, ნაგებობის, ქონების დაზიანებისათვის **(სამიდან ექვს თვემდე)**; ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის ან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის საჭის გადაცემისათვის **(თორმეტიდან ოცდათექვსმეტ თვემდე)**.

---

*კრიმინალისტიკის ისტორიიდან*

# ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

## თავდასხმა გლაზგო-ლონდონის საფოსტო მატარებელზე

**პოლ გაკი**

### თეთრი პუდელის ძებნა

**ძებნილთა** სახელები გამოქვეყნდა პოლიციის სასამსახურო გაზეთ „პოლის გადზეტში“, ხოლო 22 აგვისტოს ახალი მიმართვა გაავრცელეს მოსახლეობისადმი, მოუწოდებდნენ მათ, რათა დახმარება აღმოეჩინათ პოლიციისათვის რეინოლდსისა და უაიტის მოძებნაში. იმავე საღამოს ყველა სატელევიზიო პროგრამამ არაერთხელ შეწყვიტა გადაცემები, აჩვენებდნენ ფოტოსურათებს და აცხადებდნენ ამ ორი ეჭვმიტანილის ნიშნებს. გამოაცხადეს, რომ უაიტს თან ახლავს ცოლი, ბავშვი და პუდელი სახელად „ჟიჟი“. ამას გარდა, გაჩნდა ეჭვი, რომ კემპინგ „ბოკს ჰილში“ საიდუმლოებით მოცული ავტოფურგონი ეკუთვნოდა უაიტს. პოლიციამ ძალიან დიდი დრო დაკარგა იმ თეთრი პუდელების პატრონთა ძებნაში, რომლებსაც იჭერდნენ თვითმოქმედი დეტექტივები.

იმავე დღეს, 22 აგვისტოს, დააკავეს მერი მენსონი და ბრალდებად წარუდგინეს მატარებელში მოპარული ფულიდან 835 გირვანქა სტერლინგის მიღება.

15-მა განგსტერმა დატოვა თითების ანაბეჭდი ლეზერსლეიდის ფერმაში, თუმცა მათ ამის შესახებ სასამართლოში წარდგენამდე არაფერი იცოდნენ. ამას გარდა, შეადგინეს იმ პირთა სია, დაახლოებით ოცი კაცის შემადგენლობით,

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987 წლის №№ 2-6, 1988 წლის №№ 1-6, 1989 წლის №№ 1-5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისზეც პოლიციამ ეჭვი მიიტანა, რომ ისინი მატარებლის გაძარცვის შემდეგ აღარ ჩნდებოდნენ იმ ადგილებში, სადაც ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ. მობილური საპოლიციო ბრიგადის თანამშრომლებმა მრავალგზის შეამოწმეს სახლები, ბინები, კლუბები და სხვა გარყვნილებისა და დროის გასატარებელი ადგილები. ძირითადად ეს ოპერაციები ჩატარდა ლონდონის სამხრეთ ნაწილში.

იმავე დღეს 22 აგვისტოს, პოლიცია თავს დაესხა ჩარლი ვილსონს. ფული ვერაფერი უპოვნეს, მაგრამ ლეზერსლეიდის ფერმაში მისი დიდი თითის ანაბეჭდი რატომღაც აღმოჩნდა სამარილესა და პირველადი დახმარების სახვევის პაკეტზე.

## მანჭანაში რადიომიმღების სარგებლობაზე

**23 აგვისტოს** რადიოთი გამოაცხადეს, რომ ავტომობილელი როი ჯემსი ძებნილია როგორც ძარცვის თანამონაწილე. იმჟამად ჰუდუუდში ჯეიმსი ითვლებოდა ავტორბოლის ფავორიტად, რომელიც 24 აგვისტოს უნდა გამართულიყო. პოლიციას რომ ერთი დღეც მოეთმინა, შანსი ჰქონდა ჯეიმსი დაეპატიმრებინა პირდაპირ რბოლის დროს. როცა 23 აგვისტოს ჯეიმსი ლონდონში ბრუნდებოდა, საკუთარი ავტომობილის რადიომიმღებით მოისმინა განცხადება ჩარლი ვილსონის დაპატიმრების თაობაზე. იგი მაშინვე იატაკქვეშეთში გადავიდა.

4 სექტემბერს ბიგსი დააპატიმრეს რედჰილში მდებარე საკუთარ სახლში. მან თითების ანაბეჭდები ფერმაში დატოვა თეფშზე, ტომატის საწებლის ბოთლზე და კარტის დასტაზე. თავდაპირველად უარყო მატარებლის გაძარცვაში მონაწილეობა და განაცხადა, რომ არაფერი იცის ლეზერსლეიდის ფერმის შესახებ. თქვა, რომ 6 აგვისტოს უაიტშირში გაემგზავრა ხეების მოსაჭრელად, თითქოსდა ზოგჯერ ეს მისი დამატებითი გამომუშავება იყო. უფრო მეტიც, ჩემი არყოფნის დროს ძმა მომიკვდაო, რძალი ცდილობდა ამის თაობაზე ჩემთვის ეცნობებინა და სელსბერის პოლიციასაც კი მიმართა თხოვნით დახმარებოდნენ ჩემთან დაკავშირებაშიო. მაგრამ ბიგსის ყველა ცდა ამაო იყო. ვითარებამ გაანადგურა მისი ალიბები. მაშინ ბიგსმა მოიგონა ახალი ისტორია და განაცხადა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სახლიდან არსად წასულა. ბოლოსდაბოლოს აღიარა, რომ იყო ფერმაში, მაგრამ „საქმეში" მონაწილეობა უარყო, მეშინოდაო, რადგან მეგონა, რომ მზადდებოდა სამხედრო დაწესებულებაზე თავდასხმაო.

ამის შემდეგ, 7 სექტემბერს, დააპატიმრეს ჯეიმს ჰასეი. ფული ვერ უპოვეს, მაგრამ იგი ვერ ხსნიდა თუ მისი ხელისგულის ანაბეჭდი როგორ აღმოჩნდა ლეზერსლეიდის ფერმაში დატოვებული სატვირთოს გადასაწევ ბორტზე.

ვისბეი პირველად დაკითხეს 20 აგვისტოს სწორედ შვებულებით ესპანეთში გამგზავრების წინ. ვიდრე ის იქ იმყოფებოდა, მიიღო წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ პოლიციამ დაიწყო ახალი გამოძიება. იგი შეშფოთდა, სწრაფად დაბრუნდა ლონდონში და თვითონ გამოცხადდა სკოტლანდიარდში, რათა გაეგო თუ მისგან რა სურდათ. იგი 11 სექტემბერს დააპატიმრეს. მისი თითების ანაბეჭდები იპოვეს ლეზერსლეიდის ფერმის სააბაზანოში მოქრომვილ მოაჯირებზე.

ბრაიანსა და კარინ ფილდს პოლიცია ეწვიათ მათ განცალკევებულ ბინაში, რომელიც მდებარეობდა ბერკშირისა და ოქსფორდის საგრაფოს საზღვარზე, პენბურნის მახლობლად უნიტჩერჩ ჰილში. სახლის გაჩხრეკას შედეგი არ გამოუღია. ჩეტა ფილდი პოლიციელებს მეტად თავაზიანად ეექცეოდა. ბრაიანმა მოჰყვა, რომ ლენი ფილდი გაიცნო მისი ძმის გარის დახმარებით, რომელიც დამცველად გამოდიოდა დოღში დოპინგის მიღებისათვის გამართულ პროცესში. ლენიმ მიანდო მას სახლის ყიდვასთან დაკავშირებული გარჯა. ბრაიანმა თანხმობა მისცა და ლენის თანაც კი ახლდა, როცა ისინი სახლის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. ჯეიმსისა და უოტერის საადვოკატო კანტორა რესპექტაბელური დაწესებულება იყო, მაგრამ ამასთანავე სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც იცავდა. იყო შემთხვევები, როცა კლიენტებთან ურთიერთობა ჩვეულებრივს სცილდებოდა. ზოგიერთ მათგანს ცოლ-ქმარი ფილდები პატიჟებდნენ საკუთარ სახლში, კერძოდ, ასე მოხდა ჰუდის შემთხვევაშიც. ფილდმა უარყო, რომ ღებულობდა ასეთ ვიზიტიორებს უაიტჩერჩში. როცა დასავლეთ გერმანიაში ყოფნის თაობაზე შეკითხვებს პასუხობდა, ბრაიანმა ყველაფერი დაუდასტურა პოლიციას, რაც მან უკვე იცოდა. ცხადია, შეუძლებელი იყო იმ მტკიცებულებათა მოძებნა, რომ პენბურნთან მახლობლად აღმოჩენილი ტომრები და ჩემოდნები პირადად ფილდის გადაყრილი იყო; რომელიღაც განგსტერს, რა თქმა უნდა, შეეძლო ფილდისათვის მოეპარა ისინი უაიტჩერჩში. ასე იყო თუ ისე, ბრაიან ფილდი 15 სექტემბერს დააპატიმრეს, ხოლო ლენი ფილდი — მომდევნო დღეს.

## დაპატიმრებული რეინოლდსთან მსგავსებისათვის

პოლიცია დარწმუნებული იყო, რომ ჰუდი მონაწილეობდა საფოსტო მატარებლის ძარც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაში. 16 აგვისტოს ბრიგადირი სვეინი მივიდა მასთან სახლში. ჰუდი არ დახვდა. პოლიციელმა სახლი მაინც გაჩხრიკა, მიუხედავად იმისა, რომ საამისო ორდერი არ გააჩნდა, თუმცა ჰუდის დედას განუცხადა, რომ ორდერი ჰქონდა (მოგვიანებით იგი შეცვლის ჩვენებას და განაცხადებს, მეგონა, რომ მქონდაო). ვერც ფული იპოვა და ვერც ნივთიერი მტკიცებულებანი. ამ დროს ჰუდი გადავიდა ლონდონის სხვა ნაწილში, მაგრამ აქ თავის შეფარებას არ აპირებდა. იგი ცხოვრობდა ღამის კლუბში უინდმილზე, რომელიც მის მეგობრებს ალექსანდერებს ეკუთვნოდათ.

ჰუდმა მხოლოდ იმიტომ შეიცვალა ადგილსამყოფელი, რომ ჟურნალისტებს დამალვოდა, რომლებიც პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ მას შემდეგ, რაც ლონდონის აეროპორტის „საქმის“ შემდეგ პრესა ეჭვობდა მის ამ ძარცვაში მონაწილეობას. 22 აგვისტოს ჰუდმა გადაწყვიტა გაევლო ლეჩესტერში, რათა მოეენახულებინა მისი ერთ-ერთი მეგობარი ქალი, მარგარეტ პერკინსი, რომელიც იმხანად აირჩიეს მიდლენდის სილამაზის დედოფლად. რადგან ჰუდის სამივე მანქანას ჟურნალისტები კარგად იცნობდნენ, ისინი გარაჟში დატოვა და გაემგზავრა ალექსანდერების მანქანით. გზაზე ავტომობილი გაუფუჭდა და თავისი მგზავრობა ტაქსით დასრულა. ამ შეფერხების გამო ლეჩესტერში გვიან ჩავიდა. რადგან მარგარეტ პერკინსთან მეტად მოკლე შეხვედრა გამოუვიდა, გადაწყვიტა ღამე ლეჩესტერში გაეტარებინა და ოთახი იქირავა ქალაქის ყველაზე საუკეთესო ოტელში. საუბედუროდ, მან სათვალე გაიკეთა და ოტელის ერთ-ერთ მოსამსახურე ქალს იგი რეინოლდსი ეგონა, რომლის ფოტოსურათიც ტელევიზიით ჰქონდა ნანახი. მან დაურეკა პოლიციას, რომელმაც ცოტა მოგვიანებით უკვე რამდენიმე შეკითხვა მისცა ჰუდს. მას შემდეგ, რაც მისი ვინაობა დაადგინეს, დასაკითხად პოლიციაში წაიყვანეს. პოლიციამ შეამოწმა და დარწმუნდა, რომ იგი მართლაც ალექსანდერებთან ცხოვრობდა, როცა მისი ახალი ადგილსამყოფი დაადგინეს, რაც პოლიციას ადრევე უნდა სცოდნოდა, რადგან ჰუდი იქ ბევრჯერ მიდიოდა, კერძოდ, ლონდონის აეროპორტის საქმის დროს, გამომძიებლებმა გაჩხრიკეს სახლი და შეამოწმეს მისი პირადი ნივთები. დოქტორმა ჰოლდენმა ოქმს წყვილი ზამშის ფეხსაცმელი დაურთო, რაც შემდეგ ნომერ პირველ ნივთიერ მტკიცებულებად იქცა. პოლიცია ვარაუდობდა, რომ ფეხსაცმელების ძირებზე იპოვიდა ყვითელი საღებავის კვალს — საღებავს იმ ყუთდან, რომელიც გაჟყლეტილი ეგდო ლეზერსლეიდის ფერმის ფარდულში. მაგრამ ჰუდის დედა ამტკიცებდა, რომ ფეხსაცმელები სრულიად სუფთა იყო, ხოლო ალექსანდერებმა განაცხადეს, რომ როცა პოლიციამ ფეხსაცმელები წაიღო, მაშინ მათზე არაფერი საეჭვო არ ყოფილაო. რაც შეეხება თვით ჰუდს მან თქვა, რომ ფერმაში ეს ფეხსაცმელები არ სცმია...

იგი პოლიციის ყველა გამოძახებაზე გამოცხადდა და ბოლოს და ბოლოს 3 ოქტომბერს დააპატიმრეს.

ჯონ უიტერი დააკავეს 17 ოქტომბერს. თავდაპირველად იგი განსაკუთრებულ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ რაღაცის დამალვას ცდილობდა. როგორც დადგინდა, მან პირველ ხანებში 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო ლეზერსლეიდის ფერმის შესყიდვისათვის. მიაჩნდათ, რომ უიტერი შეიძლება ყოფილიყო ბრალდების საინტერესო მოწმე. მაგრამ შემდეგ გაირკვა მისი სულ უფრო მჭიდრო კავშირი ამ საქმესთან და ამიტომ მისი მოწმედ გამოყენება შეუძლებელი გახდა.

## გამოძიება ლუდის ქარხანაში

ბანდა დიდი სიფრთხილით იძენდა სურსათსანოვაგეს, რაც ლეზერსლეიდის ფერმაში პირდაპირ ლონდონიდან ჩამოჰქონდათ ხოლმე, მაგრამ ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ჩაიდინა უხეში შეცდომა. მიუხედავად ამის აკრძალვის ბრძანებისა, იგი წავიდა და ათი ყუთი მაგარი ლუდი იყიდა ფერმასთან ახლომდებარე სოფელ ბიჩესტერის მაღაზიაში. ლეზერსლეიდის ფერმაში აღმოჩნდა ლუდის ცხრა ყუთი: ზოგიერთი მათგანი ცარიელი იყო, სხვები კი არც გაეხსნათ. ყოველ ყუთზე იყო სერიის ნომერი, რომლის მიხედვითაც შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ლუდი შეფუთული იყო 23 ივლისს ჰილდორფის ლუდის ქარხანა „ფრიერი მაუკსში“. ამ დღეს დაბეჭდილ რამდენიმე ათას ყუთს ერთიდაიგივე სერიის ნომერი ჰქონდა. სკრუპულოზურად მიადევნეს თვალი ლუდის ყუთების ყველა პარტიის გზას და აღმოაჩინეს, რომ ასრვა ყუთიდან, რომლებიც ოქსფორდში ფირმა „ინდკუუპს“ გაეგზავნა, თორმეტი ბიჩესტერში ჩაიტანეს. ფერმაში ნაპოვნი ყუთები რომ ბიჩესტერიდან იყო მიტანილი, ამის უეჭველი დამტკიცება შეუძლებელი გახდა, მაგრამ ეჭვის აღძვრის საფუძველი კი ძალზე დიდი დარჩა. რობერტ ველჩი მყიდველად ვერ ამოიცნეს, მაგრამ იმის ვარაუდი კი შეიძლებოდა, რომ ეს როლი მას შესანიშნავად მიესადაგებოდა. მისი თითების ანაბეჭდები აღმოჩნდა ერთ-ერთ ყუთზე. დაჰკითხეს იგი 16 აგვისტოს, მისი ბინის გაჩხრეკის შემდეგ, და ბოლოს, 25 ოქტომბერს დააპატიმრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნადირობა სახურავზე მყოფ კაცზე

როი ჯემსმა თავისი ბინა ჩელსში დატოვა 22 აგვისტოს. იგი პოლიციამ კინაღამ დაიჭირა, როცა მის ბინაში იპოვეს მისი და ერთ-ერთი სხვა ძებნილი ბანდიტის თითების ანაბეჭდები. ზუსტად ახალი წლის წინ გამომძიებლებმა აგენტურისაგან შეიტყვეს, რომ ჯემსი ცხოვრობდა ლონდონში, რეიდერ ტერასის № 14-ში. მეზობლებმა თქვეს, რომ ამ ბინაში ბევრი ხალხი შედიოდა და, რომ ყოველ დილით ფოსტალიონს შეჰქონდა ყველა ყოველდღიური გაზეთი. ბინის ალყაში მოქცევა საკმაოდ რთული იყო და ამიტომ პოლიცია გარს შემოერტყა მთელ კვარტალს. 19 საათსა და 40 წუთზე მთავარმა კომისარმა ტომი ბატლერმა ბინის კარებზე დააკაკუნა. ამაზე არავის უპასუხნია, მაგრამ კომისარმა ბინის შიგნიდან ხმაური გაიგონა. მაშინ ბრიგადირი მური მესამე სართულზე აცოცდა და ფანჯრიდან შეაღწია ერთ-ერთ ბინაში სწორედ იმ მომენტში, როცა ჯემსი მიიმალა სამერცხლურში. და დაიწყო ნადირობა სახურავზე მყოფ ადამიანზე. ჯემსი მძიმე ჩემოდნით ხელში ბლენჰეიმ ტერასის № 40 სახლის ეზოში ჩახტა. პოლიციის ორი აგენტი მას აქ ელოდა და იგი პრაქტიკულად ჰაერშივე დაატაპტიმრეს. ჩემოდანში აღმოჩნდა 12041 გირვანქა სტერლინგი. კუპიურები უკვე გადაცვლილი იყო და სარეგისტრაციო ნომრები აღარ ჰქონდათ, მაგრამ მის საფულეში იპოვეს 131 გირვანქა სტერლინგი, მათ შორის ორი ბანკნოტი მატარებელში მოპარული ფულიდან იყო. მეორე ნიშანი, რამაც ჯემსი გასცა, ეს იყო თითების ანაბეჭდები კატის ლამბაქზე. ალბათ, ლეზერსლეიდის ფერმაში ის ზრუნავდა ამ საყვარელ არსებებზე. ცხოველებისადმი ეს საყვარელი მისთვის ფატალური გამოდგა.

ჯემსის მექანიკოსმა უილიამ პელჰემმა, რომელიც ეჭვმიტანილი იყო მოპარულის შესყიდვაში, ჯემსის სარბოლ მანქანას ახალი ძრავა დაუყენა და მანქანით გაემართა ქალაქში, იმის ნაცვლად, რომ გარაჟში გაეჩერებინა. პოლიციამ იგი დააკავა.

## „იქ თქვენ რაღაცას იპოვით...“

**იმ საღამოს,** როცა ჯემსი დააპატიმრეს, ლონდონის სამხრეთ რაიონის პოლიციის კომისარიატში გაისმა ტელეფონის ზარი: „თუ თქვენ ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გრეტ დოვერ სტრიტისა და ბელკჰორს კურტის ქუჩების კუთხეში მდებარე სატელეფონო კაბინაში შეიხედავთ, იქ იპოვით რაღაც საინტერესოს“. ლაპარაკი იყო ორ საკვოიაჟზე, რომლებშიც 47245 გირვანქა სტერლინგი აღმოჩნდა, რაც ალბათ უკიდურესად შეშინებულმა მძარცველებმა მიატოვეს.

ლეინსლეიდის სასამართლოში წინასწარი გამოძიება ცხრა კვირას გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე გაიმართა ოცდაცხრა სხდომა. 2 დეკემბერს ელსბერის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე ცხრამეტი ეჭვმიტანილიდან თვრამეტი წარსდგა. თერთმეტი ცნობილ იქნა დამნაშავედ მატარებლის გაძარცვაში და ციხე მიუსაჯეს. შვიდს, რომელთაც ბრალად ედებოდა მოპარულის დამალვა, მიესაჯათ ჯარიმის გადახდა.

როცა ეს პროცესი დაიწყო, ყველაზე მნიშვნელოვანი სამი დამნაშავე — რეინოლდსი, ედვარდსი და უაიტი — ჯერ კიდევ იძებნებოდა. გამოძიების დროს სხვა სახელებიც ამოტივტივდა, მაგრამ არასაკმარის სამხილთა გამო, შესაბამისი საქმის მსვლელობა არ დაწყებულა.

ჯიმი უაიტი მიიმალა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან დააპატიმრებდნენ. ის, რა საქმესაც ეწეოდა, აიძულებდა მეტად ფრთხილად ყოფილიყო. ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, იგი კინაღამ არ გაება ერთ ბნელ საქმეში, რომელიც დაატრიალა ქ. შეფერდ ბუშში. აქედან თავი დაიძვრინა საკუთარი „ოსტატობის წყალობით“. დაუცადა, ვიდრე მისი ბინის კარებთან პოლიციელები მივიდოდნენ და ფანჯრიდან გაიპარა. ამან უპირატესობა მისცა, რათა თავი დაეღწია პოლიციელებისაგან, რომლებმაც კიბეებზე ჩამოსვლაში დრო დაკარგეს. ცოლ-ქმარ უაიტებს ცოტა დრო ჰქონდათ, რათა მიეტოვებინათ საკუთარი ავტოფურგონი. მატარებლის გაძარცვის ცნობამ ხომ ბევრი ხმაური გამოიწვია და ყველა უნდობლად და ეჭვისთვალთი უყურებდა მათ ხელში მოხვედრილ ხუთი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტებს. უაიტი და მისი ცოლი ბევრ ფულს ხარჯავდნენ ვიდრე ვიღაც ვაჭარმა დარეკა პოლიციაში, რათა გაერკვიათ თუ ვინ იყვნენ ისინი. მეუღლეებმა მოიგონეს გულისამაჩუყებელი ისტორია იმის შესახებ, რომ მრავალი წლის მანძილზე როგორ მძიმედ შრომობდნენ, რათა ბოლოს შვებულების კარგად გატარების შესაძლებლობა მისცემოდათ. ახალგაზრდა და გამოუცდელი პოლიციელი მათდამი სიმპათიით განიმსჭვალა და ბედნიერი დასვენებაც კი უსურვა.

რეინოლდსმა მიატოვა ბინა მაშინვე, როგორც კი გაზეთებში ნახა მისი და მისი მეუღლის ფოტოსურათები. უპირველეს ყოვლისა, იმის შეეშინდა, რომ მას სახლის მეკარე ამოიცნობდა. ცოლ-ქმარი მეგობრების დახმარებით ერთი თავშესაფრიდან მეორეში გადადიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, რამდენიმე განგსტერი მაინც დააპატიმრეს და მართლმსაჯულების მანქანას ახლა უკვე შეეძლო დატრიალებულიყო და დავმტკიცებინა მათთვის დანაშაული.

## სასამართლო მოცემულ საქმეზე

**ბეკინჰემის** საგრაფოს სოფელ ეილსბერის მუნიციპალიტეტის საბჭოს შენობა გადაიქცა მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომის დარბაზად. ვარაუდობდნენ, რომ პროცესი დიდხანს გაგრძელდებოდა და ამიტომ მისი ჩატარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შენობაში ძალიან შეუშლიდა ხელს სხვა საქმეთა განხილვას. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში სამართალში მიცემულთათვის განკუთვნილი სკამი ვერ დაიტევდა ყველა განსასჯელს. ამიტომ მუნიციპალიტეტის საბჭოს შენობაში განსასჯელთა სკამის გარშემო დიდი ღობე მოაწყვეს და უსაფრთხოებისათვის საგანგებო ღონისძიებებიც გაატარეს.

პროცესი დაიწყო ორშაბათს, 1964 წლის 20 იანვარს დილის 10 სათსა და 30 წუთზე[1].

სხდომის დასაწყისში მოისმინეს კარინ ფილდისადმი მიმართული დემარში, რომლის მიზანი იყო მისგან 3 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღება იმ პირობის სანაცვლოდ, რომელიც მის მეუღლეს სამმა ნაფიცმა მსაჯულმა მისცა გამამართლებელი ვერდიქტისათვის.

შემდეგ პროკურორმა არტურ ჯემსმა წარმოადგინა ძარცვის ფაქტები და ვითარებანი. მან განმარტა, რომ დაკარგული ფულის წარმოშობის წყაროების დადგენა მეტისმეტად რთული იყო: სასამართლოს საქმე ექნებოდა ურიცხვი რაოდენობის მოწმეებთან და დოკუმენტებთან. პროკურორმა წინადადება წამოაყენა, რათა ემსჯელათ მხოლოდ შოტლანდიის ბანკის მიერ გაგზავნილ ფულზე. მიუხედავად ასეთი ლოკალური პროცედურისა, სასამართლო მაინც იძულებული იქნებოდა დაეკითხა ბანკის ორმოცდაათამდე მოსამსახურე. მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პროკურორი შეჩერებულიყო მხოლოდ 120 საფოსტო ჩანთის ძარცვაზე და არ მიეთითებინა თუ რომელ დაზარალებულ ბანკს რამდენი მოპარეს.

სასამართლო ასევე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელი იყო თითოეული სამართალში მიცემულისათვის წაეყენებინათ ფორმალური მტკიცებულება იმისა თუ როგორია კონკრეტულად მისი მონაწილეობა თვით მატარებლის გაძარცვაში. მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ ნივთიერი სამხილები ნაპოვნი იყო მხოლოდ ლეზერსლეიდის ფერმაში. მიუხედავად ამისა, შეკრებილ სამხილთა საფუძველზე შეიძლებოდა დადასტურებულად ჩათვლილიყო, რომ ზოგიერთი განსასჯელი მონაწილეობდა ძარცვაში ან უკიდურეს შემთხვევაში, მის მომზადებაში.

პროკურორ არტურ ჯემსს ათი საათი დასჭირდა იმისათვის, რომ წარმოედგინა საფოსტო მატარებელზე თავდასხმასთან დაკავშირებული ფაქტები და დეტალურად გაერჩია თითოეული განსასჯელის როლი ამ საქმეში.

## ხმას აუწიეს მხოლოდ ერთხელ

**განსასჯელთა** სკამზე მსხდომი თორმეტი მამაკაციდან, მხოლოდ ვილსონი, ბიგსი, ჰუდი და ბრაიან ფილდი ცდილობდა სახეზე ღიმილის შენარჩუნებას. სხვები აბსოლუტურად შეუვალი სახით გამოიყურებოდნენ, ხოლო ბოოლი და უიტერი თითქოს გაკვირვებულნი იყვნენ იმით, რაც მათ გარშემო ხდებოდა. ჰუდი, ვილსონი და ბრაიან ფილდი მშვიდად ლაპარაკობდნენ, აკეთებდნენ სხვადასხვა კომენტარს ან ერთმანეთს ეხუმრებოდნენ. განსასჯელები არ ჰგავდნენ იმ მოურჯულებელ დამნაშავეებს, რომელთა ხილვასაც ხალხი ასე მოელოდა სასამართლოში.

დარბაზში ხმას აუწიეს მხოლოდ ერთხელ, როცა პოლიციის ოფიცერი სტენლი დევისი ჰყვებოდა ბოოლისა და კორდრის დაკითხვის თაობაზე. ბოოლის რისხვით გაუწითლდა სახე, წამოხტა ადგილიდან და დაიღრიალა: „ეს სიცრუეა! უსინდისო სიცრუე!“ მაგრამ ამისათვის მნიშვნელობა არავის მიუცია.

სერეის პოლიციის ინსპექტორმა მორისმა მოულოდნელად მოიყვანა ციტატა დაკითხვის დროს ბიგსის განცხადებიდან: „რეინოლდს ვიცნობ რამდენიმე წელია და ჩვენ ზოგჯერ ძალიან კარგად ვატარებდით დროს“. ამ განცხადებას შეიძლება გავლენა მოეხდინა ნაფიცი მსაჯულების თვალსაზრისზე და ზიანი მიეყენებინა განსასჯელისათვის. ამიტომ სასამართლო იძულებული გახდა პერსონალურად ბიგსის მიმართ პროცესი სხვა დროისათვის გადაედო და დაენიშნა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა. პროცესუალური ნორმების თანახმად, განსასჯელის წარსულზე ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ დაცვის ადვოკატს, ცხა-

---

1 უნდა აღინიშნოს, რომ წინა გვერდებზე მოხსენიებულ მოვლენათა და პიროვნებათა უმრავლესობის თაობაზე სასამართლომ არაფერი იცოდა პროცესის დროს. ეს მონაცემები მიიღეს ბანდის წევრებთან კერძო კონფიდენციალური საუბრებიდან და დანაშაულებრივ წრეებთან დამყარებული კონტაქტების შედეგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს სასარგებლო იქნება მისი კლიენტისათვის.

განსასჯელები იმყოფებოდნენ ციხის საავადმყოფოში მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. თავდაპირველად ისინი სარგებლობდნენ მთელი რიგი პრივილეგიებით. მაგრამ ახალ წლამდე ცოტა ხნით ადრე ხელისუფლებამ, გაქცევის შიშით, აუკრძალა მათ, კერძოდ, საზღვარგარეთიდან ამანათების მიღება.

კომისარი მორის რეი იყო ბრალდების მთავარი მოწმე. მან თქვა, რომ მრავალ ადგილზე კვალი წაშლილია, მაგრამ აქა-იქ შემორჩა, რამაც საშუალება მისცა მას თხუთმეტი კაცის თითების ანაბეჭდები ეპოვა. მათ შორის ზოგიერთი განსასჯელთა სკამზე იჯდა. ჰასეიმ მთელი ხელისგულის ანაბეჭდი დატოვა სატვირთოს ბორტზე; ვისბეიმ — თითების ანაბეჭდები აბაზანის მოაჯირებზე, დელიმ — კარტის დასტაზე, ველჩიმ — ლუდის ყუთზე; ვილსონმა — ფანჯარის საკეტზე პირველი დახმარების სახვევის პაკეტზე და სამარილეზე; ჯემსმა — კატის ლამბაქსა და კინოჟურნალზე; ბრაინ ფილდმა — დორკინგის მახლობლად რედლენდის ტყეში ნაპოვნ საკვოიაჟზე.

ბრალდების წარმომადგენლებმა თავიანთი მუშაობა დაამთავრეს 1964 წლის 11 თებერვალს. ისინი გამოდიოდნენ 85 საათის მანძილზე და წარმოადგინეს 206 მოწმის ჩვენება და 600 ნივთმტკიცებულება.

პროცესის გაგრძელება მეორე დღისათვის გადადეს. დელის ადვოკატებმა ეს დრო იმისათვის გამოიყენეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ კარტზე თითების ანაბეჭდები არ წარმოადგენს მტკიცებულებას მათი კლიენტის საწინააღმდეგოდ, რადგან ეს ანაბეჭდები შეიძლება დარჩენილიყო ძარცვის თარიღამდე გაცილებით ადრე და არა აუცილებლად ლეზერსლეიდის ფერმაში.

მოსამართლე ედმუნდ დევისმა სხდომა იმით განაახლა, რომ მიიღო დელის განთავისუფლების გადაწყვეტილება. სასამართლოს რომ მისი შემთხვევის შესწავლა გაეგრძელებინა, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ეჭვის საფუძველზე, და არა მტკიცებულებებზე, რაც მთელი სასამართლო განხილვის გაუფასურებას გამოიწვევდა. მოსამართლემ შენიშნა, რომ დელი მეტად გაუფრთხილებლად მოიქცა, როცა მიმალვა სცადა, იგი, როგორც თვითონ ამბობს, არაფერში დამნაშავე არ არის. დელი გაანთავისუფლეს 72 დღის წინასწარი პატიმრობის შემდეგ.

## ბოოლი თავს იმართლებს

დაცვის წარმომადგენელმა დაიწყო შემდეგი განაცხადებით: რამდენადაც რკინიგზაზე არავინ არ შეუნიშნავთ, შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ რომელიმე განსასჯელი მართლა იყო მატარებლის გაძარცვის ადგილზე.

ბოოლი თავს იცავდა და ენერგიულად აცხადებდა, რომ იგი არავითარ როლს არ თამაშობდა ამ საქმეში და მხოლოდ 600 გირვანქა სტერლინგის გადახურდავება სურდა, რაც მან კორდრის ასეხა. ეს უკანასკნელი სასამართლო სხდომაზე არ იყო და ალბათ, ამიტომაც არ რცხვენოდა ბოოლს ასეთი მგზნებარებით რომ ლაპარაკობდა. მან მოჰყვა, რომ კორდრიმ უცებ დაიწყო ფულების ფლანგვა. მაშინ ბოოლმა ჩათვალა, რომ ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და ვალი მოითხოვა. კორდრის მოწმედ გამოძახება და ბოოლის განცხადების დამოწმება შეუძლებელი იყო, რადგან ამ დროს იგი დასაკითხად იყო პროკურორთან, რომელიც მისგან თხოულობდა თანამონაწილეთა დასახელებას. რაც შეეხება ადვოკატებს, როგორც ჩანს, მათ ინტერესებს არ წარმოადგენდა კითხვების დასმა.

ჰასეი, ველჩი და ვისბეი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქმესთან. მათი ჩვენებები მოწმდებოდა. ჰასეის მეგობარს რონი დარკს ძარცვის შემდეგ, შაბათს, სატვირთო მანქანით პროდუქტები უნდა წაეღო ლონდონის გარეუბანში. ჰასეი თან უნდა წაჰყოლოდა თავისი მანქანით, რათა იგი შემდეგ ქალაქში ჩამოეყვანა, რადგან გადაწყვიტეს ის საღამო ერთად გაეტარებინათ. იმ მომენტში, როცა რონი სატვირთოს საჭეს მიუჯდა გამოჩნდნენ ველჩი და ვისბეი. ჰასეიმ განუმარტა მათ, რომ ქალაქში უნდა დარჩენილიყო, რადგან დედა გაუხდა ავად. ველჩის და ვისბეის შესთავაზა რონის გაცილება ადგილამდე, შემდეგ კი უნდა ჩამოეყვანათ ლონდონში. როცა ჰასეიმ შეიტყო თუ რა პროდუქტები მიჰქონდა რონის, მან უკნიდან ასწია ბრეზენტი, რათა ვაშლი აეღო და შეეჭამა; ალბათ ამ დროს თუ დატოვა ჰასეიმ თავისი ანაბეჭდები სატვირთოს ბორტზე, ველჩმა და ვისბეიმ გააცილეს რონი. დანიშნულების ადგილზე რომ მივიდნენ, ვისბეი და რონი წავიდნენ სააბაზანოში ხელების დასაბანად, სადაც ვისბეიმ დატოვა მაკომპრომეტირებელი კვალი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მკითხველთა საყურადღებოდ!

1989 წლის მაისიდან ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ გამოდის ყოველთვიურად, ამიტომ მიმდინარე წელს მკითხველები მიიღებენ მის 10 ნომერს. ამ სიახლესთან დაკავშირებით საჭირო გახდა ხელმომწერებმა, ვისაც იგი 1989 წლისათვის აქვს გამოწერილი, დამატებით გადაიხადონ ოთხი ნომრის ღირებულება.

ჟურნალის ერთი ნომერი ღირს 60 კაპ. ოთხი ნომრის გადასახდელი თანხა შეადგენს 2 მან. 40 კაპ. ხელმომწერებმა ეს თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოთ „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის მიღება შეგიწყდებათ.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1989 (на грузинском языке).
Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

47/196

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ფასი 60 კაპ

ინდექსი 76185